


9 2015

# ჩემი სამყარო

ქრისტიანული ანგარიშგებისათვის





# ევროპის კავშირი იდეალური მოკავშირე

კახა გოგოლაშვილი

## შს ნიშნავს ევროკავშირისკენ სწრაფე

საქართველო ევროპის ნაწილია და  
ის ევროპის კავშირში გაერთიანებისკენ მიისწრაფვის. მაგ-  
რამ ვიცით კი, რას ნიშნავს ევროკავშირი და საით მივდივართ?

დამოუკიდებლობის პირველივე წლებში საქართველომ გეზი ევროკავშირში გაწე-  
რიანებისკენ აიღო. მაშინ ეს არჩევანი მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისა იყო, რადგან  
არავინ იცოდა რეალურად რას ნიშნავდა ევროკავშირისკენ სვლა.

მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოს არჩევანს ორი მნიშვნელოვანი სტიმული განა-  
პირობებდა: ა) „ახალი ჰეგემონის“ ძებნა – 200 წლის განმავლობაში სხვა ერის მიერ მარ-  
თულ ქვეყანას გაუჭირდა პატრონისა და მფარველის გარეშე არსებობა; ბ) ევროპის მიმართ  
გაუცნობიერებელი ლტოლვა, სიმპათია და ნდობა.

ამ ნდობასა და მისწრაფებას არ გააჩნდა კარგად გამოხატული მიზეზები, რომელთა რა-  
ციონალურად ახსნა შეუძლებელია. მაგალითად, რუსეთის ან ყოფილი საბჭოთა კავშირის  
სხვა ქვეყნების მოქალაქეებს ხშირად უკვირდათ კიდევ ქართველების ასეთი კეთილგან-  
წყობა ევროპელების მიმართ, სიყვარული და პატივისცემა მათი კულტურული მემკვიდრე-  
ობისა, ლიტერატურისა თუ სხვა. ასევე ნიშანდობლივი იყო საქართველოში ევროპული  
ხელოვნების ზედმინუნით კარგად ცოდნა და მისი სრულად გაგება. ეს შესაძლებელია  
გემოვნებათა თავსებადობითაც აიხსნას. თავისთავად ქრისტიანული ტრადიცია და უძ-

ველესი კავშირები ევროპულ ცივილიზაციასთან მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ამ მისწრაფების არსებობას, ხოლო თვით ქართველი ხალხის მაღალი სულიერება დადებითად განაწყო მას ევროპული ცივილიზაციის მიერ საზოგადოებრივ ყოფაში დანერგილი ფასეულობების – ადამიანების უფლებების დაცვის, ღირსების პატივისცემის, თანასწორუფლებიანობის, სოლიდარობის, მშვიდობისმოყვარეობის პრინციპების მიმართ.

## საზოგადოებრივი ევროკავშირთან თანამშრომლობა

დამოუკიდებლობის პირველივე დღიდან საქართველო გრძნობდა ევროკავშირის კეთილგანწყობას. ჩვენ წლების განმავლობაში ვიღებდით უპირობო დახმარებას ევროკავშირიდან. ეს მილიარდობით დახარჯული თანხები ევროკავშირმა გარდამავალი სისტემური ცვლილებების ეტაპზე მყოფი საქართველოს მოსახლეობის დასახმარებლად გაიღო. ევროკავშირის დახმარებით 1992 წლიდან საქართველოში იწერებოდა კანონები, იქმნებოდა სახელმწიფო ინსტიტუტები, კეთდებოდა გზები, ვითარდებოდა საერთაშორისო ურთიერთობები. მოკლედ, შენდებოდა ქვეყანა, რომელსაც საფუძვლად დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპები უნდა ჰქონოდა. ევროკავშირი დღესაც საქართველოს უდიდესი დონორია და ქვეყანას მნიშვნელოვან ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას უწევს.



ედუარდ შევარდნაძე და ჟაკ სანტერი, „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების“ ხელმოწერის წინ, 1996



2008 წლის 12 აგვისტო, საქართველოსა და რუსეთს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების მოლაპარაკება საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან. ევროკავშირის წარმომადგენელ ევროკომისიის პრეზიდენტი ზოსე მანუელ ბაროზო, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი (ევროპული საბჭოს მაშინდელი პრეზიდენტი) და ხავიერ სოლანა (ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი).





ევროკავშირის პოლიტიკურმა მხარდაჭერამ შეგვინარჩუნა დამოუკიდებლობა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის საკითხი ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტული საგარეო-პოლიტიკური თემა გახდა. 2008 წლის შემდეგ კი, აშშ-სთან ერთად, ევროკავშირმა რუსეთის მიერ ჩვენ წინააღმდეგ წარმოებული აგრესია შეაჩერა და აქტიურად განაგრძობს საქართველოს ინტერესების მხარდაჭერას ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

## ევროკავშირისკენ მისწრაფება მსუგეისო ხალხის არჩევანია

2013 წლის ნოემბერში უკრაინელი ხალხი თავისი ქვეყნის ლეგიტიმურ მმართველს აუჯანყდა და დაამხო კიდეც მისი ხელისუფლება იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა უარი თქვა ევროპასთან ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმებაზე და რუსეთთან კავშირის გამყარება გადაწყვიტა. ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან მოედანზე მრავალი დღის განმავლობაში გაისმოდა სიტყვები: „უკრაინა ცე ევროპა“ – უკრაინა ევროპაა. რა ედო საფუძვლად უკრაინელი ხალხის მოტივაციას, რომ არაერთმა შესწირა სიცოცხლე ევროპულ არჩევანს?

2008 წელს რუსეთმა საქართველოში სამხედრო აგრესია განახორციელა და ქვეყნის საერთაშორისო დონეზე აღიარებული ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია მოახდინა. ამის რეალური მიზანი ასევე იყო საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებებისათვის ხელის შეშლა.

ორივე შემთხვევაში, უკრაინაშიც და საქართველოშიც, ამ ქვეყნების ხალხებმა თავგანწირვა გამოიჩინეს, რომ მათ მომავალ თაობებს პოლიტიკურად ევროპაში დაემკვიდრებინათ თავი და ევროპის კავშირში ეცხოვრათ.






## სოფლის შვილები ევროკავშირში

ევროკავშირი სამოცდახუთი წელია, რაც არსებობს. ამ ხნის განმავლობაში მან განვითარების რთული გზა განვლო – 6 ქვეყნის მიერ 1950 წელს შექმნილი ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობიდან 28 წევრი სახელმწიფოს კავშირამდე, 500-მილიონიანი მოსახლეობით. 1950 წელს დასავლეთ ევროპის ექვსმა სახელმწიფომ, მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილების გათვალისწინებით, თანამშრომლობის ისეთი ფორმის შემუშავება გადაწყვიტა, რომელიც დაძლედა საუკუნეების მანძილზე არსებულ წინააღმდეგობებს და მშვიდობასა და ურთიერთდახმარების სულისკვეთებას სამუდამოდ დაამკვიდრებდა მათ შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ერთიანობის იდეა მრავალი საუკუნის მანძილზე მნიშვნელოვან და ის მრავალი უდიდესი ევროპელი მოაზროვნის ნაფიქრალის შედეგია, პირველი პრაქტიკული ნაბიჯი, რომელმაც თანამედროვე ევროპულ ინტეგრაციას ჩაუყარა საფუძველი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრის – რობერტ შუმანის 1950 წლის 9 მაისის გაკეთებული დეკლარაცია გახლდათ.







რობერტ შუმანი (1886-1963)

დეკლარაცია, რომლის შემუშავებაშიც მაშინდელმა ფრანგმა სახელმწიფო მოხელეებმა ჟან მონემ და პოლ რუტერმა მიიღეს მონაწილეობა, მოუწოდებდა ერთიანი ევროპული ფედერაციის შექმნისკენ, ზეეროვნული ინსტიტუტებითა და საერთო ბაზრით, საზღვრებისა და გამყოფი ბარიერების გარეშე. მიდგომები გაიზიარეს მაშინდელმა საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, იტალიისა და ბენელუქსის (ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგის კონფედერაცია) მთავრობებმა, რასაც 1951 წელს ფოლადისა და ქვანახშირის გაერთიანების, ხოლო 1957 წელს კიდევ ორი – ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ევროპის ატომური გაერთიანების შექმნა მოჰყვა. ამ შეთანხმებების საფუძველზე აღნიშნულმა ქვეყნებმა შექმნეს ერთმანეთთან თავისუფალი სავაჭრო სივრცე და საბაჟო კავშირი, ხოლო მოგვიანებით – საერთო ბაზარი, სადაც გარანტირებული იყო საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების თავისუფალი გადაადგილება.

ზემოთ ნახსენები სამი გაერთიანება მომავალში (1967 წელს) ე.წ. შერწყმის ხელშეკრულებით ერთიან ინსტიტუციურ სტრუქტურებში მოექცა და სამივეს ერთად ევროპის გაერთიანება (ევროგაერთიანება) ეწოდა. მიუხედავად ამისა, ეს ჯერ კიდევ არ იყო ევროკავშირი, რადგანაც გაერთიანება მხოლოდ ეკონომიკური თანამშრომლობის კომპეტენციებს მოიცავდა, **დღევანდელი ევროკავშირი კი, რომელიც ფორმალურად 1992 წელს მაასტრიხტის შეთანხმებამ დააფუძნა, წევრი ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობას და ერთობლივ საქმიანობას, გარდა სავაჭრო-ეკონომიკურისა, პოლიტიკისა და მართლმსაჯულების საკითხებშიც ახორციელებს.** ევროკავშირი დღეს, 1999 წლიდან, ასევე ეკონომიკური და მონეტარული კავშირიცაა, რომლის კომპონენტია **ევროზონის** სახელით ცნობილი ერთიანი სავალუტო სივრცე. ევროს – ევროკავშირის ერთიან ფულად ერთეულს – ჯერჯერობით მხოლოდ ევროკავშირის 19 წევრი სახელმწიფო იყენებს, მაგრამ უმეტესობა ქვეყნებისა ემზადება მასზე გადასასვლელად. ერთიანი ფულადი ერთეული და მონეტარული კავშირი ხელს უწყობს ევროკავშირის სივრცეში ვაჭრობისა და ინვესტიციების თავისუფლად და დანაკარგების გარეშე განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ რიგი ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისა, როგორიცაა სან-მარინო, მონაკო, მონტენეგრო, ნეპაყოფლობით აღიარებენ ევროს საკუთარ ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებულ ოფიციალურ ფულად ერთეულად.



ევროკომისიის პირველი პრეზიდენტის უოლტერ ჰალშტაინის პირველი შეხვედრა ევროკომისიის წევრებთან





## სოფიის ფუნქციონირებს ევროკავშირი

ალბათ ბევრს სმენია ტერმინები – ევროკომისია, ევროპარლამენტი, ევროკავშირის საბჭო, ევროპული საბჭო. **ევროკავშირი არ არის ფედერაცია ან ერთიანი სახელმწიფო. ის ქვეყნების გარდამავალი სახის კავშირია, რომელიც ერთდროულად ფედერალური სახელმწიფოსა და მთავრობათშორისო ორგანიზაციის ნიშნებს ატარებს.** მიუხედავად ამისა, მისი მართვა დაახლოებით იმავე სახის ინსტიტუტებით ხდება, როგორც ეს დემოკრატიულ სახელმწიფოებს სჩვევიათ.

**ევროპარლამენტი**, რომელიც სტრასბურგში იკრიბება, საყოველთაოდ, პროპორციული წესით არჩეული ორგანოა, რომელიც ყველა წევრი ქვეყნიდან არჩეული 751 დეპუტატისაგან შედგება. იგი ევროკავშირის სხვა ინსტიტუტების ფუნქციონირების დემოკრატიულ კონტროლს ახორციელებს. ევროპარლამენტი ასევე მონაწილეობს საკანონმდებლო საქმიანობაში და გამოცემული რეზოლუციებით ევროკავშირში მოქმედი პოლიტიკური ძალების ნებას გამოხატავს კავშირის პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე.

**ევროპული საბჭო** ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურებისაგან შედგება, რომლის შეკრებების დროსაც განისაზღვრება ევროკავშირის საქმიანობისა და პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. მას უძღვება ევროპული საბჭოს პრეზიდენტი, რომელსაც წევრი ქვეყნები ორწლინახევრით ირჩევენ. ევროპული საბჭოს მიერ მიღებული მიმართულებების რეალიზაციას ევროკავშირის საბჭო ახდენს, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მინისტრებისგან შედგება. სულ საბჭოს 10 ნაირსახეობა არსებობს, სადაც, განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი დარგები (ფინანსთა და ეკონომიკის, იუსტიციის, საგარეო საქმეთა, ენერგეტიკის, გარემოს დაცვის და სხვა) მონაწილეობენ. ისინი იღებენ კანონებსა და გადანყევტილებებს, რომელთა შესრულებაც, ევროპარლამენტის მიერ მათი დამტკიცების შემდგომ, სავალდებულოა ევროკავშირის ყველა ქვეყანაში.

**ევროკომისია**, რომელსაც პრეზიდენტი და 28 კომისარი მართავს, ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ბრიუსელში. ეს მთლიანად ზეეროვნული ინსტიტუტი ამუშავებს წინადადებებს, უძღვება საერთაშორისო ურთიერთობებს, დებს



ხელშეკრულებებს სხვა ქვეყნებთან, აფინანსებს ევროკავშირის პროგრამებსა და მართავს ევროკავშირის ბიუჯეტის დიდ ნაწილს.

ევროკავშირში ასევე შექმნილია **მართლმსაჯულების სასამართლო**, რომელიც მდებარეობს ლუქსემბურგში, უმაღლესი უფლებამოსილება აქვს გააუქმოს ნებისმიერი აქტი, რომელიც მიიღო საბჭომ, ან ქვეყანას, რომელიც არ ასრულებს ევროკავშირის კანონებს, დააკისროს ჯარიმა.

ევროკავშირის ერთიან სავალუტო სივრცეს ფრანკფურტიდან მართავს **ევროპის ცენტრალური ბანკი**. ამ მნიშვნელოვანი ინსტიტუტების გარდა, ევროკავშირის პროგრამებსა და პოლიტიკას ასამდე სააგენტო და ოფისი მართავს, რომლებიც ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებით არიან დაკავებული, როგორიცაა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, გარემოს დაცვა, რეგიონული პოლიტიკა, ეკონომიკური და სოციალური საკითხები, სტანდარტები და სხვა.

## ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა

ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ჯერჯერობით განვითარების ფაზაშია. ამ სფეროში გადანყვეტილებებს ქვეყნები საგარეო საკითხთა საბჭოზე იღებენ ხოლმე. როგორც წესი, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ერთიანი პოზიციით გამოდიან გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, არ მოქმედებენ ერთმანეთთან შეუთანხმებელად მსოფლიოს ცხელ წერტილებში და ერთიანი ძალისხმევით იღვწიან საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობისთვის.

ევროკავშირი დიდ ქვეყნებთან, როგორიცაა აშშ, რუსეთი ან ჩინეთი, ინდივიდუალურ პოლიტიკას ატარებს, ხოლო შედარებით მცირე ქვეყნებთან რეგიონულ მიდგომას იყენებს. ამისთვის ის ხშირად ქმნის თანამშრომლობის ჩარჩოს, როგორიცაა, მაგალითად, ხმელთაშუაზღვისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან (საქართველოს ჩათვლით) ერთად დაფუძნებული ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა. ასევე ყველასთვის კარგადაა ცნობილი ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობა. ამ მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატში უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი მონაწილეობენ. მისი მიზანია ევროკავშირის პოლიტიკასთან პროგრესული დაახლოება პრაქტიკულად ყველა სფეროში, რეფორმების ხელშეწყობა, დემოკრატიის განვითარება, სტაბილურობის უზრუნველყოფა რეგიონული მასშტაბით, ვაჭრობის ხელშეწყობა, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და სხვა დარგებში მნიშვნელოვანი პროექტების განვითარება. ამ პოლიტიკის ფარგლებში საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ, რომლებმაც სხვა ქვეყნებზე მეტი პროგრესი აჩვენეს და უფრო ნათლად გამოხატეს თავიანთი ევროპული მისწრაფება, ევროკავშირთან გააფორმეს ასოცირების შესახებ შეთანხმებები. ამ შეთანხმებით საქართველო ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სახის ფორმატები პარტნიორ ქვეყანას უშუალოდ ევროკავშირის წევრობას არ ჰპირდება, მათი საშუალებით შესაძლებელია ისეთი რეფორმებისა და განვითარების ისეთი დღის წესრიგის განხორციელება, რომელიც შემ-




დღომი ქვეყანას ე.წ. კოპენჰაგენის კრიტერიუმების (იხ. ქვევით) დაკმაყოფილების შესაძლებლობას მისცემს და ამით ევროკავშირში სრული ინტეგრაციის მყარ საფუძველს შექმნის.

## გაფართოების ტალოები და გაწევრიანების პრაქტიკა

ევროკავშირის წევრად ახალი ქვეყნების მიღება გაფართოებად არის ცნობილი. ეს ტერმინი აქტუალურია დღესაც. დღეისათვის გაფართოების ექვს ტალღას ჰქონდა ადგილი:

- ★ 1973 – გაწევრიანდნენ გაერთიანებული სამეფო, ირლანდია და დანია
- ★ 1981 – საბერძნეთი
- ★ 1986 – ესპანეთი და პორტუგალია
- ★ 1995 – ავსტრია, ფინეთი და შვედეთი
- ★ 2004-2007 – პირველი ფაზა: უნგრეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, სლოვენია, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, კვიპროსი და მალტა; მეორე ფაზა: ბულგარეთი და რუმინეთი
- ★ 2013 – ხორვატია





## აღობათ გავიჩნდებათ ჟითხუ, თჳს ზოგოზ წჳყვრიანდებთან ქჳყურენი უწჳოჲჲაჲში?

### ამისათვის რამდენიმე პირობაა აუცილებელი:

- ★ ქვეყანა გეოგრაფიულად უნდა მდებარეობდეს ევროპაში და იზიარებდეს და პატივის სცემდეს დემოკრატიულ ფასეულობებს.
- ★ ქვეყანას უნდა უნდოდეს ევროკავშირში გაწევრიანება და ეს უნდა გამოხატოს ოფიციალური განაცხადის შეტანით.
- ★ ქვეყანა უნდა იყოს სასურველი პარტნიორი ევროკავშირის მოქმედი წევრი ქვეყნებისთვის, ისე, რომ არც ერთმა ქვეყანამ არ უნდა უთხრას მას უარი ამაზე.

ეს მხოლოდ ძირითადი ფორმალური მხარეა, მაგრამ ამის რეალიზაციას სხვა მნიშვნელოვანი პირობების დაკმაყოფილება ესაჭიროება. 1992 წელს ევროკავშირის მაშინდელმა წევრმა სახელმწიფოებმა შეიმუშავეს ე.წ. კოპენჰაგენის კრიტერიუმები, რომლებიც გაწევრიანების მსურველ ქვეყანას სამი სახის კრიტერიუმის დაკმაყოფილებას სთხოვს:

- ★ ინსტიტუტების არსებობა, რომლებიც დემოკრატიულ მმართველობასა და ადამიანის უფლებების დაცვას უზრუნველყოფენ.
- ★ ფუნქციონალური საბაზრო ეკონომიკა.
- ★ უნარი იტვირთოს ევროკავშირის მიერ აღებული ვალდებულებები და გაუძლოს კავშირის შიგნით არსებულ კონკურენტულ წნეხს.

ყველაფერი ამის რეალიზაცია გაწევრიანების მოსურნე ქვეყნისგან მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას, რეფორმებს საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში, ევროკავშირის კანონმდებლობის სრულ გადმონერგვას (ტრანსპოზიციას), სოციალურ-ეკონომიკური დონის ამაღლებასა და სიღარიბის დაძლევას. ქვეყნის ამ სახით ტრანსფორმაციის პროცესს ზედმინევნით ყურადღებით აკვირდება ევროკომისია, რომელიც ამავე დროს ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას უწევს მას ამ რეფორმების სწრაფად და ეფექტიანად წარმართვაში.



2014 წლის 27 ივნისს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის უმაღლესმა პირებმა ხელი მოაწერეს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებებს.





## ნათი გამოიჩიფა ევროკავშირი

**ევროკავშირი მსოფლიოში ყველაზე დიდი სავაჭრო მოთამაშე და ყველაზე დიდი ინვესტორია.**

ეკონომიკური განვითარების დონითა და ადამიანების კეთილდღეობის მაჩვენებლით ევროკავშირი ასევე ერთ-ერთი პირველთაგანია. თუ რატომ არა პირველი, ამის პასუხია ევროკავშირის ხშირი გაფართოება მასში ახალი წევრების მიღების ხარჯზე. როგორც წესი, ახალი წევრები ნაკლებად განვითარებული ცენტრალური და აღმოსავლეთი ან სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებია, რომლებიც საბჭოთა რეჟიმის მიერ კონტროლირებადი სოციალისტური ქვეყნების ბლოკში იმყოფებოდნენ წინა საუკუნის 90-იან წლებამდე. ევროკავშირში გაწევრიანებამ მათ მნიშვნელოვანი ეკონომიკური წინსვლა მოუტანა, მაგრამ მათი უმეტესობა ევროკავშირის საშუალო ცხოვრების დონის ბევრად დაბალ მაჩვენებელზეა. ეს ამცირებს საერთო მაჩვენებლებს მთელი კავშირის მასშტაბით. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის შედარებით ახალი წევრები – პოლონეთი, ჩეხეთი თუ ბალტიისპირა ქვეყნები – ძალზე სწრაფად ვითარდებიან და უახლოვდებიან ევროკავშირის სხვა ქვეყნებში არსებულ კეთილდღეობის დონეს. ამას ხელს უწყობს ევროკავშირის ე.წ. გათანაბრების პოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც ახალი წევრები იღებენ ძალზე მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებებს ევროკავშირის საერთო ბიუჯეტიდან.

ევროკავშირში ამჟამად 24 ოფიციალური ენაა. რატომ 28 არა? მასში ხომ 28 ქვეყანაა გაერთიანებული, შეიძლება იკითხოთ თქვენ. იმიტომ, რომ რამდენიმე ქვეყანას ერთი და იგივე ოფიციალური ენა აქვს ევროკავშირის ინსტიტუტებში გამოყენებული, მაგალითად, ავსტრიასა და გერმანიას – გერმანული, სამენოვან ბელგიას – ჰოლანდიური და ფრანგუ-





ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურები ევროპული საბჭოს სხდომის შემდეგ.

ლი, ასევე სამენოვან ლუქსემბურგს – ფრანგული და გერმანული, ხოლო კვიპროსსა და საბერძნეთს – ბერძნული. ევროკავშირი იცავს და ავითარებს ენებსა და კულტურულ მემკვიდრეობას, სწორედ ამიტომ მისი დევიზი – ერთიანობა მრავალფეროვნებაში.







## პოლიტიკა

ევროკავშირი მსოფლიოში ყველაზე მჭიდრო და ყოვლისმომცველი ინტეგრაციის მაგალითია. მას უზარმაზარი მიზიდულობა აქვს, რასაც შეიძლება რბილი ძალის გრავიტაცია ვუწოდოთ. სხვა მხრივ, ევროპის კავშირის ასევე ნორმატიულ ძალას უწოდებენ, რადგანაც ის თავის ირგვლივ კანონიერებასა და სამართლიანობას ამკვიდრებს. ევროპის კონტინენტზე პრაქტიკულად არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც ევროკავშირში განევრიანება ან მასთან მჭიდრო თანამშრომლობა არ სურდეს. დღეს ევროკავშირში განევრიანების მსურველთა შორის ამ მიზანთან ყველაზე ახლოს დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები არიან, რომელთაგანაც მონტენეგრო, ალბანეთი, მაკედონია და სერბეთი ნევრობის კანდიდატებია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ევროკავშირის მრავალი ნევრი ქვეყნის მიერ კოსოვოს სერბეთისგან დამოუკიდებლობის აღიარებამ ვერ გაანელა იმავე სერბეთის სწრაფვა ევროკავშირში განევრიანებისკენ.

ამ მოკლე წერილით შეუძლებელია ევროკავშირის შესახებ ამომწურავი ცოდნის გადმოცემა. ჩვენი მიზანია თქვენში გავალვივოთ მეტი ინტერესი ამ უნიკალური გაერთიანების მიმართ, რომლის მთავარი მიზანიც მოქალაქეების კეთილდღეობა, საყოველთაო მშვიდობა, დემოკრატიული ფასეულობების მხარდაჭერა და გავრცელება, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა, მშვიდობა და სტაბილურობაა. ევროკავშირში თანასწორუფლებიანია დიდი და პატარა ქვეყანა, მცირე და დიდი ეთნოსი, უძველესი და ახალი ენა თუ კულტურა. მისი მთავარი იარაღია განათლება და ცოდნა. სწორედ ამიტომ ირჩევს ქართველი ხალხი ევროკავშირს, როგორც საბოლოო ნავსაყუდელსა და ქოლგას მომავალი მშვიდობიანი განვითარებისთვის.





კერძო რეკლამა -

# მხსნელი, ლიდერი, გმირი



თორნიკე შარაშენიძე

## გმირის პორტრეტი

მე-20 საუკუნეს იმდენი ბოროტმოქმედი და ჯალათი ჰყავდა (მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა – ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მაო ძე-დუნი, პოლ პოტი...), რომ გმირები მათ ფონზე თითქმის არ ჩანან. მე-20 საუკუნეში იყო ორი მსოფლიო ომი, რუსული რევოლუცია, ჩინური რევოლუცია და სხვა საშინელებები, რომლებმაც ასეულ მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა და კიდევ მეტს ცხოვრება დაუნგრია. ალბათ სასწაულია, რომ ყოველივე ამის შემდეგ მსოფლიო მაინც გადარჩა და დღეს უკეთ ცხოვრობს, ვიდრე ერთი საუკუნის წინ. ეს სასწაული რამდენიმე ადამიანის დამსახურებაა, რომელთაც ნამდვილად შეიძლება გმირები ვუწოდოთ. შარლ დე გოლი ერთ-ერთი მათგანია.



პატარა შარლ დე გოლი

შარლ დე გოლი დაიბადა 1890 წელს. ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი იყო მისი სამშობლოს – საფრანგეთის ისტორიაში. ერთ დროს ევროპის უძლიერესი სახელმწიფო, რომლის მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ნაპოლეონის დიდი გამარჯვებები, 20 წლის წინ სასტიკად და სამარცხვინოდ




დამარცხდა პრუსიასთან და კონტინენტზე პირველობა გერმანელებს გადაულოცა. საფრანგეთი არა მხოლოდ დამცირებული, არამედ იზოლირებული იყო – მას არ ჰყავდა მოკავშირეები და თუკი გერმანია ისევ მოინდომებდა მის გასრესას, ვერავინ უშველიდა.

შარლს ბავშვობიდან უამბობდნენ გერმანელებთან დამარცხების ამბებს. ამან უბიძგა, რომ კარგად შეესწავლა ისტორია და სამხედრო საქმე. მის საყვარელ გასართობად მომბანა იქცა, თუმცა არა უბრალოდ მომბანა, არამედ ცნობილი ბრძოლების დადგმა და განსახიერება. შარლს შესაბამისი განათლების მიღებაში ისიც დაეხმარა, რომ მისი ოჯახის წევრები წიგნიერი და საკმაოდ შეძლებული ადამიანები იყვნენ. მათი წყალობით მომავალი პრეზიდენტი ბევრს კითხულობდა, ისტორიის გარდა კარგად შეისწავლა მხატვრული ლიტერატურა და ფილოსოფია. რაც ასევე მნიშვნელოვანია, მშობლებმა ჩაუნერგეს რწმენა, რომ საფრანგეთი თავისი ტრადიციებითა და კულტურით საამაყო და განუმეორებელი ქვეყანა იყო. როცა დე გოლზე ვსაუბრობთ, ძნელია ვთქვათ, რა უფრო მეტად გასაოცარი იყო ამ ადამიანში – მისი პატრიოტიზმი თუ ცოდნა და ინტელექტი. მოგვიანებით მან ისეთი რამეები იწინასწარმეტყველა, რაც ცოტას სჯეროდა და რაც ზედმინევნით ახდა – გერმანიის გაერთიანება, კომუნიზმის დამარცხება, რევანშისტული რუსეთი...

დე გოლის განათლებასა და ინტელექტს ემატებოდა გამორჩეული ფიზიკური აღნაგობა (იგი სიმალლით ორ მეტს აღწევდა), ძალა, ამტანობა და საოცრად უდრეკი და მტკიცე ხასიათი. 1912 წელს შარლმა წარჩინებით დაასრულა სენ-სირი (საფრანგეთის ელიტარული სამხედრო სასწავლებელი) და კოლონიებში წასვლის ნაცვლად (რასაც ბევრი ახალგაზრდა ოფიცერი აკეთებდა), საფრანგეთში დარჩა. იგი ხვდებოდა, რომ გერმანიასთან ომი გარდაუვალი იქნებოდა და სამშობლოს არა კოლონიებში, არამედ ფრანგულ მიწაზე სჭირდებოდა. იმასაც ხვდებოდა, რომ მომავალი ომისათვის მისი ქვეყანა არც ისე კარგად იყო მომზადებული. სწორედ ამიტომ ხშირად მოსდიოდა კამათი და უთანხმოება უფროსობასთან. მისდა საბედნიეროდ, ჯარში მისი ხელმძღვანელი ოფიცერი ფილიპ პეტენი იყო – პირველ მსოფლიო ომში ფრანგების საუკეთესო მეთაური, რომელიც ომის ბოლოსკენ გენერალური შტაბის უფროსიც გახდა. პეტენი, დე გოლის დარად, კრიტიკულად უყურებდა ფრანგულ ჯარს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი არაფრის შეცვლა არ შეეძლო.



შარლ დე გოლი I მსოფლიო ომის წლებში




ფილიპ პეტენი (1856-1951)



ომის დაწყებიდან ძალიან მალე დე გოლი დაიჭრა, მაგრამ გამოჯანმრთელებისთანავე ფრონტზე დაბრუნდა, მიუხედავად იმისა, რომ ახლა კიდევ უფრო უკეთ ხედავდა ფრანგული სარდლობის უუნარობასა და უგუნურებას – გენერლები მე-19 საუკუნის ტაქტიკით მოქმედებდნენ და თავიანთ მეომრებს გაუაზრებლად ერეკებოდნენ მტრის გამაგრებულ ხაზზე, საიდანაც მათ ტყვიამფრქვევები და არტილერია ბუზებივით ხოცავდა. დე გოლი ისევ დაიჭრა და ისევ დაუბრუნდა ფრონტს. 1916 წლის მარტში მან მონაწილეობა მიიღო ვერდენის ბრძოლაში – პირველი მსოფლიო ომის ყველაზე საშინელ და სისხლისმღვრელ შეტაკებაში. ვერდენთან ფრანგებს თავიდან პეტენი მეთაურობდა, რომლის წყალობითაც მათ არა მხოლოდ პოზიციები შეინარჩუნეს, არამედ დიდ მსხვერპლსაც აარიდეს თავი. დე გოლი დაიჭრა და გაზითაც მოინამლა, რის შემდეგაც იგი ტყვედ ჩავარდა და თითქმის სამი წელი (ომის დასრულებამდე) გერმანელთა ბანაკში გაატარა. იქიდან ხუთჯერ სცადა გაქცევა და ხუთივეჯერ შეიპყრეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში დე გოლი ცდილობდა გერმანული გაზეთები ჩაეგდო ხელში და იქიდან როგორმე ამოეკითხა სიმართლე ომის შესახებ. ოპტიმიზმი და გამარჯვების იმედი მას არასოდეს დაუკარგავს და ტყვეთა ბანაკში თანამემამულეებს ბოლომდე ამხნევებდა.

ასეთი ისტორიების შემდეგ ბევრი ალბათ სამუდამოდ დაეხსნებოდა სამხედრო საქმეს, მაგრამ დე გოლი არა მხოლოდ ჯარში დარჩა, არამედ პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სულ მალე ისევ ფრონტის ხაზზე ამოჰყო თავი. 1919 წელს იგი პოლონეთს გაემგზავრა, რომელსაც საუკუნეების წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობა დაებრუნებინა. დე გოლი პოლონური ჯარის ერთ-ერთ ინსტრუქტორად იქცა და როცა 1920 წელს ამ ქვეყანას ბოლშევიკური რუსეთის ე.წ. წითელმა არმიამ შეუტია, პოლონელებთან მხარდამხარ იბრძოლა და ბოლშევიკების ურდო სასტიკად დაამარცხა. სწორედ პოლონელთა ამ წარმატების წყალობით იყო, რომ მაშინ რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა – ჩვენს ქვეყანასთან ბრძოლის უნარი მას უბრალოდ აღარ ჰქონდა.

30-იან წლებში უკვე პოდპოლკოვნიკი დე გოლი კარგად ხედავდა, რომ საფრანგეთი კიდევ ერთი დიდი კატასტროფის წინაშე იდგა. გერმანია ისევ იარაღდებოდა და შურისძიებაზე ფიქრობდა, საფრანგეთი კი (როგორც ოცი წლის წინ) ისევ არ იყო ომისთვის სათანადოდ მზად. 1934 წელს დე გოლმა წიგნი გამოსცა, სადაც ამტკიცებდა, რომ ფრანგულ ჯარს სასწრაფო ცვლილებები ესაჭიროებოდა, რომ კონკრეტულად საჭირო იყო ტანკებისა და მანქანების უფრო ფართოდ გამოყენება, რომელთა წყალობითაც ჯარი უფრო მობილური და მოქნილი გახდებოდა. სამწუხაროდ, წიგნს საფრანგეთში ყურადღება ნაკლებად მიაქციეს (სამაგიეროდ, იგი კარგად შეისწავლეს გერმანიაში, რაზეც ქვემოთ მოგითხრობთ).



შარლ დე გოლი,  
პროფესიული არმიისათვის,  
1934

საფრანგეთში დიდი ადამიანებისა და დიდი იდეების კრიზისი იყო. პირველ მსოფლიო ომში ნანახი საშინელი ზარალის შემდეგ ახალ ომზე ფიქრისაც კი ყველას ეშინოდა და სიმართლეს ძალიან ცოტა უსწორებდა თვალს. პოლიტიკური კრიზისები და მთავრობების ხშირი ცვლა წესად იყო ქცეული. მოკლედ, მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ერს მძიმე დრო ედგა. დიდ ერებს ასეთ დროს გმირები ევლინებათ ხოლმე და ფრანგებსაც უკვე ჰყავდათ ასეთი გმირი. მართალია, ისინი ამ გმირს ჯერ სათანადოდ ვერ აფასებდნენ, მაგრამ გმირი ამის გამო ფარ-ხმალს არ ყრიდა.



ბრძოლა ვერდენთან, 1916

## ლიდერი იმუი

როცა 1940 წელს გერმანიამ საფრანგეთს შეუტია, დე გოლი იყო ალბათ ერთადერთი, ვინც მტერს რალაც წინააღმდეგობა გაუწია. გერმანელთა ელვისებური შეტევა (ე.წ. „ბლიცკრიგი“ – სწრაფი ომი) ტანკების მეშვეობით ხორციელდებოდა და ისინი მანევრებისას სწორედ დე გოლის წიგნში აღწერილ პრინციპებს იყენებდნენ. ფრანგები კი, თუკი პირველ მსოფლიო ომს მე-19 საუკუნის პრინციპებით აწარმოებდნენ, მეორე მსოფლიო ომს პირველი მსოფლიო ომის პრინციპებით მომზადებული დახვდნენ – მტერს სანგრებსა და ფორტიფიკაციებში ელოდნენ მაშინ, როცა მტერი სწრაფად გადაადგილდებოდა და ფრანგების ფორტიფიკაციებს უბრალოდ გვერდს უვლიდა. როგორც დე გოლმა იწინასწარმეტყველა, ომს იგებდა ის, ვისაც უფრო მობილური და მოქნილი ძალები ჰყავდა. თავად დე გოლი ფორტიფიკაციებში ლოდინის ნაცვლად ტანკებით შეეტაკა მტერს და უკანაც დაახევინა, მაგრამ, ცხადია, ამან საერთო საქმეს ვერ უშველა. დე გოლმა გენერლობა მიიღო და ომის მინისტრის მოადგილედ გახდა, მაგრამ საფრანგეთი კიდევ ერთხელ სასტიკად დამარცხდა გერმანელებთან. დე გოლი მთავრობის წევრებს მოუწოდებდა ჩრდილოეთ აფრიკაში გადასულიყვნენ და იქიდან გაეგრძელებინათ წინააღმდეგობა, მაგრამ ამაოდ. საფრანგეთი მალე დანებდა და, დე გოლის სამწუხაროდ, კოლაბორაციონისტულ მთავ-



შარლ დე გოლი II მსოფლიო ომის დროს ჩვეულებრივ ატარებდა ბრიგადის გენერლის უნიფორმას.





ფილიპ პეტენი ხვდება ადოლფ ჰიტლერს, 1940 წლის ოქტომბერი

კონფლიქტი ჰქონდათ. ჩერჩილისათვის საფრანგეთი, მართალია, მოკავშირე, მაგრამ მაინც დამარცხებული ქვეყანა იყო, რომელსაც მხოლოდ ერთილა დარჩენოდა – ინგლისისა და ამერიკისათვის მიეზარებინა თავისი ბედი და მათ მიჰყოლოდა. ფრანგების ახალი ლიდერი კი არაფრის დათმობას არ აპირებდა. მართალია, მისი ქვეყანა დამარცხდა, მაგრამ თავად ის და კიდევ უამრავი ფრანგი ბრძოლას განაგრძობდნენ და საერთოდ, საფრანგეთი საფრანგეთი არ იქნებოდა, თუკი, თუნდაც დამარცხებული, ვინმეს მსახურად ყოფნას დათანხმდებოდა. ასეთი დამოკიდებულების გამო დე გოლი საერთოდ შეიძულა ამერიკის პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა, რომელსაც არ სურდა ამპარტავანი გენერალი ფრანგების წარმომადგენლად და, მით უფრო, მათი მთავრობის ხელმძღვანელად ეცნო. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მასთან დე გოლს არა მხოლოდ ინგლისელები, არამედ რუსებიც კი ესარჩლებოდნენ. რუზველტისაგან განსხვავებით, დე გოლით აღტაცებული

რობას მისი უფროსი მეგობარი და კოლეგა – მარშალი პეტენი ჩაუდგა სათავეში.

დე გოლი ინგლისში გადავიდა და იქ დაიწყო ალბათ მისი ცხოვრების ყველაზე რთული და მძიმე ეტაპი. ინგლისიდან, როგორც დევნილი მთავრობის მეთაური, იგი ფრანგულ წინააღმდეგობას ხელმძღვანელობდა დარადიოსმეშვეობით თავის თანამემამულეებს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებდა. ჩერჩილთან მას რთული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. ისინი ერთმანეთით იყვნენ აღტაცებული, მაგრამ თითქმის მუდმივად



დე გოლი II მსოფლიო ომის დროს რადიოთი მიმართავს ხალხს

იყო ამერიკელთა სარდალი და მომავალი პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი. როცა ეიზენჰაუერის მეთაურობით 1944 წელს მოკავშირეებმა საფრანგეთში ჯარები გადასხეს, დე გოლმა ფრანგებს ისევ მიმართა რადიოთი. 14 ივნისს იგი სამშობლოში გაეშურა და მალე ტრიუმფით შევიდა პარიზში. საზეიმო მსვლელობისას მას კოლაბორაციონისტებმა სროლაც კი აუტყეს, მაგრამ გენერალმა პასუხად ფეხსაც კი არ აუჩქარა. მოკავშირეები საფრანგეთში ერთობლივი მმართველობის შემოღებას აპირებდნენ, მაგრამ დე გოლი ამას სასტიკად შეეწინააღმდეგა და ჩაშალა. საფრანგეთი მხოლოდ ფრანგებს უნდა ემართათ და ემართათ ისე, როგორც თავად მიიჩნევდნენ საჭიროდ. ეს ცხადი უკვე მაშინ



შარლ დე გოლი მეუღლესთან ერთად ინგლისში გადასვლის შემდეგ, II მსოფლიო ომის დროს გახდა, როცა დე გოლი 1944 წლის ბოლოს მოულოდნელად საბჭოთა კავშირს ესტუმრა. იმ დროისათვის უკვე რუზველტიც კი იძულებული გახდა დე გოლის მთავრობა ეცნო, თუმცა ბოლომდე, როგორც შეეძლო, მაინც ყველანაირად ავიწროებდა ფრანგების ლიდერს. ასე, მაგალითად, დე გოლი არ მიიწვიეს იალტის კონფერენციაზე, სადაც მოკავშირეებმა ევროპისა და მსოფლიოს ბედი გადანყვიტეს. ასევე არ მიიწვიეს იგი პოტსდამის კონფერენციაზე, სადაც ამერიკას უკვე ჰარი ტრუმენი წარმოადგენდა.



ანრი ჟირო, ფრანკლინ დელანო რუზველტი, შარლ დე გოლი და უინსტონ ჩერჩილი, 1943



და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, საფრანგეთი ისევ თავისუფალი იყო და მას თავისი გმირი მართავდა. ერთადერთი, რამაც მაშინ დე გოლს ალბათ მართლაც დაწყვიტა გული, ის იყო, რომ მას პეტენის ციხეში ჩასმა მოუხდა. პეტენს სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, რისგანაც იგი სწორედ ყოფილმა ოფიცერმა და შეგირდმა – დე გოლმა იხსნა.

1945 წელს საფრანგეთში არჩევნები ჩატარდა და დე გოლი, უკვე ყველანაირი საკანონმდებლო პროცედურების გავლით, იქცა მთავრობის მეთაურად. ამის შემდეგ მან უკვე ხელისუფლებაში კომუნისტებთან გააჩაღა ბრძოლა, რომლებმაც არჩევნებში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. ეს არც ისე იოლი გამოდგა და 1946 წლის დასაწყისში დე გოლი გადადგა აშკარად იმის იმედად, რომ ერი მას დაბრუნებას სთხოვდა და კიდევ მეტ ძალაუფლებას მიანიჭებდა. ასე არ მოხდა – ერს თავისი გმირი მშვიდობის ჟამს უკვე დიდად აღარ სჭირდებოდა.

დე გოლმა, 1914 წლიდან მოყოლებული ალბათ პირველად, წყნარი ცხოვრება დაიწყო და მემუარების წერას მიჰყო ხელი. აქ მან უკვე ქაღალდზე გადაიტანა ის აზრი, რომელსაც უკვე დიდი ხანია ცხოვრებაში ატარებდა – საფრანგეთი ვერ იქნებოდა საფრანგეთი, თუკი არ იქნებოდა დიდი და დიადი.

## ლიდერი მშვიდობაში

1958 წელს დიად ერს ისევ დასჭირდა თავისი გმირი. საფრანგეთს ისევ მძიმე დღეები ედგა. იგი კარგავდა თავისი იმპერიის უკანასკნელ ატრიბუტებს – კოლონიებს. იგი კარგავდა ალჟირსაც კი, რომელიც იურიდიულად ქვეყნის ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენდა.





დე გოლიც დაბრუნდა. მას კარგად ესმოდა რეალობა: საფრანგეთი ველარ იქნებოდა ის, რაც იყო თუნდაც ერთი საუკუნის წინ, ქვეყანა აუცილებლად უნდა დამშვიდობებოდა თავის იმპერიულ ამბიციებს.

მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, საფრანგეთი მაინც უნდა ყოფილიყო დიადი.


დე გოლის ინიციატივით ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგადაც საფრანგეთი საპარლამენტოდან ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკად იქცა. დიად ერს აუცილებლად სჭირდებოდა ხალხის მიერ არჩეული ლიდერი – პრეზიდენტი. იგი ამითაც უნდა ყოფილიყო გამორჩეული თუნდაც სხვა ევროპული სახელმწიფოებისგან. ასე იშვა საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკა, რომელიც დღემდე არსებობს.

საფრანგეთის ან უკვე პრეზიდენტმა დე გოლმა კი გააკეთა ის, რასაც ალბათ მხოლოდ ის თუ გაბედავდა. მან თავისუფლება მისცა კოლონიებს, აღჟირსაც კი.

ამის გამო მას გავლენიან ფრანგ ოფიცერთა ჯგუფი გადაემტერა და რამდენჯერმე მასზე თავდასხმაც მოაწყვეს. მაგრამ ორმსოფლიოშემოქცევის გენერალს ეს ნამდვილად ვერ დააშინებდა.

დე გოლი დაუახლოვდა გერმანიას და ამგვარად შეუნყო ხელი ევროკავშირის ჩამოყალიბებას. მისი ხედვით ევროპა უნდა ყოფილიყო რაც შეიძლებოდა ძლიერი და დამოუკიდებელი არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ ამერიკის გავლენისგანაც. ისევე, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, დე გოლი ახლაც თანასწორად მოპყრობას ითხოვდა ამერიკელებისა და ინგლისელებისგან და ნატოში განსაკუთრებული უფლებების მიღება სურდა. როცა ეს ვერ მიიღო, დე გოლმა

თავისი ქვეყანა ნატოს სამხედრო სტრუქტურებიდან საერთოდ გამოიყვანა. მისივე ინიციატივით საფრანგეთმა საკუთარი ბირთვული იარაღიც შექმნა, რათა საერთოდ არავისზე არ ყოფილიყო დამოკიდებული. ასე უბრუნებდა გენერალი თავის ერს საკუთარ თავში რწმენას და ასე იქმნებოდა დიადი საფრანგეთი ხელახლა. გარდა ამისა, დე გოლის მეცადინეობით შექმნილი ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის წყალობით საფრანგეთში (ისევე, როგორც თანამეგობრობის სხვა წევრ




შარლ დე გოლი საპრეზიდენტო კამპანიის დროს, 1958



შარლ დე გოლი ბავშვებთან ერთად, 1964





შარლ დე გოლი ტუნისში

ევროპულ სახელმწიფოებს შორის გადანაწილებული აფრიკის კონტინენტი 1884 წლის ბერლინის კონფერენციის შემდეგ

ქვეყნებში) მნიშვნელოვნად ამაღლდა ცხოვრების დონე. ინგლისმა, რომელმაც თავიდან უარი თქვა ამ კავშირში განუვრიანებაზე, მოგვიანებით მოინდომა მასში შესვლა, მაგრამ დე გოლმა მას ამის უფლება არ მისცა იმ მიზეზით, რომ ინგლისი „ევროპაში ამერიკელთა ტროის ცხენად“ მიაჩნდა.



ჟაკლინ კენედი და შარლ დე გოლი

ამერიკასთან მთელი ამ უთანხმოებების მიუხედავად, როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა და არჩევანი ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის იყო გასაკეთებელი, დე გოლი ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად ამერიკის მხარეს იდგა. ასე დაუჭირა მან მხარი თავის ძველ მეგობარს, ეიზენჰაუერს, ხრუშჩოვთან დაპირისპირებაში და ასევე ბოლომდე დაუდგა გვერდით პრეზიდენტ კენედის კუბის კრიზისის დროს. იგი შეიძლება ყოფილიყო ამპარტავანი და თავისი სახელმწიფოს გულისათვის ყველას-

თან ჰქონოდა კონფლიქტი, მაგრამ უმადური არასოდეს ყოფილა. ჩერჩილისადმი თავის მადლიერებას იგი სიცოცხლის ბოლომდე გამოხატავდა და მას საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოც უბოძა.

შარლ დე გოლი 1969 წელს გადადგა. უარი თქვა როგორც პრეზიდენტის, ასევე გენერლის პენსიაზე. საფრანგეთის უდიდეს ლიდერს ყველაფერი თავისი სამშობლოსათვის უნდოდა. იგი შეძლებისდაგვარად ნაკლებად სარგებლობდა მინიჭებული პრივილეგიებით და ბევრი რამის ფულს საკუთარი ჯიბიდან იხდიდა.

შარლ დე გოლს ნაპოლეონს ადარებენ. რთული სათქმელია, რომელია უფრო დიდი. ცხადია, გამარჯვებებისა და დაპყრობების მასშტაბით ნაპოლეონს ვერავინ შეედრება, მაგრამ ნაპოლეონმა ბოლოს ყველაფერი დაკარგა, რაც კი დაპყრობით მოიპოვა. მას ერთიანი ევროპის შექმნის იდეა ჰქონდა, მაგრამ ამას ძალით ახორციელებდა, რაც ევროპისათვის მიუღებელი იყო. დე გოლმა კი საფრანგეთი გადაარჩინა როგორც სახელმწიფო და როგორც დიდი ერი. მან ერთიანი ევროპის შექმნაშიც დიდი როლი ითამაშა.

ორივე გმირი საფრანგეთს რთულ დროს მოეწვლინა, მაგრამ დე გოლის დრო ალბათ კიდევ უფრო რთული იყო. თუნდაც ამიტომ გმირი უფრო, ალბათ, სწორედ მას უნდა ვუწოდოთ.

შარლ დე გოლი მეუღლესთან ერთად







# Magna Carta Libertatum – თავისუფლების დიდი ქარტია

## გიორგი ბაღრიკა


თუ დღევანდელ მსოფლიოში არსებულ ქვეყნებს მოსახლეობის კეთილდღეობის დონით და სახელმწიფოს სიძლიერის მიხედვით ერთმანეთს შევადარებთ, აღმოვაჩენთ, რომ მათ შორის ყველაზე წარმატებული, თითქმის უკლებლივ, დემოკრატიული სახელმწიფოებია. ამ წარმატებულ დემოკრატიებს შორის კი განსაკუთრებით გამოირჩევა ერთი ჯგუფი ქვეყნებისა, რომლებსაც ინგლისთან საერთო პოლიტიკური და კულტურული ფესვები აკავშირებთ.

არცთუ შორეულ წარსულში ბრიტანეთი მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე დიდი იმპერია იყო. XX საუკუნის შუაში მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს როლი ბრიტანეთისგან მისმა ყოფილმა კოლონიამ – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაიბარა. ბრიტანეთის სხვა ყოფილი კოლონიებიც, რომლებიც ბრიტანელ მონარქს დღესაც აღიარებენ საკუთარი სახელმწიფოების სიმბოლურ მეთაურად, ასევე მსოფლიოს უმდიდრეს და ყველაზე წარმატებულ ქვეყნებს შორის არიან, ესენია: კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სხვები. ისიც ფაქტია, რომ ინგლისური დღეს მსოფლიოს ყველაზე გავრცელებული ენაა – ის დიდი ხანია საერთაშორისო პოლიტიკის, ბიზნესის და კულტურის ენად იქცა, რომელზეც მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ლაპარაკობენ.



თავისუფლების დიდი ქარტია





მეფე ჯონი ბეჭედს ასვამს „მაგნა კარტას“

ჩემი აზრით, არსებობს ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში სხვებზე მეტად წარმატებული საზოგადოება ცხოვრობს. ეს მიზეზი ამ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური სისტემა გახლავთ, რომლის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

წელს, 2015 წლის 15 ივნისს, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი იუბილე სრულდება. 800 წლის წინ ინგლისში შეიქმნა დოკუმენტი, რომელმაც მომდევნო ისტორიის მსვლელობაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ჯერ ამ ქვეყანაში, ხოლო მოგვიანებით – მთელ მსოფლიოში. ამ დოკუმენტს თავისუფლების დიდი ქარტია ეწოდა, ლათინურად – **Magna Carta Libertatum** (ევროპაში ხომ იმ დროის ოფიციალური დოკუმენტები ლათინურ ენაზე იწერებოდა).

საინტერესოა, რომ მეფე რიჩარდ „ლომგულის“ უმცროსი ძმა და მემკვიდრე, ჯონი, სწორედ „მაგნა კარტას“ წყალობით შევიდა ისტორიაში ისე, რომ არც რაიმე გმირობა ჩაუდენია ოდესმე და ამ დოკუმენტის მიღებასაც იძულებით დათანხმდა. თუმცა, დიდი ალბათობით, მეფე ჯონის შესახებ, როგორც ბოროტ და უსამართლო მეფეზე, ბევრ ადამიანს უფრო რობინ ჰუდთან დაკავშირებული ლეგენდებიდან სმენია.

მაშ, რას წარმოადგენს „მაგნა კარტა“ და რატომ მიმაჩნია, რომ ამ დოკუმენტმა ისტორია შეცვალა?

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მეფე ჯონი ისევე, როგორც ამ დროის მონარქების უმეტესი ნაწილი, საკუთარ ძალაუფლებას ღმერთისგან ბოძებულად თვლიდა და, შესაბამისად, საკუთარ ქვეშევრდომებს თავისი ნება-სურვილის მიხედვით ეპყრობოდა. თუ ფული შემოაკლდეოდა – ახალ ბეგარას დაანესებდა, თუ სხვისი ქონება მოეწონებოდა – წაართმევდა, ხოლო თუ ვინმე წინ აღუდგებოდა – ან საპყრობილეში ჩააგდებდა, ან მოაკვლევინებდა.



\* ინგლისში არსებული ტრადიციის თანახმად, მეფედ ან დედოფლად კურთხევისას მომავალი მონარქი ხშირად (თუმცა არა ყოველთვის) თავად ირჩევს საკუთარი მეფობის სახელს. ეს ტრადიცია უნდა მომდინარეობდეს რომის პაპების მიერ დანერგილი პრაქტიკიდან.



**იოჰან ჯონი**  
(1166-1216)

ამგვარმა საქციელმა რომ მას პოპულარობა არ მოუტანა იქიდანაც ჩანს, რომ ინგლისის ისტორიაში ის ერთადერთი მეფეა, სახელად ჯონი, რომლის არც ერთმა შთამომავალმა არ ისურვა მისი სახელის ტარება (ინგლისის მეფეების ისტორიაში რვა ჰენრი, რვა ედვარდი, ექვსი ჯორჯი და მხოლოდ ერთი ჯონი\*). ამის კიდევ ერთი მიზეზი ალბათ ისიც იყო, რომ ჯონი, უსამართლობასთან და სხვა უარყოფით თვისებებთან ერთად, ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მეფეც იყო.

ამ სისუსტემ თავისი როლი ითამაშა, როცა მისი ძალადობით და უსამართლობით აღშფოთებულმა ბარონებმა და ეკლესიის მესვეურებმა (ჯონი ეკლესიასაც ართმევდა ქონებას) მასთან დაპირისპირება გაბედეს და აიძულეს დაედო წერილობითი ფიცი, რომ ის აღარ შებღალავდა თავისი ქვეშევრდომების უფლებებს. სწორედ ამ დოკუმენტს ეწოდა „მაგნა კარტა“.

ეს ნიშნავდა, რომ ამიერიდან მეფე და მისი წარმომადგენლები ვერავის წაართმევდნენ ქონებას და სასამართლოს გარეშე ვერც ერთ ადამიანს ვერ შეუზღუდავდნენ თავისუფლებას, ანუ სასამართლო მოსმენის და სამხილის წარდგენის გარეშე ციხეში ველარავის ჩააგდებდნენ.

ქარტია უკრძალავდა მეფეს ახალი გადასახადების შემოღებას მისი ქვეშევრდომების საბჭოს თანხმობის გარეშე. ამ საბჭოს საფუძველზე სულ ცოტა ხანში შეიქმნა ინგლისის პარლამენტი.

მაგრამ მთავარი, რაც ამ ქარტიით დადგინდა, იყო ის, რომ ყველა ადამიანი და თავად მეფეც თანასწორი იყო კანონის წინაშე. შესაბამისად – **დაიბადა კანონის უზენაესობის ცნება.**

ქარტიიდან, ასევე პირველად ევროპის ისტორიაში, გამომდინარეობდა, რომ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროს წარმოადგენს არა ღმერთისგან ხელდასხმული მეფე, არამედ ხალხი, ხოლო მისი განხორციელება ხდება ხალხის წარმომადგენელი ორგანოს, მომავალში პარლამენტად წოდებული საბჭოს მიერ. სიტყვა „პარლამენტი“ სხვას არაფერს ნიშნავს, გარდა „საბჭოსი“ – ადგილისა, სადაც მნიშვნელოვან საკითხებზე ბჭობენ.

მაშ ასე, „**მაგნა კარტამ**“ ინგლისს და მსოფლიოს მისცა ის ცნებები და ინსტიტუტები, რომლებსაც მომავალში დემოკრატია დაეფუძნა – ის, რომ სახელმწიფო ძალაუფლება ხალხის ნებაზეა დამყარებული; ის, რომ

ბრიტანეთის პარლამენტის შენობა







ინგლისის მეფე ჩარლზ I-ის თავის კვეთა, მხატვარი – თვითმხილველი ჯონ ვიზოვი

ეს ნება მათი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ხორციელდება; ის, რომ ადამიანის თავისუფლება და ქონება ხელშეუხებელია; რაც მთავარია, ის, რომ კანონის წინაშე ყველა, მათ შორის მეფე, თანასწორია და ამ ყველაფრის ზედამხედველის როლს ასრულებს დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო.

„მაგნა კარტას“ მიღებამ, ბუნებრივია, ინგლისი დემოკრატიად მაშინვე არ აქცია – ამას საუკუნეები და დიდი ბრძოლა დასჭირდა. თავისი შეუზღუდავი ძალაუფლების აღდგენა თავად მეფე ჯონმაც სცადა, მაგრამ ბარონებთან ბრძოლაში დამარცხდა. ამის შემდეგ ყოველი ახალი მეფე ახლიდან ადასტურებდა „მაგნა კარტას“ პრინციპებს, თუმცა არაერთმა სცადა მისი უგულებელყოფა. XVII საუკუნეში მეფე ჩარლზმა დაითხოვა პარლამენტი და თვითნებურად შემოიღო ახალი გადასახადები. ის ამტკიცებდა, რომ ღვთაებრივი უფლებებით აღჭურვილ მეფეს ხალხის წარმომადგენლების თანხმობა საკუთარ გადაწყვეტილებებზე არ სჭირდებოდა. ეს დიდი შეცდომა აღმოჩნდა. პარლამენტთან მეფის დაპირისპირებას სამოქალაქო ომი, მეფის მარცხი და მისი გასამართლება მოჰყვა, რომლის შედეგად 1649 წელს ჩარლზს თავი მოჰკვეთეს.

ჩარლზის შთამომავლებმა გაკვეთილი აითვისეს და საკუთარი ძალაუფლების კიდევ უფრო მკვეთრ შეკვეცას დათანხმდნენ. ამ პერიოდში, 1667 წელს, მიღებულ იქნა Habeas Corpus-ის ახალი რედაქცია – საკანონმდებლო აქტი, რომელიც მოქალაქეებს გარანტიას აძლევდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ადამიანის დაპატიმრება ვერ მოხდებოდა. 1689 წელს კი მიიღეს ადამიანის უფლებათა ბილი, რომელიც დღესაც ძალაშია: ეს საკანონმდებლო აქტი, „მაგნა კარტას“ პრინციპებზე დაყრდნობით, ადასტურებს მონარქის უფლებების კიდევ უფრო შეზღუდვას, აწესებს პარლამენტის რეგულარულ შეკრებას, პარლამენტის წევრთა რეგულარულ თავისუფალ არჩევნებს, პარლამენტში სიტყვის თავისუფლებას, სასტიკი და არაჰუმანური სასჯელების აკრძალვას და ადამიანის ფართო უფლებებს.





ადამიანის უფლებების ბილში თავმოყრილი პრინციპები ასახავდა დიდი ბრიტანელი მოაზროვნის ჯონ ლოკის პოლიტიკურ იდეებს. ამ დროიდან ბრიტანეთის გეზი დემოკრატი-ისკენ შეუქცევადი ხდება – ხელისუფლებას ლეგიტიმაციას აძლევს ხალხი, მის მიერ არჩეული პარლამენტის სახით. მართალია, XVII საუკუნის ბოლოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ შეძლებულ ფენას ჰქონდა, მაგრამ მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში საარჩევნო ხმის უფლების მქონე ადამიანების რიცხვი განუხრელად იზრდებოდა და ბოლოს საყოველთაო გახდა.

მაშ ასე, 1215 წელს მიღებულმა „მაგნა კარტამ“ ბიძგი მისცა ისეთი პოლიტიკური სისტემის ევოლუციას, რომლის საფუძველზეც ინგლისი და მის მიერ შექმნილი ბრიტანუ-



ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატა – ყოველ ოთხშაბათს პრემიერ-მინისტრი ვალდებულია უპასუხოს პარლამენტის წევრთა კითხვებს.

ლი სახელმწიფო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე დიდი იმპერია იყო და ამ იმპერიის დაშლის შემდეგაც ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ქვეყნად დარჩა.

ის, რომ ბრიტანეთის წარმატება შემთხვევითი არ იყო და რომ „მაგნა კარტაზე“ დაფუძნებულ პოლიტიკურ სისტემას, ანუ კანონის უზენაესობას, თავისუფლებას და დემოკრატიას პირდაპირი კავშირი აქვს საზოგადოების კეთილდღეობასთან, იქიდანაც ნათლად დასტურდება, რომ ყველგან, სადაც ეს პრინციპები დამ-



კვიდრდა, ხალხი ბევრად უკეთ ცხოვრობს, ვიდრე არათავისუფალ საზოგადოებებში.

ამის საუკეთესო მაგალითებია კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სხვა ყოფილი ბრიტანული კოლონიები, რომლებშიც დღესაც ინგლისური პარლამენტარიზმი და სამართალი მოქმედებს.

ამერიკის შეერთებული შტატები ერთ-ერთი პირველი გამოეყო ბრიტანულ იმპერიას, რაც სისხლისმღვრელი ომის შედეგად მოხდა. მაგრამ აქაც „მაგნა კარტამ“ მოახდინა უდიდესი გავლენა ბრიტანეთის 13 ამერიკული კოლონიის მიერ დამოუკიდებელი კავშირის შექმნაზე და მათ შემუშავებულ კონსტიტუციაზე, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში დღესაც მოქმედებს. მომავალში აშშ მსოფლიოს უმდიდრესი და უძლიერესი სუპერსახელმწიფო გახდება და თავად ბრიტანეთს ჩაანაცვლებს, როგორც მსოფლიოს ნომერ პირველი ქვეყანა.



ჯონ ლოკი  
(1632-1704)

### „ინგლისი“ და „ბრიტანეთი“

ისტორიულად ინგლისის სამეფო ბრიტანეთის კუნძულებზე არსებულ სახელმწიფოებს შორის ყველაზე ძლიერი იყო და მის გარშემო გაერთიანდა სახელმწიფო, რომელსაც დღეს „დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო“ ჰქვია. მას შემოკლებით „დიდ ბრიტანეთს“, „გაერთიანებულ სამეფოს“ ან უბრალოდ „ბრიტანეთსაც“ ვუწოდებთ ხოლმე. თუმცა, დღევანდელი ინგლისი ამ სახელმწიფოს მხოლოდ ერთი ნაწილია. ინგლისის გარდა მასში ფართო ავტონომიით შედიან შოტლანდია, უელსი და ჩრდილოეთ ირლანდია, რომლებსაც საკუთარი პარლამენტები აქვთ და მრავალ საშინაო საკითხს ლონდონის გარეშე წყვეტენ. ყოველ მათგანს საკუთარი ფეხბურთის და რაგბის ეროვნული ნაკრებებიც ჰყავთ.

ამის მიზეზი ისაა, რომ ჩამოთვლილი ოთხი ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარ-

მოადგენდნენ და ეტაპობრივად გაერთიანდნენ. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ინგლისმა შემოიერთა უელსი, ხოლო ინგლისის და შოტლანდიის კავშირის აქტი გაფორმდა 1707 წელს. სწორედ მათ კავშირს ეწოდა „დიდი ბრიტანეთი“. ხოლო 1800 წელს დიდმა ბრიტანეთმა გააფორმა კავშირი ირლანდიასთან (ამ აქტებამდე ირლანდიაც და შოტლანდიაც ფორმალურად დამოუკიდებელ ქვეყნებად ითვლებოდნენ, თუმცა ინგლისის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ). 1800 წლიდან ამ სახელმწიფოს ეწოდა „დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის გაერთიანებული სამეფო“. XIX საუკუნეში, განსაკუთრებით ინდოეთის დაპყრობის შემდეგ, მას „ბრიტანეთის იმპერიადაც“ მოიხსენებდნენ. 1922 წელს გაერთიანებულ სამეფოს გამოეყო ირლანდიის სამხრეთი ნაწილი და შესაბამისად შეიცვალა სახელმწიფოს სახელიც და გახდა „დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო“.

მაშ ასე, ბრიტანეთის იმპერიის წარმოშობამ სამართლებრივი სახელმწიფოს, კანონის უზენაესობის და საბოლოო ჯამში დემოკრატიის პრინციპები მსოფლიოს ყველაზე შორეულ კუთხეებამდეც მიიტანა და იმპერიის დაშლის შემდეგაც მოაქვს კეთილდღეობა ამ ქვეყნების ხალხებისათვის.

თავისუფალმა მენარმეობამ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში ხელი შეუწყო ინდუსტრიული რევოლუციის განვითარებას – ბრიტანელმა ინჟინრებმა გამოიგონეს ორთქლის მანქანა, რომელმაც შეცვალა პრაქტიკულად ყველა ინდუსტრია, რკინიგზა და უამრავი სხვა; XX საუკუნეში – ტელევიზორი, რეაქტიული ძრავა, კომპიუტერი და ა.შ. ეს ყველაფერი სწორედ პიროვნების, მისი ქონებისა და სამენარმეო საქმიანობის თავისუფლების და სახელმწიფოს მხრიდან დაცულობის გამო გახდა შესაძლებელი. ასევე აღსანიშნავია, რომ მას შემდეგაც, რაც ბრიტანეთის იმპერიას მისი ყოფილი კოლონიები გამოეყო, დიდი ბრიტანეთი კვლავ რჩებოდა და რჩება მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად. მართალია, 60-იან წლებში, როდესაც ბრიტანეთმა კოლონიების უმეტესობას თავისუფლება





ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მოერე 1960-იანი წლების დასაწყისით გერმანულ მერსედეს 600-ში.

მიანიჭა, ამ უკვე შედარებით პატარა ქვეყანამ ახლიდან დაიწყო მსოფლიოს დაპყრობა, ოღონდ ამჯერად „ბითლზებით“, „როლინგ სტოუნზით“, „პინკ ფლოიდით“ და „ლედ ზეპელინით“.

ისიც უნდა ითქვას, რომ დემოკრატიულ მოდელს თავისი ძლიერი კონკურენტიც ჰყავდა. XX საუკუნეში ბოლშევიკური რუსეთის და შემდეგ საბჭოთა კავშირის მეშვეობით მსოფლიოში სრულიად სხვაგვარი პოლიტიკური სისტემაც გავრცელდა. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ სსრკ-ს საშუალება მისცა სოციალიზმი და კომუნისტური მმართველობა თავზე მოეხვია ევ-

როპის „განთავისუფლებული“ ერებისთვის. ცივი ომის დროს კომუნიზმის საცეცები შორეულ კონტინენტებსაც გადასწვდა. მსოფლიო ორ დიდ ბანაკად დაიყო, რომელთა შორის, გეოპოლიტიკურის გარდა, იდეოლოგიური ბრძოლაც მიმდინარეობდა.

1989 წელს ცივი ომი კომუნისტური ბლოკის დაშლით დასრულდა, რასაც მალე თავად სსრკ-ის ჩამოშლაც მოჰყვა. არა, საბჭოთა კავშირს არ გაუთავდა ტანკები თუ ბირთვული რაკეტები – უბრალოდ ამ დროისთვის ნათელი გახდა, რომ სოციალისტური პოლიტიკური და ეკონომიკური მოდელი არ მუშაობდა – ის უბრალოდ გაკოტრდა.

პოლიტიკური მეცნიერების ამერიკელმა მკვლევარმა ფრენსის ფუკუიამამ თავის გახმაურებულ სტატიაში მაშინ განაცხადა, რომ ჩვენ ისტორიის დასასრულის მომსწრე ვიყავით. ის, რა თქმა უნდა, არ გულისხმობდა სამყაროს დასასრულს, პირიქით, მისი აზრით,



მსოფლიო თავისი ევოლუციის უმაღლეს მწვერვალს მიუახლოვდა და მალე მთელ მსოფლიოში ლიბერალური დემოკრატია და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა გაიმარჯვებდა. ამის საფუძველს მას აძლევდა ის ფაქტი, რომ ცივი ომი დასავლური დემოკრატიების გამარჯვებით დასრულდა და ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნები თავად ესწრაფოდნენ დემოკრატიისა და კაპიტალისტური ეკონომიკის დამკვიდრებას.

ამის მიზეზი მარტივი იყო – ათწლეულების მანძილზე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები საბჭოთა კავშირის მიერ თავს მოხვეული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის პირობებში ცხოვრობდნენ. შედეგი უუფლებობა და სიღარიბე იყო.

ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ყველაფერი პოლიტიკური სისტემის ბრალი არაა – ყველა ერი ერთნაირად წარმატებული ვერ იქნება, გასათვალისწინებელია კულტურული და სხვა თავისებურებები. მართალია, კულტურა, ტრადიციები და უამრავი სხვა ფაქტორი გავლენას ახდენს ამა თუ იმ ქვეყნის წარმატებაზე, მაგრამ ისტორიამ აჩვენა, რომ როგორც წესი, ის ქვეყნები, სადაც თავისუფლება გარანტირებულია, უფრო წარმატებული არიან.

ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ორად გაყოფილი გერმანია გახლდათ. დასავლეთი გერმანია, რომელშიც ომის შემდეგ დემოკრატიული წყობილება დამყარდა, 80-იანი წლებისთვის მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანას წარმოადგენდა, ხოლო აღმოსავლეთი გერმანია, რომელსაც საბჭოთა კავშირმა საკუთარი სისტემა მოახვია თავს, ისეთივე ღარიბი იყო, როგორც ყველა სოციალისტური ქვეყანა.

მხოლოდ მათ მიერ გამოშვებული მანქანების შედარება რად ღირს! დასავლეთ გერმანია აწარმოებდა „მერსედეს ბენცს“, „ბე-ემ-ვეს“, „აუ-დის“ და „პორშეს“, ხოლო აღმოსავლეთი – „ტრაბანტს“ და „ვარტურგს“.



აღმოსავლეთ გერმანიის წარმოების „ვარტურგი“



„ტრაბანტი“



ფრანც ბეკენბაუერი, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი დასავლეთ გერმანიის კაპიტანი





მეექვსეა, დღეს ბევრს ახსოვდეს ეს ორი ავტომობილი – უბრალოდ მენდეთ, რომ ორივე საშინელი იყო.

დასავლეთ გერმანიის ფეხბურთელები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონები იყვნენ (და 1990-ში მესამეჯერ გახდნენ), ხოლო გდრ-ის სპორტული მიღწევები იმ სახეობებით იყო შემოფარგლული, რომლებშიც წარმატებას დოპინგის მიღება განსაზღვრავდა (გდრ-ის მესვეურები თავიანთ სპორტსმენებს აიძულებდნენ აკრძალული პრეპარატების მიღებას).

დაბოლოს, ბერლინის კედელი, ცივი ომის სიმბოლო, კომუნისტურ გერმანიაში იმიტომ კი არ აშენდა, რომ ვინმესგან თავი დაეცვათ, არამედ იმისთვის, რომ საკუთარი მოქალაქეებისთვის სანუკვარი ოცნების ასრულების – დასავლეთ ბერლინში გაქცევის საშუალება არ მიეცათ.

ბუნებრივია, გერმანიის შემთხვევაში კულტურულ ფაქტორებზე ლაპარაკს აზრი არ აქვს – ერთი და იმავე ერის წარმომადგენლები თავისუფლების და დემოკრატიის პირობებში მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ ეკონომიკას ქმნიან და დასავლეთ გერმანია ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია, ხოლო ამავე ერის ნაწილი, თავისუფლების გარეშე იმად იქცევა, რაც 1990 წლამდე გდრ-ი იყო.

ამაზე უფრო კონტრასტულია კორეის მაგალითი, რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც ორადაა გაყოფილი. მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულია სამხრეთკორეული გემთმშენებლობა, ავტომობილები და ელექტრონიკა. ყველამ იცის ისეთი ბრენდები, როგორიცაა „სამსუნგი“, „კია“ და „ჰიუნდაი“. ამ დროს ჩრდილოეთ კორეას იცნობენ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მოსახლეობა კოლექტიურ მონობაშია და კიმების ოჯახის მორიგ წარმომადგენელ დიქტატორს იძულებით ეთაყვანება.



უნდა ვაღიარო, რომ ისტორიის განმავლობაში ტოტალიტარიზმიც არაერთხელ ყოფილა ძლიერი სახელმწიფოს საყრდენი. საბჭოთა კავშირი სწორედ ამის მაგალითი იყო, მაგრამ ისტორიამ ასევე აჩვენა, რომ არათავისუფალ ქვეყნებში სახელმწიფოს სიძლიერე საზოგადოების კეთილდღეობას სულაც არ ნიშნავს და მეორე – როგორც კი ხელისუფლების ძალა მცირდება, ამგვარი სახელმწიფო სსრკ-ის მსგავსად იშლება.

ასევე ვაღიარებ, რომ დემოკრატიასთან შედარებით ტოტალიტარულ სისტემაში გადანყვეტილების მიღება ბევრად უფრო სწრაფად ხდება – არაა საჭირო ხანგრძლივი პროცედურები პარლამენტში, მოლაპარაკება და კომპრომისი ოპოზიციასთან, არ არსებობს იმის საშიშროება, რომ ხელისუფლების გადანყვეტილებას ვინმე გაასაჩივრებს და სასამართლო მას დაბლოკავს. ოღონდ ამას ერთი დიდი პრობლემა მოჰყვება – ისტორიას ჯერ არ ახსოვს ისეთი

კორეის ნახევარკუნძული ღამით – სატელიტური ფოტო. იპოვეთ განსხვავება კომუნისტურ ტირანიას და თავისუფალ საზოგადოებას შორის.



დიქტატორი, რომელიც ერთდროულად ჭკვიანიცაა და კეთილიც, ამიტომ ამგვარი ადამიანების მმართველობა ან ტირანიით და სასტიკი რეპრესიებით მთავრდება, ან არაკომპეტენტურობით გამოწვეული პოლიტიკური და ეკონომიკური კოლაფსით.

დემოკრატია, ტოტალიტარიზმთან შედარებით ტლანქი და შედარებით, ნელი მექანიზმია, სადაც გადანყვეტილებების მიღება შეგნებულადაა გართულებული. ამას გადამონმების და დაბალანსების პრინციპი ჰქვია: ხელისუფლება დაყოფილია ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სამ შტოდ – საკანონმდებლო (პარლამენტი), აღმასრულებელი (მთავრობა) და სასამართლო. ამ რთული სისტემის მიზანია, რომ ყოველი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება და კანონი შეესაბამებოდეს საზოგადოების ინტერესს და მაქსიმალურად ეფექტური იყოს. ამგვარ სისტემაში მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე, პარლამენტი კი ხალხის ფართო ფენას წარმოადგენს. სასამართლო ყველასგან დამოუკიდებელია და არბიტრის როლს ასრულებს მოქალაქეთა შორის დავის დროს, ასევე დავაში სახელწიფოსა და მოქალაქეს შორის და სახელმწიფო ძალაუფლების სხვადასხვა შტოს შორისაც.

ვინმე იკითხავს: – თუ დემოკრატია და თავისუფლებას ამდენი უპირატესობა აქვს, რატომ არ არის იგი გაბატონებული მთელ მსოფლიოში? რატომ არსებობს ამდენი ტოტალიტარული რეჟიმი, რომელიც საკუთარ ხალხს დამონებულ მდგომარეობასა და სიღატაკეში ამყოფებს?

საქმე ისაა, რომ თავისუფლება, რომელსაც დემოკრატია და კანონის უზენაესობა ემყარება, სერიოზული ტვირთია – ის მხოლოდ მაშინ აქვს ადამიანს და საზოგადოებას, როცა სერიოზულ პასუხისმგებლობას იტვირთავს, პირველ რიგში – საკუთარ ქცევაზე. თანაც თავისუფლება თავისით არასდროს მოსულა, მისთვის ბრძოლაა საჭირო და ხშირად – დიდი მსხვერპლი.







თამარ მეფე და შოთა რუსთაველი, მხატვარი მიხაი ზიჩი

## ქართული პარლამენტის დაარსების მცდელობა

1184 წელს, გიორგი მესამის გარდაცვალებისა და თამარის გამეფების შემდეგ, დიდებულების და მოქალაქეების ჯგუფმა, რომელსაც სამეფო კარის მეჭურჭლეთუხუცესი (ანუ სახელმწიფო ხაზინის უფროსი - ფინანსთა მინისტრის ეკვივალენტი), სახელად ყუთლუ-არსლანი ხელმძღვანელობდა, მოითხოვა პარლამენტის მსგავსი საკანონმდებლო ორგანოს - „კარვის“ შექმნა. მას სჭირად „ისნის კარვად“ მოიხსენიებენ, რადგან ის ისანში უნდა მონყოილიყო სამეფო სასახლესთან ახლოს. ყუთლუ-არსლანი და მისი მომხრეები (დასი) მემბოხეებად გამოაცხადეს და ისნის კარვის იდეაც განუხორციელებელი დარჩა.

ჩვენთვის, ქართველებისთვის, თავისუფლებისთვის ბრძოლა უცხო არაა. ასე რომ არ იყოს, ჩვენი, როგორც თვითმყოფადი ერის, კვალი დიდი ხნის წინ გამქრალი იქნებოდა. მართალია, ჩვენი საზოგადოების ნაწილი წარმატებით თანამშრომლობდა ხოლმე დამპყრობლებთან, მაგრამ საბოლოო ჯამში, ჩვენს ერს ყოველთვის თავისუფლება ერჩივნა და ამისთვის ხშირად უთანასწორო ბრძოლაში ებმებოდა. რაც მთავარია, თავისუფლებისთვის ბრძოლა მხოლოდ მტრისგან თავის დაცვას არ ნიშნავდა.

ისტორიას თუ გავიხსენებთ, საქართველოს ჰქონდა შანსი, რომ ინგლისისთვის პირველობა ჩამოერთმია და „მაგნა კარტას“ მსგავსი დოკუმენტი საქართველოში დაბადებულიყო. მეთორმეტე საუკუნის ოთხმო-

ციან წლებში, „მაგნა კარტამდე“ ოცდაათი წლით ადრე, ქართველმა დიდებულებმა და მოქალაქეებმა მოითხოვეს პარლამენტის დაარსება, რომელიც საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე და მეფისგან დამოუკიდებლად მიიღებდა გადაწყვეტილებებს, ხოლო თავად მეფეს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის როლს დაუტოვებდა.

სამწუხაროდ, ქართული პარლამენტის იდეა მაშინ დამარცხდა და დემოკრატიის საფუძვლების ჩასახვა მრავალი საუკუნით გადაიდო. ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა ჩვენი ისტორია, ინგლისის მსგავსი გზა რომ აგვერჩია?! პატარა ინგლისმა თავისი პოლიტიკური სისტემის მოქნილობის გამო მსოფლიო იმპერიის სტატუსს მიაღწია, ასე რომ შესაძლოა, ქართული სახელმწიფოს ოქროს ხანის დასრულება XIII საუკუნის დასაწყისში სულაც არ იყო გარდაუვალი.



ისტორია, რომელიც ზემოთ მოგახსენეთ, სულაც არ ამბობს, რომ თავისუფლება ან დემოკრატია ინგლისელებმა გამოიგონეს. თავისუფლება ადამიანების მარადიული მოთხოვნილებაა და დემოკრატიის პირველი ცდები ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში იყო. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბერძნული და რომაული დემოკრატია დიდი ხნის დავიწყებული იყო, როდესაც მსოფლიოს „მაგნა კარტა“ მოეწვინა. ამ უკანასკნელის შედეგად დაიბადა კანონის უზენაესობის იდეა. მანვე განაპირობა თანამედროვე პარლამენტებს შორის უძველესის – ბრიტანული პარლამენტის შექმნა. დღევანდელ მსოფლიოში ყველაზე წარმატებული სწორედ ის ქვეყნებია, რომლებმაც მრავალი საუკუნის წინ ინგლისში ევოლუციური გზით წარმოქმნილი პოლიტიკური სისტემა გაიზიარეს და ადამიანის თავისუფლება და კეთილდღეობა თავის უმთავრეს ღირებულებად დაამკვიდრეს, რომლებშიც სახელმწიფო ადამიანს ემსახურება და მთავრობა ადამიანების ნების შესაბამისად მოქმედებს.


დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ხალხი ნახევარ გზაზე არ გაჩერდება და ჩვენი ქვეყანა ჭეშმარიტად თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ შედგება. შემთხვევითი არაა, რომ რუსეთის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მის სამეზობლოში, მათ შორის საქართველოში, არ დაუშვას დასავლური ტიპის დემოკრატიის გამარჯვება, რადგან კარგად იცის, რომ ავტორიტარულ და ღარიბ ქვეყნებს უფრო ადვილად დაიმორჩილებს, ვიდრე თავისუფალსა და წარმატებულს.

ბრიტანეთის პარლამენტის ლორდთა პალატა - პარლამენტის ხსნის დედოფალი





## სეკულარიზაცია



ზაალ ანდრონიკაშვილი

სიტყვა **სეკულარიზაცია** პირველად XVI საუკუნეში გაჩნდა და თავიდან სასულიერო პირის ერში დაბრუნებას, მოგვიანებით კი საეკლესიო ქონების საერო საკუთრებაში გადაცემას ნიშნავდა. ლათინური სიტყვა **saeculum** „დროს“ ან „ხანას“ აღნიშნავს და თავისი მნიშვნელობით მარადიულს უპირისპირდება, როგორც მიწიერი, ამქვეყნიური. ამიტომაც, უფრო ფართო (დღევანდელი) გაგებით, სეკულარიზაციის ცნება „გაამქვეყნიურებას“, საერო სივრცის რელიგიური მთლიანობიდან გამოთავისუფლების პროცესს ნიშნავს.

შუა საუკუნეების ადამიანის ცხოვრებასა და ყოფას ევროპაში თავიდან ბოლომდე განსაზღვრავდა რელიგია. თეოლოგია, ანუ მოძღვრება ღმერთის შესახებ, იყო ის საერთო საფუძველი, რომლითაც ხდებოდა ნებისმიერი მოვლენისა თუ გამოცდილების აღწერა. სამყაროს აღქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ რღვევა დაიწყო XVI საუკუნეში ორი ძირითადი მიზეზის გამო: ერთი – თანამედროვე მეცნიერების დაბადება, ხოლო მეორე – რელიგიური ომები. ერთიანი რელიგიური სამყაროს რღვევას სეკულარიზაციის ცნებით მოიხსენიებენ. თანამედროვე სამყარო – ნაციონალური სახელმწიფოები, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენი წარმოდგენები ადამიანსა და სამყაროზე – ეს ყველაფერი სეკულარიზაციის პროცესის შედეგია.



## საქალაქიზმი სახელმწიფოს დაგდება

შუა საუკუნეების წარმოდგენის მიხედვით, სახელმწიფო უნდა ყოფილიყო ქრისტიანული და მყარად უნდა მდგარიყო რელიგიურ საფუძველზე. რელიგია იყო სახელმწიფოს ლეგიტიმაციის, ანუ მისი გამართლების, კანონიერების საფუძველი.

საერო და სასულიერო ხელისუფლების გამიჯვნა ევროპული კულტურის თავისებურებაა, რომელიც სათავეს რომის პაპებსა და ევროპელ მონარქებს შორის კონფლიქტიდან იღებს. V საუკუნის ბოლოს პაპმა გელასიუსმა (492-496) ჩამოაყალიბა სწავლება ორი მახვილის შესახებ. გელასიუსი სწერდა (აღმოსავლეთ) რომის იმპერატორ ანასტასიოს I-ს (491-518), რომ ღმერთს ქვეყნის სამართავად ხელდასმული (ანუ „დანიშნული“) ჰყავდა საერო ხელისუფლება (ლათ. *regalis potestas*) და სასულიერო ავტორიტეტი (ლათ. *sacrata auctoritas pontificum*). ამით გელასიოსი მანამდე გაუგონარ რამეს აკეთებდა: იმპერატორს ხელისუფლებას ედავებოდა და საერო ხელისუფლებას და სასულიერო ავტორიტეტს ერთ საფეხურზე აყენებდა.



რომის პაპი გელასიუსი  
(გარდ. 496)



რომის იმპერატორი ანასტასიოს I  
(დაახლ. 430-518)

კონფლიქტი საერო (იმპერატორსა) და სასულიერო ხელისუფლებას (რომის პაპს) შორის XI საუკუნეში ეპისკოპოსების ხელდასმის გამო განახლდა. ფრანკი მეფეები, შემდეგ კი საღვთო რომის იმპერიის იმპერატორები არა მარტო საერო, არამედ სასულიერო პირების „დანიშვნის“ პრივილეგიით სარგებლობდნენ. ეპისკოპოსებს, რომლებიც იმპერატორების ვასლები იყვნენ, იმპერატორი კურთხევისას გადასცემდა მოღუნულ კვერთხს (მწყემსოების სიმბოლოს) და ბეჭედს (ე.წ. *anulus pontificalis*), როგორც მღვდელმთავრის ეპარქიასთან შეუღლების სიმბოლოს. კვერთხი და ბეჭედი, ეპისკოპოსის სამოსელთან ერთად, მისი ხელისუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა, ამიტომაც ეს კონფლიქტი ცნობილია, როგორც დავა ინვესტიტურის (ინვესტიტურა პირდაპირი მნიშვნელობით ხომ შემოსვას ნიშნავს) თაობაზე. კონფლიქტი გამძაფრდა, როდესაც 1075 წელს პაპმა გრეგორიუს VII-მ (1073-1085) გამოაქვეყნა ტრაქტატი *Dictatus Papae*

### საქალაქიზმი სახელმწიფო

ისეთი სახელმწიფოა, რომელშიც რელიგია ა(ღ)არ არის სავალდებულო საფუძველი. სახელმწიფოს, როგორც ასეთს, არ აქვს რელიგია და არც ერთ რელიგიას არ წარმოადგენს. საქალაქიზმი სახელმწიფო მხოლოდ საერო მიზნებს ისახავს, სულიერი და რელიგიური მიზნები კი მისი კომპეტენციაში არ შედის. მისი ლეგიტიმაციის საფუძველია არა რელიგია, არამედ ხალხის, როგორც სუვერენის, უზენაესი ხელისუფალისა და კანონმდებლის ნება.



რომის პაპი გრეგორიუს VII  
(1020-1085)



გრეგორიუს VII-ის ტრაქტატი  
*Dictatus Papae*





ვორმის კონკორდატი, 1122



საფრანგეთის მეფე ფილიპ IV (1268-1314)

**კონკორდატი** ეწოდება შეთანხმებას ეკლესიას და სახელმწიფოს შორის. ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით კონკორდატი არის ხელშეკრულება რომის სამოციქულო კათოლიკურ ეკლესიასა და კათოლიკური სახელმწიფოს მეთაურს შორის. ამ ცნებას დღეს ზოგადად ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის შეთანხმების მნიშვნელობითაც იყენებენ ხოლმე.

(პაპის ბრძანება). პაპმა არა მარტო სასულიერო პირების ხელდასხმა გამოაცხადა საკუთარ პრივილეგიად, არამედ პაპი იმპერატორზე მაღლა დააყენა (მაგ., იმპერატორის გადაყენების უფლება მიანიჭა). დავა 1122 წელს ვორმის კონკორდატით დასრულდა, რომელშიც იმპერატორმა აღიარა პაპის პრივილეგია სასულიერო პირების ხელდასხმის შესახებ (იმპერიის ტერიტორიაზე იმპერატორთან შეთანხმების პირობით).

ორასიოდე წლის შემდეგ, 1302 წელს, პაპმა ბონიფაციუს VIII-მ (პაპობდა 1294-1303) გამოაქვეყნა (საფრანგეთის მეფის ფილიპე IV-ის (მეფობდა 1284-1314) წინააღმდეგ მიმართული ბულა, სახელწოდებით *Unam sanctam* (ერთი წმინდა), სადაც ამტკიცებდა, რომ ერთი წმინდა კათოლიკურ და ჭეშმარიტად სამოციქულო ეკლესიას, რომელიც წარმოადგენდა მისტიკურ სხეულს (*corpus mysticum*), მხოლოდ ერთი თავი (ანუ ერთი მეთაური) უნდა ჰქონოდა და არა ორი, როგორც ურჩხულს. ეს საქრისტიანოს უპირობო მეთაურად მხოლოდ პაპის გამოცხადებას ნიშნავდა, რადგანაც ეკლესიის მეთაური ქრისტე იყო, ხოლო მისი მოადგილე – წმინდა პეტრე და მისი ადგილმონაცვლეები (რომის ეპისკოპოსები, ანუ პაპები).



ბონიფაციუს VIII-ის ბულა *Unam Sanctam*

საერო ხელისუფლება ძალაუფლებას იოლად არ თმობდა და იმავე თეოლოგიურ არგუმენტებს, რომლითაც სასულიერო ხელისუფლება საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას ცდილობდა, საკუთარი ინტერესებისათვის იყენებდა. მაგალითად, მისტიკური სხეულის ცნება (*corpus mysticum*), რომელიც თავდაპირველად ჯერ ქრისტეს ეკქარისტულ სხეულს (ქრისტეს ხორცს, რომელსაც ზიარების დროს სეფისკვერი აღნიშნავს), შემდეგ კი ეკლესიას, როგორც კორპორაციას, აღნიშნავდა და ჯერ კიდევ ბონიფაციუს VIII-ის ბულაში *Unam sanc-*






საფრანგეთის მეფე ფილიპე IV თავისი ოჯახის წევრებთან ერთად

tam ეკლესიის მარადიულობის და უნივერსალობის ლეგიტიმაციის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი იყო, XIV საუკუნიდან საერო ხელისუფლების აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა. ამის მიზანი იყო მისთვის იმავე მარადიულობის მინიჭება, რომელიც ჰქონდა ეკლესიას.

სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის არანაკლებად მნიშვნელოვანი პროცესი „მამულის“ ცნების ცვლილება იყო (ქართული მამული, ცნება, რომელიც ილია ჭავჭავაძემ დაამკვიდრა, დასაბამს სწორედ ევროპული patria-დან იღებს). ანტიკურობაში სამშობლოსთვის ან, უფრო სწორად, მშობლიური ქალაქისათვის დაღუპულ მეომრებს გმირებად აცხადებდნენ. ქრისტიანობამ ეს იდეა გაითავისა. კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთმა მამამ – ნეტარმა ავგუსტინემ (354-450) – შემოიტანა „მარადიული“ (ზეციური) სამშობლოს (ლათ. patria aeterna) ცნება, რომლისთვისაც სიცოცხლის შენირვა ქრისტიანისათვის ბევრად უფრო ადვილი და საპატიო უნდა ყოფილიყო, ვიდრე მიწიერი სახელმწიფოსათვის. XIII საუკუნიდან მოყოლებული კი ცნება patria, რომელიც ვიწრო მნიშვნელობით მამულს ნიშნავდა, ისევ საერო სფეროში დაბრუნდა და საფრანგეთსა და ინგლისში ფართოდ გავრცელდა. Patria ეროვნული და ტერიტორიული ერთობის ხილულ სიმბოლოდ გადაიქცა. გაჩნდა იდეა, რომ თავის მამულში (ლათ. in patria sua) ყველა ბატონ-პატრონი და მბრძანებელია. ემოციური და ეთიკური მუხტი, რომელიც ზეციური სამშობლოს დაცვას ჰქონდა, მიწიერ სამშობლოზეც გადმოვიდა. ახალი ნაციონალური პატრიოტიზმი საფრანგეთის მეფე ფილიპე IV-მ სწორედ რომის პაპ ბონიფაციუს VIII-ის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენა. ყოველი ფრანგი, მათ შორის ფრანგი მღვდელიც, სამშობლოს დასაცავად ვალდებული იყო მხოლოდ საფრანგეთის მეფეს დამორჩილებოდა (და არა მაგ., რომის პაპს); ფრანგისათვის მეფისა და მამულისათვის სიკვდილი (pro rege et patria) ისეთივე საპატიოდ ცხადდებოდა, რო-



ნეტარი ავგუსტინე (354-430)

**გულა** არის რომის პაპის მიერ გამოცემული დადგენილება, ეპისტოლე, ბეჭდიანი დოკუმენტი. სიტყვა Bulla ლათინურად ბურთს, ბეჭედს, მრგვალი ფორმის ნივთს ნიშნავს და შუა საუკუნეებში ასევე აღნიშნავდა მრგვალ ბეჭედს, დასმულს ან დართულს ეკლესიის ედიქტებსა თუ აქტებზე.




პაპი ბონიფაციუს VIII (1235-1303)





ჰულდრიჰ ცვინგლი  
(1484-1531)



იოჰანეს კალვინი  
(1509-1564)



მარტინ ლუთერი  
(1483-1546)

გორც ქრისტესთვის მარტვილობა. ამით მამულის ცნება პირველად დაუპირისპირდა ეკლესიას.

კონფლიქტი, რომელიც პაპსა და იმპერატორს შორის დაიწყო, რელიგიურ ომებში გადაიზარდა. რელიგიური ომები XVI საუკუნეში კათოლიკური ეკლესიის განახლების მოძრაობით დაიწყო, რომელიც რეფორმაციის სახელით არის ცნობილი. რეფორმაციას შვეიცარიაში ჰულდრიჰ ცვინგლი (1484-1531) და იოჰანეს კალვინი (1509-1564), გერმანიაში კი მარტინ ლუთერი (1483-1546) ედგნენ სათავეში. რეფორმატორებს საკუთარი წარმოდგენა ჰქონდათ საეკლესიო დოქტრინებზე (პროტესტანტიზმი შვიდი საიდუმლოდან მხოლოდ სამს – ნათლობას, აღსარებას და ზიარებას – აღიარებს), რიტუალზე (მაგ., ლიტურგიის ცვლილება და თანდათანობით ლათინურის, როგორც ლიტურგიის ენის ეროვნული ენებით შეცვლა), პრაქტიკაზე (მაგ., პროტესტანტები არ ცნობდნენ მდიდრულად მოწყობილ ეკლესიებს) და სტრუქტურაზე (პროტესტანტები არ ცნობდნენ ერთიან ეკლესიას).

თავდაპირველად ერთიანი დასავლურ-ქრისტიანული რელიგიური სამყარო ორად გაიხლიჩა. კათოლიკური ეკლესიის მონოპოლია ჭეშმარიტებაზე, რომელიც მას მანამდე ჰქონდა, დაირღვა. ჭეშმარიტებისათვის პოლემიკა ომში გადაიზარდა (მაგ., ჰუგენოტების ომები საფრანგეთში (1562-1589) და ოცდაათწლიანი ომი (1618-1648)). რეფორმაციის დროს დაიწყო კათოლიკური ეკლესიის საკუთრების „სახელმწიფოსათვის“ მასობრივი გადაცემა. ბულაში Unam sanctam გამოცხადებული კათოლიკური სამყაროს ერთიანობის იდეა საბოლოოდ დამარცხდა. დაიწყო ნაციონალური სახელმწიფოების ეპოქა.

ინგლისელი ფილოსოფოსი თომას ჰობსი (1588-1679), იტალიელ ფილოსოფოს ნიკოლო მაკიაველისთან ერთად, მიიჩნევა თანამედროვე სახელმწიფოსა და პოლიტიკური ფილოსოფიის ფუძემდებლად. თომას ჰობსი ღმერთს, როგორც სახელმწიფოს ლეგიტიმურობის წყაროს, ანაცვლებს ადამიანების შეთანხმებით.



ბართლომეს ღამე, მხატვარი ფრანსუა დიუბუა






ოცდაათწლიანი ომის ერთ-ერთი  
ბრძოლა, უცნობი მხატვარი

სისხლისმღვრელი რელიგიური ომების ქაოსი და ანარქია ჰობსს პერმანენტულ, ამოსავალ მდგომარეობად წარმოედგინა, რომელსაც მან დაარქვა „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“. როგორ უნდა გამო-სულიყო ადამიანი ამ მუდმივი ომის მდგომარეობიდან (რომელსაც ჰობსი ბუნებრივს უწოდებს)? ჰობსისათვის ეს გამოსავალი სახელ-მწიფოს – გარკვეულ წესებზე და მათ დაცვაზე დაფუძნებული ადამი-ანების გაერთიანების – შექმნა იყო, რომელიც, ჰობსის აზრით, შიშის დაძლევის მოთხოვნილებიდან იბადებოდა.

სახელმწიფო არა ღვთის ნების, არამედ ადამიანებს შორის შე-თანხმების პროდუქტია. იმისათვის, რომ ეს შეთანხმება მტკიცე და ხანგრძლივი ყოფილიყო, სხვა რაღაც იყო საჭირო – ერთობლივი ძალა, რომელიც ადამიანებს შეუზღუდავდა თავისუფლებას და მათ მოქმედებას საერთო სარგებლობისაკენ მიმართავდა. ეს ერთობლივი ძალა სწორედ სახელმწიფოა – მოკვდავი ღმერთი, რომელსაც ჰობსი ლევიათანს უწოდებს.

ინგლისელი ფილოსოფოსი თომას ჰობსი (1588-1679) თანა-მედროვე პოლიტიკური თეორიის ფუძემდებლად ითვლება. მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომია „ლევიათანი, ანუ საერო და სასულიერო სახელმწიფოს მატერია, ფორმა და ძალაუფლება“ (1651). წიგნის თავფურცელზე გამოსახულია ბევრი პატარა ადამიანისაგან შემდ-გარი გოლიათი, რომელსაც ერთ ხელში ხმალი და მეორეში ეპისკო-პოსის კვერთხი უჭირავს (საერო და სასულიერო ხელისუფლების ნიშნად). თავფურცელს დართული აქვს ციტატა ბიბლიიდან „არა არს მინაზე მისი მსგავსი, უშიშრადაა გაჩენილი“. ეს ციტატა იობის წიგნი-დანაა (41:25) და წყლის ურჩხულ ლევიათანზეა ნათქვამი, სწორედ ამ საშინელი და დაუმარცხებელი ურჩხულის სახელი დაარქვა ჰობსმა




ტომას ჰობსი  
(1588-1679)



ნიკოლო მაკიაველი  
(1469-1527)





ნიკოლაუს კოპერნიკუსი  
(1473-1543)



ჯორდანო ბრუნო  
(1548-1600)



იოჰანეს კეპლერი  
(1571-1630)



თავის წიგნსა და მასში აღწერილ სახელმწიფოს. მისი ძალა მომდინარეობს იქიდან, რომ ერთობის ყოველი წევრი თავისი დამოუკიდებლობის ნაწილს სახელმწიფოს გადასცემს და ამით სახელმწიფოს ხდის უფრო ძლიერს, ვიდრე თითოეული მათგანი იქნებოდა.

## თავისუფალი ადამიანის დაბადება

ახალმა წარმოდგენებმა სამყაროს შესახებ შეცვალა შუა საუკუნეების ევროპელი ადამიანის დამოკიდებულება სამყაროს მიმართ. შუა საუკუნეების ადამიანს სამყარო წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც მარადიული, ერთმანეთთან იერარქიულ საფეხურებად დაკავშირებული წესრიგი, რომელსაც ჰქონდა თავისი საფუძველი და პირველწყარო. ეს საფუძველი ღმერთი იყო.

ნიკოლაუს კოპერნიკუსის (1473-1543), ჯორდანო ბრუნოს (1548-1600), გალილეო გალილის (1564-1642) და იოჰანეს კეპლერის (1571-1630) მიერ დაწყებულმა დაკვირვებებმა საფუძველი ჩაუყარეს დღევანდელ წარმოდგენას ისეთი სამყაროს შესახებ, რომელიც, საბოლოო ჯამში, შემთხვევით, მაგრამ დაკვირვებად და აღწერად კავშირებს ემყარება. აქედან გამომდინარეობს ადამიანზე წარმოდგენაც: შუა საუკუნეების ადამიანი განისაზღვრებოდა მისი დამოკიდებულებით კოსმოსურ წესრიგთან, ხოლო თანამედროვე ადამიანი თვითგამორკვევის შედეგია.



თუკი სამეცნიერო რევოლუციას, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე წარმოდგენას სამყაროს შესახებ, პირობითად კოპერნიკისეულ რევოლუციას უწოდებენ ფილოსოფიის ისტორიაში ეს რევოლუცია გერმანელი ფილოსოფოსის, იმანუელ კანტის (1724-1804) სახელს უკავშირდება.

მორალური თავისუფლების ცნებას იმანუელ კანტი ასაბუთებს თავის ნაშრომში „პრაქტიკული გონების კრიტიკა“ (1790). მის მიხედვით, ადამიანი თავისუფალია, როდესაც მისი ნების თვითგამორკვევა ავტონომიურად ხდება. ეს ნიშნავს, რომ კანტისათვის სუბიექტის მორალური თავისუფლება მისი საკუთარი ნებიდან და არა გარეშე წყაროდან უნდა გამომდინარეობდეს. ნებისმიერი სხვა გარეშე ფაქტორი, მიდრეკილება, სურვილი ან ავტორიტეტი, რომელმაც ადამიანის ნება შეიძლება განსაზღვროს, ადამიანს თავისუფლებას ართმევს. ასეთ ავტორიტეტთა შორის ყველაზე ძლიერი არის ღმერთის ავტორიტეტი (მორალური თავისუფლების ადამიანის გონებაზე და არა ღმერთზე დამყარება არ არის ათეიზმი: კანტი წერდა, რომ ის ღმერთის გონებით შემეცნების შეუძლებლობას იმიტომ ასაბუთებდა, რომ რწმენისათვის გზა გაეხსნა). ადამიანის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი: ადამიანი მაშინაა თავისუფალი, როდესაც ის კატეგორიული (უპირობოდ სავალდებულო) იმპერატივის (მოწოდების) მიხედვით მოქმედებს („იმოქმედე ისე, რომ შენი ნების პრინციპი საერთო კანონმდებლობის პრინციპიც იყოს“).

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ სექულარიზაციის პროცესი, რომელიც XVI საუკუნეში დაიწყო, ჯერ არ დასრულებულა. რეაქცია, რომელიც სექულარიზაციის პროცესს სხვადასხვა ფუნდამენტალიზმის ან რელიგიის აღორძინების სახით მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, სდევს, ამ დაუსრულებელი პროცესის გამოხატულებად შეიძლება დავინახოთ.



გალილეო გალილეი  
(1564-1642)



იმანუელ კანტი  
(1724-1804)








# წმინდა გიორგიოზრაძე ეხოუგო ფერაძე

„მოქალაქეობა არის მსხვერპლის გაღება. მოქალაქეობა არის ბრძოლა თავის წრესთან, დროსთან, თავის თავთან. მოქალაქეობა მოითხოვს შეგნებას, პატიოსნებას, მოითხოვს აზროვნებას, ფიქრს, მხნეობას, ჭკუას; მოქალაქეობა მოითხოვს ნათლიან თვალთ საგნების დანახვას, წინდახედულებას, აუჩქარებლობას, სიმდაბლეს, რომელიც არაა მონის მაჩვენებელი, არამედ განათლებულ ადამიანის, სხვისი აზრის გაგონებას და ადამიანში ადამიანის ძებნას და დაფასებას. ესაა შინაარსი ჩვენი სიტყვისა – მოქალაქეობა. მოქალაქეობა არის მსხვერპლის გაღება. თავისი საკუთარი თავის დანვა სხვისთვის გასანათლებლად“.

გრიგოლ ფერაძე



## დავით ყოლბაია

გრიგოლ ფერაძე დაიბადა 1899 წლის 31 (13 სექტემბერს) აგვისტოს სიღნაღის მაზრის სოფელ ბაკურციხეში, მღვდელ რომანოზ ფერაძისა და მარიამ სამადაშვილის ოჯახში. იგი 1899 წლის 16 ნოემბერს მოუნათლავთ ბაკურციხის წმ. გიორგის ეკლესიაში. 1905 წელს გარდაიცვალა გრიგოლის მამა რომანოზი და დედა დარჩა სამი მცირეწლოვანი ვაჟით: არჩილით, გრიგოლითა და ვასილით. ოჯახი მალე საცხოვრებლად თბილისში გადავიდა.

შვიდი წლის გრიგოლი ბიძამ, ყვარელის ეკლესიის მოძღვარმა გიორგი ფერაძემ, თავისთან წაიყვანა. მან ბიძასთან დაახლოებით ხუთი წელი იცხოვრა, სასკოლო ასაკს მიტანებული კი დედამ წამოიყვანა და თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა.

გრიგოლ ფერაძის დაბადების მოწმობა



სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გრიგოლმა სასულიერო სემინარიაში განაგრძო სწავლა. სასულიერო სემინარიის რექტორი იმ დროს იყო ცნობილი მეცნიერი, დეკანოზი კორნელი კეკელიძე, რომლის ყურადღება და მზრუნველობაც მალევე დაიმსახურა ნიჭიერმა სტუდენტმა. სწორედ კორნელი კეკელიძის შუამდგომლობით მიმართა საკათალიკოსო საბჭომ გენერალ ფონ კრესს თხოვნით, რომ გრიგოლ ფერაძე გაეგზავნათ გერმანიაში, თეოლოგიურ ფაკულტეტზე სასწავლებლად. ფონ კრესს დახმარება აღუთქვამს, რაზეც მეტყველებს მის მიერ 1918 წლის 4 სექტემბერს საკათალიკოსო საბჭოს სახელზე გაგზავნილი საპასუხო წერილი, მაგრამ გერმანიის რევოლუციის გამო ეს გეგმა ჩაიშალა.



დეკანოზი კორნელი კეკელიძე  
(1879-1962)

სემინარიაში სწავლის დამთავრების შემდეგ გრიგოლ ფერაძე ცოტა ხანს მასწავლებლად მუშაობდა გორის მაზრის სოფელ ზემო ხანდაკში; 1919-1921 წლებში მსახურობდა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ჯარში; ბოლშევიკების მიერ თბილისის დაკავების შემდეგ კი, 1921 წლის მარტში, იგი სოფელ მანავში (გარეკახეთში) წავიდა მასწავლებლად.

1921 წლის შემოდგომაზე გრიგოლ ფერაძე ჩაირიცხა თბილისის ახლად გახსნილი უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე.

1921 წლის დეკემბერში გელათში, მესამე საეკლესიო კრებაზე, გრიგოლ ფერაძე გარეკახეთის სამღვდელთა საკუთარ წარმომადგენლად გაგზავნა. ამ კრებაზე ხელმეორედ დაისვა სხვა ახალგაზრდებთან ერთად გრიგოლ ფერაძის გერმანიაში სასწავლებლად გაგზავნის საკითხი. მას ამჯერადაც შუამდგომლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი კორნელი კეკელიძე და ასევე, მიტროპოლიტი ნაზარი (ერისკაცობაში – იოსებ ლეჟავა (1872-1924), დახვრიტეს ბოლშევიკური რეპრესიების დროს 1924 წლის 27 აგვისტოს ქუთაისის მახლობლად, საფიჩხიას ტყეში). გრიგოლის ბედით დაინტერესდნენ კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) და ცნობილი გერმანელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე არტურ ლაისტიც. ამ კრებაზე გადაწყდა გრიგოლის ევროპაში სასწავლებლად გაგზავნა.

კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ მაშინვე დაწერა წერილი გერმანიის საელჩოსათვის თბილისში:

საქართველოს ეკლესია ამჟამად კრიტიკულ მდგომარეობაშია, რაც ახალგაზრდა, განათლებული სასულიერო პირების დიდი ნაკლებობის გამო უფრო უარესდება. წინათ ქართველი ახალგაზრდები უმაღლეს თეოლოგიურ განათლებას იღებდნენ რუსულ სასულიერო აკადემიებში, სადაც თეოლოგია „ოფიციალურ“ საგნად იყო მიჩნეული და დღევანდელი მეცნიერებისაგან ძალიან შორს იდგა. ახლა, დროის შესაბამისად, შეგვიძლია უარი ვთქვათ რუსულ თეოლოგიაზე და როგორც სომხურ და ბერძნულ ეკლესიებშია მიღებული, გავგზავნოთ ახალგაზრდა თეოლოგები გერმანიაში, სადაც თეოლოგია, როგორც მეცნიერება, ძალიან მაღალ დონეზეა. გრიგოლ ფერაძე ამ ქართველთაგან პირველია, რომელსაც განზრახული აქვს მომავალში თავისი ცოდნა და ენერგია ქართულ ეკლესიას მოახმაროს. მე, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ამ ღვთის მოსაწონ საქმეში მას კურთხევას ვაძლევ და მესამე საეკლესიო კრებამაც ერთხმად დაადგინა, შესაძლებლობის ფარგლებში მატერიალურად დაეხმაროს ნიჭიერ ახალგაზრდას. ფერაძე პირველი თეოლოგია, რომელიც გერმანიაში მიდის, შემდეგ კი სხვებიც გაჰყვებიან მის კვალს.

გელათის მონასტერი, 1921 წლის 6 დეკემბერი  
ამბროსი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი




„სიონის საკათედრო ტაძარში, საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ეკლესიაში, რომელშიც ინახება ღვთისმშობლის რამდენიმე საუცხოო ხატი და საქართველოს უწმინდესი რელიქვია წმ. ნინოს ჯვარი, იმ დღეს მორწმუნეთა სიმცირე იგრძნობოდა. თვით კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე წირავდა რამდენიმე მღვდელთან ერთად.

შესასვლელთან შევჩერდი – ვერაფერს ვხედავდი, თითქოს გავქვავდი, ვერც პატრიარქთან მივედი, როდესაც მორწმუნენი მიუახლოვდნენ. ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ, ეკლესიიდან გამოსვლისას, პატრიარქმა შემამჩნია და მომესალმა – „ქრისტე აღსდგა“. ავტომატურად ეუპასუხე, როგორც წესი იყო და თან გამოვეყვი. ახალი დღე იწყებოდა. პატრიარქის სასახლისაკენ მიმავალი, აღდგომის დღეებში ყოველთვის ხალხმრავალი ქუჩა ახლა სრულიად დაცარიელებულიყო, ფანჯრის დარბებიც მიეხურათ. ეტყობოდა, რომ ქალაქი ვერ აღიქვამდა უდიდესი დღესასწაულით მონიჭებულ სიხარულს. პატრიარქი მარტო მიდიოდა, არც ერთი მღვდელი არ აცილებდა. მე შორიახლოს მივეყვებოდი. ქუჩის კუთხეში ორი წითელარმიელი გამოჩნდა, ზიზლით შეხედეს პატრიარქს და გზა განაგრძეს. თუმცა ერთ-ერთი სახლის კარებთან მჯდარი ზედამხედველი მისი უწმინდესობის დანახვისას ფეხზე წამოდგა.

სასახლეში შესვლისას პატრიარქი შეჩერდა, თითქოს იგრძნო, რომ უკან მივეყვებოდი. ორივე ხელი ჩამავლო და ტკივილითა და დარდით სავსე მამობრივი ხმით მითხრა: „სულიერად დაცემული ვარ. წადი აქედან, გადაარჩინე შენი ახალგაზრდობა“.

გრიგოლ ფერაძე, „გზა გამარჯვებისაკენ“



1921 წელს გრიგოლ ფერაძეს თხოვნით მიუმართავს საქველმოქმედო საზოგადოებისთვის, რომ დახმარებოდნენ გერმანიაში გასამგზავრებლად: „მაქვს დიდი სურვილი გერმანიაში გამგზავრებისა სწავლის გასაგრძელებლად. ეხლა ეს სურვილი მიცხოველდება. გერმანიის მისიამ, საკათალიკოსო საბჭოს შუამდგომლობით, მიმიღო ტრანსპორტზედ უფასოდ და ყოველგვარი ხარჯები იკისრა ბერლინამდე. მთავრობიდან საჭირო საბუთები უკვე მაქვს მიღებული. ერთდროული დახმარება მომცეს საზოგადოება „მწყემსმა“ და საკათალიკოსო საბჭომ, მაგრამ ვინაიდან სტიპენდიის შოვნამდე მე მომიხდება გერმანიაში ოთხ-ხუთ თვეს დარჩენა მაინც ჩემი საკუთარი ფულით, რომელიც ჩემი სიღარიბის გამო არა მაქვს [...] ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ გამიწიოთ ერთდროული დახმარება და მომცეთ საშუალება ჩემი წმინდა მისწრაფების შესრულებისა მომავალში ჩვენს საყვარელ სამშობლოს სამსახურებლად“.



არტურ ლაისტმა გრიგოლ ფერაძეს ბერლინში გაატანა სარეკომენდაციო ბარათი იმ დროის გერმანიაში ერთ-ერთ გამოჩენილ ფიგურასთან, ცნობილ თეოლოგსა და მწერალთან, დოქტორ იოჰანეს ლეფსიუსთან.



იოჰანეს ლეფსიუსი  
(1858-1926)

ღრმად პატივცემულო ბატონო, ამ წერილის მომტანი, ბატონი გრიგოლ ფერაძე, ქართველი ახალგაზრდა, აპირებს ბერლინში ევანგელისტური თეოლოგიის შესწავლას, რათა შემდეგ თავის სამშობლოში ქართული სამღვდელმთავრობის სულიერი და მორალური აღმშენებლობისათვის იზრუნოს. ბატონი ფერაძე ძალიან მონდომებულია და მე იგი ძალიან თბილად წარმომიდგინა ქართული ეკლესიის მწყემსმთავარმა. თუმცა ახალგაზრდა კაცის ფულადი სახსრების სიმწირისა და ქართული ეკლესიის მმართველობის ამჟამინდელი გაჭირვების გამო საკმარისი ფინანსური შესატანის იმედი არ უნდა გვექონდეს, მაგრამ გერმანიის კულტურული პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს ეკლესიის ჩართვა გერმანელი მეცნიერების გავლენის სფეროში და ამიტომ კარგი იქნებოდა, თუ ახალგაზრდა კაცს ბერლინში ფინანსურ დახმარებას გაუწევდნენ. [...] ამიტომ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა აქაური გერმანელებისათვის გადმოცა.

ღრმა პატივისცემით,  
არტურ ლაისტი, მწერალი,  
თბილისი, 1921 წ. 10 ოქტომბერი

ლეფსიუსმა დიდი მზრუნველობით მიიღო ქართველი თეოლოგი, დაუნიშნა სტიპენდია და ხელი შეუწყო გამხდარიყო ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. ამგვარად, გრიგოლ ფერაძის ბედი სამუდამოდ დაუკავშირდა ევროპას. შემდეგ, მრავალგზის ცდის მიუხედავად, მან ველარ შეძლო სამშობლოში დაბრუნება...

ამრიგად, 1922 წლის 12 მაისს გრიგოლ ფერაძე ხდება ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი და იმ დროის საუკეთესო სპეციალისტები ასწავლიან თეოლოგიას, ძველ ებრაულ, ძველ ბერძნულ, სირიულ, არაბულ, კოპტურ, ლათინურ, ძველ სლავურ და ძველ სომხურ ენებს. იგი ასევე სწავლობს გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, დანიურ და პოლონურ ენებსაც. ამასთან, ბერლინის უნივერსიტეტის ქართული ენის ლექტორის, პროფესორ რიჩარდ მეკელაინის რჩევით გრიგოლ ფერაძე უკავშირდება ცნობილ ორიენტალისტს, ბონის უნივერსიტეტის პროფესორს ჰაინრიხ გუსენს, რომელსაც ძალიან კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა და შესანიშნავად ერკვეოდა ქართულ ლიტერატურასა და ისტორიაში.

1925 წლის 29 აპრილიდან გრიგოლ ფერაძე, დოქტორ ლეფსიუსის რჩევით, სასწავლებლად ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტ-



გრიგოლ ფერაძისათვის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მინიჭების შესახებ ცნობა



გრიგოლ ფერაძე წერდა:

„ის, რაც მე დოქტორმა ლეფსიუსმა ჩამაგონა, კიდეც უფრო გააძლიერა პროფესორმა გუსენმა. უკვე დრო იყო დამეწყო ქართულ თემატიკაზე მუშაობა. მან დიდსულოვნად დამითმო მთელი თავისი ბიბლიოთეკა, ასევე უშურველად მეხმარებოდა თავისი მდიდარი ცოდნა-გამოცდილებითაც. მისი მეოხებით გავიცანი ცნობილი მეცნიერი, ორიენტალისტთა მეფედ მიჩნეული პაულ პეეტერსიცი. სწორედ ამ ნაცნობობას, რომელიც შემდგომი პირად მეგობრობაში გადაიზარდა, ვუმაღლი ძალზე ბევრ შემოქმედებით იმპულსს“.

**ბოლანდისტაბი** – მეცნიერების, ფილოლოგიებისა და ისტორიკოსების გაერთიანება, რომელიც სწავლობს და გამოსცემს (XVII საუკუნის დასაწყისიდან) წმინდანთა ცხოვრებასა და კულტს. სახელწოდება მომდინარეობს ჟან ბოლანდის – ცნობილი იეზუიტი მღვდელმსახურისა და წმინდანების ცხოვრებათა კრიტიკული გამოცემის ფუძემდებლის სახელიდან.

საინტერესოა გრიგოლ ფერაძის მოღვაწეობის კიდეც ერთი ასპექტი – 1931 წლის აგვისტოში მისი რედაქტორობით პარიზში გამოიცემა ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, რომელმაც, მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა (1931-1934), დიდი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

ბონის უნივერსიტეტი

ზე გადადის, სადაც მას პროფესორი გუსენი მფარველობს. გრ. ფერაძემ ბონში მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი ნაშრომისათვის „ქართული ბერმონაზვნობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1065 წლამდე“.

სწავლის დასრულებისა და დოქტორის ხარისხის მოპოვების შემდეგ გრიგოლ ფერაძეს სურდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. ამისათვის განცხადებით მიმართა საბჭოთა საელჩოს, მაგრამ პასუხმა დააგვიანა და იგი სამეცნიერო მივლინებით გაემგზავრა ბელგიაში, რათა გარკვეული დროით ემუშავა გამოჩენილ ქართველოლოგთან პაულ პეეტერსთან. გრიგოლ ფერაძეს უნდოდა ლუვენის უნივერსიტეტში კათოლიკური თეოლოგია შეესწავლა – 1926-1927 წლებში ლუვენის უნივერსიტეტში ესწრებოდა ლექციებს, სწავლობდა ძველ ქართულ წიგნებს ბოლანდისტების ბიბლიოთეკაში, პაულ პეეტერსთან საუბრობდა ქართული ჰაგიოგრაფიისა და ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხებზე.

1927 წლიდან გრიგოლ ფერაძე სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა ინგლისში, სადაც გაეცნო ბრიტანეთის მუზეუმისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში დაცულ ეკლესიის მამათა თხზულებების უძველეს ხელნაწერებს. მუშაობდა აღმოსავლური ხელნაწერების ფონდით განთქმულ წიგნთსაცავებში.

1927 წელს ბონში გარდაიცვალა პროფესორი გუსენი და გრიგოლ ფერაძეს მისი ადგილი შესთავაზეს.

„ვფიქრობ, მთელ გერმანიაში ვერ მოიძებნებოდა ერთი მეცნიერიც კი, რომელიც მას თუნდაც ნაწილობრივ მაინც შეცვლიდა. პეეტერსის გარდა არ მეგულებოდა სხვა ვინმე, ვინც მასავით იქნებოდა დაუფლებული ყველა აღმოსავლურ ქრისტიანულ ენას. მე ლექციები უნდა წამეკითხა მხოლოდ ძველი სომხური და ძველი ქართული ენების შესახებ“, – წერდა ამ ამბებთან დაკავშირებით გრ. ფერაძე.







ბონში გრიგოლ ფერაძეს სამუშაოდ ხელსაყრელი პირობები ჰქონდა. პროფესორ გუსენის ბიბლიოთეკა, რომელიც მან კოლონიის კარდინალს უანდერდა, ოცდაათი წლით გადაეცა ბონის უნივერსიტეტს და იქ ყოველთვის იყო ქართული და სომხური ენებით დაინტერესებული რამდენიმე ადამიანი.

1927 წლის ივლისში გრიგოლ ფერაძე დანიშნეს ბონის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე.

1927 წელს გრიგოლ ფერაძემ ქ. ლოზანაში ჩატარებულ მეორე მსოფლიო კონფერენციაში „რწმენა და საეკლესიო წყობა“ მიიღო მონაწილეობა, სადაც გაიცნო სრულიად პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური მიტროპოლიტი დიონისე (ვალედინსკი), რომლის მიწვევითაც ცოტა მოგვიანებით იგი ვარშავაში გადადის სამუშაოდ და საცხოვრებლად.

1931 წლის 18 აპრილს გრიგოლ ფერაძე პარიზის ბერძნულ საკათედრო ტაძარში ბერად აღიკვეცა, 19 აპრილს იგი დიაკვნად აკურთხეს, ხოლო ამავე წლის 25 მაისს – მღვდლად. 1931 წლის 31 მაისს მამა გრიგოლი ინიშნება პარიზის წმ. ნინოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის მღვდელმსახურად.

გრიგოლ ფერაძე 1933 წლამდე პარიზში ცხოვრობდა და სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ სამეცნიერო საქმიანობასაც ეწეოდა; ოქსფორდის, სორბონის, დუბლინის და კრაკოვის უნივერსიტეტებში კითხულობდა ლექციებსა და მოხსენებებს ძველი ქართული კულტურის, ადრეული ქრისტიანობისა და აღმოსავლეთის ეკლესიების შესახებ, ეძიებდა და იკვლევდა ქართულ ხელნაწერებს, მონაწილეობდა სხვადასხვა მნიშვნელოვან კონფერენციასა და სამეცნიერო ყრილობაში.

#### დიონისე

(ერისკაცობაში კონსტანტინე ვალედინსკი, 1876-1960) – სრულიად პოლონეთისა და ვარშავის მიტროპოლიტი 1923 წლიდან. 1924 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა რუსეთის ეკლესიის გვერდის ავლით ოფიციალურად ცნო პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობა. 1948 წელს მიტროპოლიტი დიონისე კომუნისტებმა ეკლესიის მმართველობას ჩამოაშორეს.



1933 წელს გრიგოლ ფერაძე პოლონეთის მიტროპოლიტ დიონისეს მიწვევით გადადის ვარშავის უნივერსიტეტში, მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტზე პატროლოგიის პროფესორად. იწყება ახალი ეტაპი მის სასულიერო და სამეცნიერო ცხოვრებაში. მას წელიწადში ორჯერ უფლება აქვს გაემგზავროს პარიზში წმ. ნინოს ეკლესიის მართლმადიდებელ მრევლთან შესახვედრად, ხოლო საზაფხულო და საშობაო არდადეგების დროს შეეძლო სამეცნიერო მიზნით ხანგრძლივად ემოგზაურა საზღვარგარეთ.

1934 წელს ლონდონის წმ. სოფიას ბერძნულ საკათედრო ტაძარში გრიგოლ ფერაძე არქიმანდრიტად აკურთხეს. იმავე წლის მაისში კი, პოლონეთის მიტროპოლიტ დიონისეს დავალებით, ლუბლინის ეპისკოპოსმა საბამ ის მიტრით შეამკო.

**მიტრა** არის მღვდელმსახურის შესამოსელი, პატარა ხატებითა და ფერადი ქვებით შემკული თავსაბურავი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს ქრისტეს ეკლესიის გვირგვინს. მიტრით მღვდელმთავარი აჯილდოვებს მღვდელმსახურებს ხანგრძლივი და ერთგული სამსახურისათვის.

სამეცნიერო მოგზაურობის შესახებ გრიგოლ ფერაძე წერდა:

„ეკლესიას აქვს ორი მოვალეობა: 1) სულიერ-რელიგიური და 2) დაცვა ჩვენი ეკლესიის ტრადიციის, ე.ი. მეცნიერული. უნდა გამოვტყდე, რომ უკანასკნელი უფრო მაინტერესებს თუნდაც იმ მიზეზით, რომ ამ დარგში ჩემს საკუთარ თავს ვემყარები. ეკლესიურ მუშაობაში კი იძულებული ვარ სხვებსაც დავეყრდნო და ხანდახან ეს ნდობა არ მიმართლებდა. [...] ყველაზე იცის, რომ მიხდება ხშირად პარიზის დატოვება ხან მიწვევენ სხვაგანაც ლექციების წასაკითხად (როგორც იყო ეს გასულ წელს ოქსფორდში) ან სამეცნიერო მუშაობის გამო, რადგან არსად მთელ ევროპაში არც ერთ ნიგნსაცავს ქართული ნიგნები სრულად არა აქვს ან კიდევ თვით, ჩვენი მრევლის სიღარიბის გამო მივდივარ სხვაგან (როგორც მაგალითად პოლონეთში) ჩვენი ეკლესიისთვის რაიმეს საშოვნელად“.

1934 წელს გრიგოლ ფერაძე გერმანიაში გაემგზავრა და აღწერა ლაიფციგის, ბერლინისა და გეტინგენის ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ხელნაწერები. ლაიფციგის უნივერსიტეტში აღმოაჩინა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების ე.წ. ტიშენდორფისეული ნუსხა (ლობეგოტ ფრიდრიხ კონსტანტინ ფრეიჰერ ტიშენდორფი (1815-1874) იყო ცნობილი გერმანელი თეოლოგი და პალეოგრაფი). 1935 წელს მან რუმინეთში, ბულგარეთსა და საბერძნეთში იმოგზაურა, რამდენიმე თვე დარჩა საბერძნეთში, ათონის მთის მონასტერში. ასევე მოინახულა პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში, სოფიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონის მანამდე უცნობი ხელნაწერი.

1936 წელს გრიგოლმა იმოგზაურა იერუსალიმსა და სირიაში, სადაც არაერთ ქართულ წარწერას მიაკვლია, წმინდა მიწაზე ყოფნისას განსაკუთრებით დაინტერესდა პილიგრიმების ჩანაწერებით. ვარშავაში დაბრუნების შემდეგ დაწერა დღიურები „იერიქონის ვარდები, წმინდა მიწასა და სირიაში მოგზაურობის დღიური“.

1937 წელს ავსტრიაში, ვენაში, გაემგზავრა გრაციის უნივერსიტეტში დაცული შუჰარდტის (გერმანელი ენათმეცნიერი, ბასკოლოგი) ქართული კოლექციის გასაცნობად. 1937 წელს ვარშავაში ჩატარდა შოთა რუსთაველის იუბილე. გრიგოლ ფერაძის მოხსენება დაიბეჭდა ვარშავის ქართული კომიტეტის მიერ გამოცემულ წიგნში. ლუბლინში გრიგოლ ფერაძისა და გიორგი ნაკაშიძის დახმარებით იუზეფ ლობოდოვსკიმ პოლონურად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“.

გრიგოლ ფერაძის შრომების დიდი ნაწილი დაწერილია გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და პოლონურ ენებზე. მას იცნობდნენ და იმონებდნენ ივ. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე. მისი გამოკვლევები რეცენზირებული და შეფასებულია ცნობილი მეცნიერების ა. ბაუმშტარკის, მ. თარხნიშვილის, გ. დეეტერსის, რ. ჟანენის და სხვათა მიერ, მაგრამ მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა საქართველოში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დაფასებული.



გრიგოლ ფერაძე იყო პოეტი. მისი ენა გამოირჩევა არქაული ფორმებითა და ხალხური ლექსიკით. იგი იყენებდა ეკლესიის საგალობლებს, ქართული სიმღერების ლექსიკას. საკუთარ ლექსებს აქვეყნებდა ჟურნალ „ქართლოსში“ „გან-ფარის“ ხელმოწერით.

გრიგოლ ფერაძე, არაერთი პოლონური და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისა და ორგანიზაციის წევრი, თანამშრომლობდა მრავალ სამეცნიერო ჟურნალთან.

საგულისხმოა, რომ 1939 წლის მაისის ბოლოს გრიგოლ ფერაძე მიიწვიეს ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც უნდა გამართულიყო 1939 წლის შემოდგომაზე ალჟირში. მან პროფესორ გაბრიელ მილეს გასაცნობად გაუგზავნა კიდეც ფრანგულ ენაზე მომზადებული რეფერატი ბაჩკოვოს (პეტრინონის) მონასტრის შინაგანანესის შესახებ, მაგრამ პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრის შემდეგ გამგზავრებაზე უარი განაცხადა...

*„უარი ვთქვი მოგზაურობაზე, რადგან ვარშავაში მაქვს საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა, დაახლოებით ორი ათასი ტომი, მათ შორის იშვიათი ქართული პატრისტიკული წიგნები. ვფიქრობდი, რომ არ შემეძლო ბედის ანაბარა მიმეტოვებინა ევროპაში მთელი ჩემი ცხოვრების ნამოღვაწარი, მთელი ეს სიმდიდრე, ამიტომ ვარშავაში დავრჩი, იქ ვიყავი მისი ალების დროსაც, მიუხედავად იმისა, რომ უცხოელებს ქალაქის დატოვების ნება დართეს. ღმერთს მადლობას ვწირავ, რადგან როგორც ჩემი ბიბლიოთეკა, ასევე მოკრძალებული ბინა ხელუხლებლად გადარჩა. ღვთის წყალობის იმედიტა და რწმენით სავსე, კვლავაც სასოებით შევყურებ მომავალს“.*

მამა გრიგოლს პოლონეთში ცხოვრება უმძიმეს პერიოდში მოუხდა – ამ დროს ქვეყანა გერმანელ ფაშისტებს ჰქონდათ ოკუპირებული. მისი ცხოვრების ბოლო წლებისა და

ვარშავის უნივერსიტეტი







მონამეობრივი სიკვდილის შესახებ ცნობები მწირია. ვიცით, რომ 1942 წლის მაისში გრიგოლ ფერაძე ვარშავაში გესტაპომ დააპატიმრა. უშუალო მიზეზად დასახელდა ფაშისტების მიერ დევნილი ებრაელების დახმარება და მფარველობა. გრიგოლ ფერაძის ბინის ჩხრეკის შედეგად გაქრა მოგზაურობების დროს მის მიერ საქართველოსთვის შეძენილი ძვირფასი ძველი ხელნაწერები და საეკლესიო ნივთები.

გრიგოლ ფერაძე ვარშავის პავიაკის ციხეში ჩასვეს. მან თავისი ბინა მინდობილობით გადასცა ვარშავის სამიტროპოლიტოს დიაკვანს ეჟი ბერკმან-კარენინს. მას ასევე მიანდო თავისი ქონების გამგებლობაც:

„ჩემი ბინა ავეჯითურთ გთხოვთ გადასცეთ ვინმე კანცელარიის მუშაკს. ჩემი არდაბრუნების შემთხვევაში ჩემს ბიბლიოთეკას სამიტროპოლიტოს ვუანდერძებ. ნივთები (ტანსაცმელი, თეთრეული, ფეხსაცმლები, ყველა სხვა ნივთი) გაყიდეთ, ხოლო მიღებული თანხა გადაეცით ჩვენი სამრევლოს ობოლ ბავშვთა სახლს. ჩემი ქართული წიგნები და საბუთები (აგრეთვე ხატები) ომის შემდეგ უნდა გადაეცეს ქართულ ეკლესიას“.

აი რას იხსენებს ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, პუბლიცისტი და მთარგმნელი ვიტალი (თალიკო) უგრეხელიძე თავის გამოუქვეყნებელ ხელნაწერში გრ. ფერაძის ქონების ბედის შესახებ:

„... ბერის ამანათი მოიტანეს კლუბში და ერთი დიდი ოთახი აავსეს. მე, როდესაც ეს გავიგე, იქ მივირბინე, მინდოდა ორი ძველი ქართული საეკლესიო გალობის წიგნი გადამერჩინა გესტაპოს ხელიდან. იმ ოთახში შევედი. დამხვდა იქ პოლკოვნიკი ჩ. და მითხრა, რომ უკვე გესტაპომ ქონება აღწერაო. წიგნების ხელის ხლება აღარ შეიძლებოდა. მაგიდაზეც ეწყო წიგნები. დავინახე წაბლისფერყდიანი პატარა სახარება და დავინწყე მაგიდის ირგვლივ სეირნობა და პოლკოვნიკ ჩ.-თან ბაასი. ერთ წამში, ოდეს იგი მიბრუნდა, მე ვიხელთე დრო და სახარება ვიტაცე ჯიბეში. რამდენიმე წამის შემდეგ გამოვედი და სახარება დღემდე მაქვს შენახული. დანარჩენი ყველაფერი გესტაპომ წაიღო და დაიკარგა სამუდამოდ. სახარება ეძებეს თურმე მეორე თუ მესამე დღეს. პოლკ. ჩ. შემეკითხა სახარებაზე თუ რამე ვიცოდი, მაგრამ სიტყვა ბანზე ავუგდე. მითხრა კი, რომ დიდი აურზაური იყო“.





პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესია, მიუხედავად ურთულესი ვითარებისა, ყველაფერს აკეთებდა გრიგოლ ფერაძის გასათავისუფლებლად. უშედეგო გამოდგა გიორგი ნაკაშიძისა და მიტროპოლიტ დიონისეს ყველანაირი მცდელობა.

1942 წლის 18 ნოემბერს გრიგოლ ფერაძე ოსვენციმის ტყვეთა ბანაკში გადაყვანეს.

1942 წლის 11 დეკემბერს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტმა რუდოლფ ჰოსმა ვარშავის სამიტროპოლიტოს დიაკვნს ეჟი ბერკმან-კარენინს ოფიციალური ცნობა გაუგზავნა გრიგოლ ფერაძის გარდაცვალების შესახებ.

ვარშავის მართლმადიდებლური მიტროპოლიის არქივში დაცულია შვიდი დოკუმენტი, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია აღვადგინოთ მამა გრიგოლის პავიაკის ციხეში ყოფნის სურათი:

- 1) 1942 წლის 5 მაისს პოლონურ ენაზე შედგენილი გრიგოლ ფერაძის საცხოვრებელი ბინის დალუქვის პროტოკოლი.
- 2) 1942 წლის 28 მაისს რუსულ ენაზე შედგენილი გრიგოლ ფერაძის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის პროტოკოლი.
- 3) 1942 წლის 10 ივნისით დათარიღებული მინდობილობა გრიგოლ ფერაძის ხელმოწერით ვარშავის სამიტროპოლიტო დიაკვნის ეჟი ბერკმან-კარენინის სახელზე.
- 4) 1942 წლის 10 ივნისით პოლონურ ენაზე შედგენილი გრიგოლ ფერაძის პირადი ნივთების აღწერის პროტოკოლი დაპატიმრებულისთვის გადასაცემად.
- 5) 1942 წლის 20 ივნისით გერმანულ ენაზე დაწერილი გრიგოლ ფერაძის წერილი ეჟი ბერკმან-კარენინის სახელზე.
- 6) 1942 წლის 11 დეკემბრის ოფიციალური ცნობა გერმანულ ენაზე გრიგოლ ფერაძის გარდაცვალების შესახებ.
- 7) 1942 წლის 15 დეკემბრის გერმანულ ენაზე დაწერილი ვარშავის მართლმადიდებლური მიტროპოლიის წერილი ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტის სახელზე.


G 1

## Sterbeurkunde

(Standesamt Auschwitz) \_\_\_\_\_ Nr. \_\_\_\_\_  
*Der Priester Eugen Paszko*  
 \_\_\_\_\_  
 wohnhaft *Warschau, Bukowinstan 15.82*  
 ist am *6. Dezember 1942* um *16* Uhr *45* Minuten  
 in *Auschwitz, Kammernstrasse* verstorben.  
 Der Verstorbene war geboren am *31 August 1899*  
 in *Tiflis, Russland*  
 (Standesamt) \_\_\_\_\_ Nr. \_\_\_\_\_  
 Vater: *Roman Paszko, zuletzt wohnhaft*  
*in Tiflis*  
 Mutter: *Maria Paszko, geborene*  
*Tamara Laschewski, zuletzt wohnhaft in Tiflis*  
 Der Verstorbene war nicht verheiratet

Auschwitz den *20. Dezember 1942*

Der Standesbeamte  
 In Vertretung  
*[Signature]*



Gebührenfrei

ცნობა გრიგოლ ფერაძის გარდაცვალების შესახებ



ჰენრიკ პაპროცკი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა გრ. ფერადის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლისა და მისი წმინდანად შერაცხვის საქმეში, განიხილავს გრიგოლ ფერადის სიკვდილის შესახებ პოლონურ პრესაში გამოქვეყნებულ სამ სხვადასხვა ვერსიას. აქედან ერთს, რომ გრიგოლ ფერადე მოკლეს მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში, იმთავითვე უარყოფს და გაუგებრობად მიიჩნევს. დანარჩენი ორი ვერსიით კი მამა გრიგოლი გარდაიცვალა 1942 წლის 6 დეკემბერს, ერთის მიხედვით – საკუთარი სურვილით გაზის კამერაში შევიდა მრავალშვილიანი პატიმრის ნაცვლად, მეორესი კი – ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოუკლავთ გერმანელი ოფიცერი, ბანაკის ადმინისტრაციას მკვლელი ვერ უპოვია და ამიტომ მთელი ბანაკი საშინელ ყინვაში შიშველი გამოუყვანიათ მოედანზე და დამუქრებია, ასე დედიშობილა იდგებოდა ყინულზე, სანამ მკვლელს არ ჩაგვაბარებოთ. მაშინ მკვლელობა თავის თავზე აუღია გრიგოლ ფერადეს. იგი თურმე ჯერ ძაღლებს დააგლეჯინეს და მერე ბენზინი გადაასხეს და ტყვეების თვალწინ დაწვეს.

არსებობს მამა გრიგოლის გარდაცვალების სხვა ვერსიაც: 1945 წელს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის ორმა ყოფილმა პატიმარმა ვარშავის მართლმადიდებლურ მიტროპოლიას აცნობა, რომ მამა გრიგოლმა თავისი ნებით აღიარა არჩადენილი დანაშაული, თითქოს მან მოიპარა პური და ამით მთელი ტყვეთა ბანაკი გადაარჩინა. იგი ჯერ ძაღლებს დააგლეჯინეს, ხოლო შემდეგ ბენზინი გადაასხეს და ბანაკის თვალწინ დაწვეს. სამწუხაროდ, ეს განცხადება არავის ჩაუწერია – ან დაიკარგა, ან აღმოჩენას ელოდება.

აქვე უნდა ითქვას, რომ მიტროპოლიტი დიონისე 1946 წლის 1 თებერვალს რუსეთის პატრიარქ ალექსი I-ს წერდა: „ჩვენი მართლმადიდებელი თეოლოგიის სექციის პროფესორი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერადე, ქართველი, თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, ბონისა და ოქსფორდის პროფესორი, ენების მცოდნე, რუსული და ქართული ენების გარდა ფლობდა ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებს, დაპატიმრებულ იქნა და გადაყვანილი ოსვენციმის ტყვეთა ბანაკში, იქ – დახვრეტილი“. სავარაუდოდ, ეს ინ-





ფორმაცია ზემოაღნიშნული ორი ყოფილი პატიმრის მონაყოლთან არის დაკავშირებული.

ამრიგად, გრიგოლ ფერაძის გარდაცვალება დღემდე ბუნდოვანებით არის მოცული, არ არის ცნობილი მართლა შევიდა იგი თუ არა ნებაყოფლობით გაზის კამერაში მრავალშვილიანი პატიმრის ნაცვლად ან მართლა მის მიერ არჩადენილი დანაშაულის აღიარებას მოჰყვა პატიმრების თვალწინ მისი დაწვა ან დახვრეტა? რასაკვირველია, სრული უტყუარობით „ისტორიული სიმართლის აღდგენა ალბათ შეუძლებელია, მაგრამ ასე იყო თუ ისე, დღეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ ფერაძემ თავი გასწირა და მთელ ქვეყანას მოყვასისათვის თავგანწირვის იშვიათი მაგალითი უჩვენა...“ (თ. ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების შესწავლა უცხოეთში – გრიგოლ ფერაძის არქეოგრაფიული ძიებანი, თბილისი, 2006.)

1995 წლის 19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა.

უკანასკნელ ათწლეულში გრიგოლ ფერაძის შესახებ ლიტერატურულ და სამეცნიერო პერიოდიკაში ქვეყნდება მისი ნარკვევები და ქადაგებები.

მის შესახებ ბიოგრაფიულსა და ბიბლიოგრაფიულ მასალას გვანვდიან ავტორიტეტული სამეცნიერო და რელიგიური ცნობარები, ენციკლოპედიები.

ქართულად ითარგმნა გრ. ფერაძის რამდენიმე სტატია, ხელახლა დაიბეჭდა ზოგიერთი მისი ქადაგება.

მის მოღვაწეობას ხუთი დოკუმენტური ფილმი მიეძღვნა, მათ შორის სამი პოლონეთშია გადაღებული („თეთრი ანგელოზის ძიებაში“, 1996; „წმინდა პროფესორი“, 2002 და „უცნობი დავიწყებული, წმ. გრიგოლ ფერაძე – დიდება ღმერთს ყველაფრისთვის“, 2007).

პოლონეთში დაარსდა წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის სამლოცველო და შენდება მისი სახელობის ეკლესია.

დაარსდა წმ. გრიგოლ ფერაძის საზოგადოებაც.

2002 წლიდან ვარშავის უნივერსიტეტში ტარდება გრიგოლ ფერაძის სახელობის კავკასიოლოგთა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია.

დაარსდა აგრეთვე წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემია.

მისი სახე ხატებზეა აღბეჭდილი და მისდამი სავედრებლებია დაწერილი: „რომელმან ღმერთი დაუსაბამო მართლმადიდებლობით ისიბრძნისმეტყველე, და მსხვერპლად სუნად სუნნელად თავი თვისი შესწირენ ქრისტესა და გვირგვინი უხრწნელი მოიგე გრიგოლ, მას ევედრე ჩვენთვის ღვანლით შემოსილო“.

გრიგოლ ფერაძის სახელი ამოტვიფრულია ვარშავის უნივერსიტეტის მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ პროფესორთა მემორიალურ დაფაზე, აგრეთვე ომში დაღუპულ მართლმადიდებლური ეკლესიის მოღვაწეთა მემორიალურ დაფაზე ვარშავის წმ. იოანე კლემასის სახელობის ეკლესიის კედელზე.





# ანტიკური საჩუქარი

ლევან ბარქანიშვილი



## რა მოუტანა ანტიკურობამ თანამედროვე სამყაროს?

ერთი შეხედვით, პასუხი იოლი და მრავალმხრივია: პიროვნების დაბადება (ძვ.წ. VII ს.), დიდი ლიტერატურა, პირველი ევროპული ეპოსი, პირველი ლირიკა, მელიკა, თეატრი, ტრაგედია, კომედია, დრამა, ფილოსოფია, ისტორიოგრაფია, ფანტასტიკური არქიტექტურა, ტაძრები, ქანდაკებები, სტადიონები, სპორტის სახეობები, ოლიმპიური თამაშები, პითაგორას თეორემა, ოქროს კვეთი, ევროპული ენების ანბანთა სისტემები (ბერძნულის საფუძველზე შექმნილი ლათინური, ქართული, სომხური, სლავური ანბანი; ლათინურის საფუძველზე შექმნილი ევროპული ენების ანბანები) და კიდევ უამრავი რამ...



## და პოლიტიკის სფეროში?

პასუხი კიდევ უფრო მარტივია: დემოკრატია და სამართალი. უფრო ზუსტად და უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ბერძნული დემოკრატია და რომაული სამართალი.



## ბერძნული დემოკრატია


თანამედროვე წარმოდგენით, დემოკრატია არის მმართველობის ფორმა, რომელსაც ოთხი მთავარი ნიშანი აქვს:

1. მოქალაქეები ირჩევენ და ცვლიან ხელისუფლებას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებით;
2. მოქალაქეები აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკასა და სამოქალაქო ცხოვრებაში;
3. დაცულია ყველა მოქალაქის ადამიანის უფლებები და
4. სახეზეა კანონის უზენაესობა, რომლის მიხედვითაც კანონები და პროცედურები ყველა მოქალაქეს თანაბრად ეხება. მოქალაქეებს შეუძლიათ: ა) ხმა მისცენ ან არ მისცენ კანონებს ან კენჭი იყარონ ამა თუ იმ პოზიციაზე, ბ) შევიდნენ პოლიტიკურ პარტიებში, მონაწილეობა მიიღონ ამა თუ იმ კომიტეტში; გააკრიტიკონ, გამოხატონ პროტესტი, გ) იგრძნონ, რომ მათი უფლებები დაცულია და დ) ისარგებლონ სამართლიანი სასამართლოს უფლებით, როდესაც ბრალი ედებათ ქვეყნის კანონების დარღვევაში.

ამ ნიშნებიდან პირველ ორს საფუძველი ჩაეყარა ანტიკურობაში. რაც შეეხება დანარჩენ ორს, ისინი სულ სხვა ეპოქის დამსახურებაა. შესაბამისად, როდესაც ვამბობთ, რომ საბერძნეთმა გვაჩუქა დემოკრატია, იგულისხმება თვითონ ეს სიტყვა, იგულისხმება სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების პრაქტიკა და იგულისხმება მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრებაში, მაგრამ, ბუნებრივია, არ იგულისხმება „მთელი“ დემოკრატია ადამიანის უფლებებითა და კანონის უზენაესობით.

ტერმინი „დემოკრატია“ (ბერძნული *δημοκρατία*) შეიცავს ორ ნაწილს: დემოს (*δημος*, „ხალხი“) და კრატოს (*κράτος*, „ძალა“, „ძალაუფლება“) და აღნიშნავს „ხალხის ძალაუფლებას“. ეს ტერმინი პირველად გაჩნდა ბერძნულ პოლიტიკურ და ფილოსოფიურ ნააზრევში, ქალაქ-სახელმწიფო ათენში, კლასიკური ანტიკურობის ხანაში. კლეისტენესის (კლისთენეს) მეთაურობით ათენელებმა ჩამოაყალიბეს პირველი დემოკრატია ძვ.წ. 508-507 წლებში. შესაბამისად, კლეისტენესი მოიხსენიება, როგორც „ათენური დემოკრატიის მამა“.

ათენი არ იყო ერთადერთი პოლისი (ქალაქ-სახელმწიფო) ძველ საბერძნეთში, სადაც იყო დემოკრატიული მმართველობა. არისტოტელე მრავალ სხვა ქალაქსაც ასახელებს, თუმცა, ძირითადად, დემოკრატია სწორედ ათენში ჩამოყალიბდა. ამ სისტემის ჩამოყალიბებამდე ათენს მართავდნენ არჩეული არქონტები, ანუ უზენაესი ხელისუფალნი და არეოპაგოსი – ყოფილ არქონტთა საბჭო. ამ ინსტიტუტების წევრები ძირითადად იყვნენ არისტოკრატები, წარჩინებული გვარების წარმომადგენლები, რომლებიც ქალაქ-სახელმწიფოს მართავდნენ თავისი ინტერესების გათვალისწინებით. ძვ.წ. 621 წელს დრაკონმა მოგვცა საქვეყნოდ ცნობილი სასტიკი კანონები („დრაკონის კანონები“), რომლებშიც მკაფიო იყო არისტოკრატიის ძალაუფლება ყველაფერზე. ამ კანონებს ხელი არ შეუშლია წარჩინებული ოჯახებისთვის, ებრძოლათ კიდევ უფრო მეტი ძალაუფლების მოსაპოვებლად. საბოლოოდ




კლეისტენესი – „ათენური დემოკრატიის მამა“



არისტოკრატია ფინანსურად გასრისა სხვა ფენები და გაჭირვებულმა ხალხმა პირველ არქონტად ათენში სოლონი აირჩია, რომ მდიდრებსა და ღარიბებს შორის სამოქალაქო ომამდე მისული დაპირისპირება მოეგვარებინა. სოლონმა მოსპო ვალის ვერგადახდისთვის მონად ქცევის ინსტიტუტი, გამოორიცხა ათენელთა მონობა, ჩაატარა ქონების ცენზი, რომლის მიხედვითაც ოთხ კლასად დაჰყო მოსახლეობა და თითოეულ კლასს თავისი პოლიტიკური შესაძლებლობები განუსაზღვრა, ჩამოაყალიბა 400 კაციანი საბჭო და, რაც მთავარია, ყველა მოქალაქეს მისცა ახალდაარსებულ საერთო-სახალხო კრებაზე დასწრების, მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება. არეოპაგოსი დარჩა, მაგრამ მის ფუნქციად მხოლოდ კანონების აღსრულების კონტროლი განისაზღვრა.

სულ ცოტა ხანში ახალდაბადებული დემოკრატია დაამხო ტირანმა პეისისტრატოსმა, მაგრამ იგი კვლავ აღდგა 510 წელს პეისისტრატორის ძის გაძევების შემდეგ. კლეისტენესის რეფორმებმა დაასრულა არისტოკრატიული ოჯახების მმართველობა და ქალაქის მართვის სადავეები ხელში ჩაუგდო ყველა ათენელს. რეფორმათა მესამე ტალღა მოდის ეფიალტესზე (462/1 წწ.), რომელმაც დაარწმუნა სახალხო კრება, რომ უნდა შეემცილებინათ არეოპაგოსის ძალაუფლება.



სოლონი  
(დაახლ. ძვ. წ. 640-559)

ათენური დემოკრატია იყო პირდაპირი დემოკრატია, რომელსაც ორი ურთიერთგანსხვავებული ელემენტი შეადგენდა: ჩვეულებრივი მოქალაქეების წილისყრით შერჩევა (შემთხვევითი შერჩევა) არსებული სახელმწიფო, ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახურებისთვის და საკანონმდებლო სახალხო კრება, რომელშიც მონაწილეობდა ათენის ყველა მოქალაქე. ყველა მოქალაქეს უფლება ჰქონდა ელაპარაკა და ხმა მიეცა სახალხო კრებაზე, რომელიც ქალაქ-სახელმწიფოს კანონებს ადგენდა. ათენელ მოქალაქეებში არ იგულისხმებოდნენ ქალები, მონები, უცხოელები (უცხოქალაქელები), ე.წ. მეტოიკოსები, უმიწოები და თვრამეტ წლამდე ჭაბუკები. ათენის მოსახლეობა ორასიდან ოთხასამდე ათას კაცს შეადგენდა; ამათგან მხოლოდ ოცდაათიდან სამოც ათასამდე იყო მოქალაქე. მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მოქალაქეობის უფლების არმინიჭება უკავშირდებოდა მოქალაქეობის ძველ გაგებას. ანტიკურობის თვალ-





საზრისით, მოქალაქეობის სიკეთე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საომარ კამპანიებში აუცილებელ მონაწილეობასთან.

ათენის დემოკრატია პირდაპირი იყო არა მხოლოდ იმ გაგებით, რომ მასში მონაწილეობდა ერთად თავმოყრილი ხალხი, არამედ იმითაც, რომ სახალხო კრების, საბჭოსა და სასამართლოების მეშვეობით მოსახლეობის დიდი ნაწილი მუდმივად ჩართული იყო საზოგადო საქმეებში და აკონტროლებდა მთელ პოლიტიკურ პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუუმის უფლებები არ იყო დაცული ათენის კონსტიტუციით, თანამედროვე გაგებით (ძველ ბერძნებს არც ჰქონდათ სიტყვა „უფლება“), ათენელები სარგებლობდნენ სამოქალაქო თავისუფლებით, არ ემორჩილებოდნენ სხვის ძალაუფლებას და არ წარმოადგენდნენ რომელიმე პიროვნების მართვის ობიექტებს.

სხვა ქალაქ-სახელმწიფოებშიც იყო დემოკრატიული გამოცდილება. მაგალითად, რანჟირებული ხმის მიცემა სპარტაში ჯერ კიდევ ძვ.წ. 700 წლისთვის შემოიღეს. „აპელა“ იყო ყველა მოქალაქის კრება, რაც თვეში ერთხელ იმართებოდა, რომელშიც 30 წელს მიღწეულ ყველა მამაკაცს შეეძლო მონაწილეობა მიეღო. აპელაზე სპარტელები ირჩევდნენ ლიდერებს და ხმას აძლევდნენ კენჭისყრითა და დაძახებით. არისტოტელე ამას „ბავშვურს“ უწოდებს, როცა ადარებს ათენელთა კენჭებით არჩევნებს, საკუთრივ „კენჭისყრას“. სპარტელებს კი თავისი სისტემა მოსწონდათ, რადგან ის, მათი აზრით, გამორიცხავდა გაყალბებას, მოსყიდვას, მაქინაცეებს ადრეულ დემოკრატიულ არჩევნებში. სამწუხაროდ, სპარტაში დემოკრატიული ცხოვრება სულ სხვა მიმართულებით განვითარდა და საბოლოოდ გადაგვარდა. დემოკრატიის ქვაკუთხედად კი ისევ ათენი რჩებოდა.

ათენურმა დემოკრატიამ თავის მწვერვალს მიაღწია ძვ.წ. V საუკუნეში, არაფორმალური ლიდერის, პერიკლეს, ეპოქაში. პერიკლე იყო უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე, ათენის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, ცნობილი ორატორი და სარდალი. ძვ. წ. 444 წელს, თუკიდიდეს დამხობის შემდეგ, განაგებდა ქვეყანას. ძვ. წ. 445 წელს დაიმორჩილა



პერიკლე  
(დაახლ. ძვ. წ. 494-429)





კუნძული ევბეია, ხოლო 440 წელს — სამოსი. პერიკლემ თავის გარშემო შემოიკრიბა საბერძნეთის წამყვანი კულტურის მოღვაწენი და არაერთ დიდ საქმეს დაადგა თავი, სწორედ მისი მმართველობის ხანაში მიაღწია ათენმა ეკონომიკური და კულტურული განვითარების პიკს (პერიკლეს ხანა).

პერიკლე მიეკუთვნებოდა ალკმეონიდთა არისტოკრატიულ გვარს, მაგრამ იზრდებოდა დემოკრატთა გარემოცვაში. მიიღო დიდებული განათლება. თავისი ათლეთური აღნაგობის, არისტოკრატობისა და მშვიდი, განონასწორებული ხასიათის გამო პერიკლეს „ოლიმპიელს“ უწოდებდნენ. იგი 15 წელი (ძვ. წ. 444-429 წწ.) უცვლელად იყო ათენის სტრატეგოსი, მართავდა პრინციპით: „ჩვენ ვქმნით დროის მცირე მონაკვეთში, მაგრამ არა დროის მცირე მონაკვეთისათვის“.

პერიკლეს სახელთან არის დაკავშირებული მრავალი რეფორმა, რომლებმაც ხელი შეუწყო ათენის სახელმწიფოს წყობილების დემოკრატიზაციას. გააუქმა ქონებრივი ცენზი სახელმწიფო სამსახურისთვის, დააწესა ჯამაგირი (დიეტა) და ამით სახელმწიფო მართვა-გამგეობაში უღარიბესი ფენებიც ჩააბა. გააფართოვა სახელმწიფო კრების (ეკლესია) უმაღლესი საკანონმდებლო უფლებანი. მანამდე არსებული ღია ხმის მიცემის პარალელურად საარჩევნო ფორმად შემოიღო კენჭისყრა. თეატრალურ სანახაობებზე დასასწრებად ღარიბთათვის დააწესა სახელმწიფო ხაზინიდან ფულის გაცემა (თეორიკონი). სანახაობებისა და მისტერიების ხარჯები დააკისრა მდიდარ მოქალაქეებს (ლიტურგია). უმინაწყო გლეხობას ასახლება საგანგებოდ გამოყოფილ მიწებზე (კლერუქია). პერიკლეს დროის ათენს უწოდებდნენ „საბერძნეთს საბერძნეთში“. ხელახლა აშენდა აკროპოლისი, პართენონი, ნავსადგურები პირეოსი და ფალერონი. ათენი და პირეოსი მთლიანად გაერთიანდა. პერიკლეს უკანასკნელი სიტყვები იყო: არც ერთ ათენელს ჩემი მიზეზით სამგლოვიარო თაღხი არ ჩაუცვამსო.





## მოქალაქეობა ათენში


ათენის მოქალაქე შეიძლება ყოფილიყო მამრობითი სქესის პიროვნება, რომელიც, როგორც ეფებოსი (17-18 წლისა), მზად იყო მოეხადა სამხედრო ვალდებულება. სახელმწიფოს მართვაში ჩართული მოქალაქეები საერთო მოსახლეობის 10-დან 20 პროცენტს შეადგენდნენ, რაც იცვლებოდა ძვ.წ. V-IV საუკუნეებში. მოსახლეობის დიდი ნაწილი – მონები, გათავისუფლებული (გააზატებული) მონები, ქალები, მეტოიკოსები (ათენში მცხოვრები უცხოქალაქელები ან უცხოელები) – ამ საქმეებში ვერ მონაწილეობდა. ქალების უფლებები და პრივილეგიები მეტად შეზღუდული იყო, მათი მოქალაქეებად ჩათვლა ძნელი იყო, თუმცა, რა თქმა უნდა, მონებთან მათი შედარება არ შეიძლებოდა. საჯარო სფეროში ისინი ძლიერ შეზღუდული იყვნენ და საკმაოდ იყვნენ გამიჯნული კაცებისგან. ხმის მიცემის უფლება ასევე შეზღუდული ან ჩამორთმეული ჰქონდათ ცალკეულ პირებს, მაგალითად, სახელმწიფო ვალის გადაუხდელობის გამო. ზოგიერთი ათენელისათვის ამას მოჰყვებოდა სამუდამო დისკვალიფიკაცია. თუმცა, სხვა ქალაქების ოლიგარქიისა და არისტოკრატიისაგან განსხვავებით, ათენსა და რადიკალური დემოკრატიის რამდენიმე სხვა ქალაქ-სახელმწიფოში მდგომარეობა ბევრად უფრო უკეთესი იყო. ცალკეული მოქალაქეები ათენში უფრო აქტიურები იყვნენ, ვიდრე სხვები, მაგრამ სახელმწიფო და საზოგადო საქმეებში ჩართულების რიცხვი უფრო მაღალი იყო, ვიდრე დღევანდელ დემოკრატიებშია. ათენის მოქალაქეები მოქალაქეთა შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ, პერიკლესა და კიმონის რეფორმების შედეგად, რომელიც ძვ.წ. 450 წ. განხორციელდა, მათ ორივე მშობელი ათენელი უნდა ჰყოლოდათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონს უკუტყვევითი ძალა არ ჰქონდა და კანონის მიღებამდე უკვე მოქალაქედ აღიარებული პირები ამ სტატუსს ინარჩუნებდნენ, როდესაც ეგვიპტის ფარაონისგან საჩუქრად მარცვლეული მიიღეს, „მრავალი უკანონობა გამოვლინდა“ და ბევრი მოქალაქე ამონერეს სამოქალაქო რეესტრიდან. მოქალაქეობის მინიჭება შეეძლო სახალხო კრებას და ხანდახან იგი დიდი ჯგუფებისთვის მიუნიჭებიათ, მაგალითად, პლატელებს – ძვ.წ. 427 წელს და სამოსელებს – 405 წელს, მაგრამ ძვ.წ. IV საუკუნიდან იგი მხოლოდ ინდივიდუალურად ენიჭებოდა და საჭირო იყო 6000-კაციანი კვორუმი; ასე რომ, მოქალაქეობა ახლა ენიჭებოდა ასობით და არა ათასობით პრეტენდენტს.



თორმეტი დაფის კანონთა კრებული

ფიდიასის (ძვ. წ. V ს.) ქანდაკება პართენონის ფრონტონიდან





## რომაული სამართალი

პირველი მინიშნებები დამკვიდრებული რომაული სამართლის შესახებ შეიძლება მოვიძიოთ სასამართლო საქმეთა იმ გადაწყვეტილებებში, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია. რაც შეეხება რომაული სამართლის წერილობით წყაროებს — ეს რომაელ მეფეთა კანონებია. ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია თორმეტი დაფის კანონთა კრებული (ლათ. *Leges duodecim tabularum*), რომელმაც გაითვალისწინა სოლონის კანონების ბევრი დებულება და მიეკუთვნება ძვ.წ. V საუკუნეს. ძვ.წ. III საუკუნისთვის რომაული სამართალი უკვე მკვეთრად იყო გამიჯნული რელიგიური ნორმებისგან.

ძვ.წ. 367 წელს ცივილიუს კექსუსის (რომაელების წაკითხვით, კივილიუს კექსუსის) კანონით შემოიღეს პრეტორის თანამდებობა. პრეტორობის კანდიდატები იყვნენ პრეტორის ედიქტები. არჩევნების დროს აუცილებლად ითვალისწინებდნენ მათ დამოკიდებულებას სამართლის გამოყენებასთან და მისი პრინციპების




იუსტინიანუსი, მოზაიკა რავენის წმ. ვიტალის ბაზილიკიდან (527-528)




გაგებასთან. პრეტორს, აუცილებლობის შემთხვევაში, შეეძლო სამართლის საფუძვლებში არსებული ხარვეზის შევსება; ასევე მას უფლება ჰქონდა ძველი კანონები ახალი რეალიები-სათვის შეუფერებლად მიეჩნია და გაეუქმებინა. პრეტორის სამართალმა დიდი წვლილი შეიტანა რომაული სამართლის სისტემის განვითარებაში.

ძველი რომაული სამართლის სამეცნიერო სისტემის ერთდერთ ძეგლად ითვლება გაიუსის ინსტიტუციები (ძვ.წ. II ს.). მოგვიანებით, ახ.წ. 426 წ., იმპერატორმა ვალენტიანიანუს მესამემ ეს ძეგლი პაპინიანუსის, ულპიანუსის, მოდესტინუსისა და პავლუს მოსაზრებებთან ერთად მიიჩნია სამართლის წყაროებად, რომლითაც უნდა ესარგებლათ მოსამართლეებს განაჩენის გამოტანისას.

დიდი ხნის განმავლობაში იუსტინიანუსის დიგესტები ითვლებოდა რომაული სამართლის ძირითად წერილობით წყაროდ. სამართლის ინსტიტუტი საკმაოდ კონსერვატიული აღმოჩნდა, მასში ცვლილებების შეტანა ძალიან ძნელი იყო; სწორედ ამის გამო რომის იმპერიის პერიოდში განვითარდა კარგად გააზრებული იურიდიული ტექნიკა, მოხდა სამართლის წყაროების დაწვრილებითი სისტემატიზაცია, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა სამართლის მეცნიერების განვითარებაზე. შემდგომში მოხდა რომის კერძო სამართლის გადატანა რომანულ-გერმანულ სამყაროში და ასე ჩამოყალიბდა ევროპული სამართალი.



ულპიანუსი  
(170-228)





რომაული სამართლის ძირითადი პრინციპია მტკიცებულება, რომ სახელმწიფო არის სახელმწიფოს მოქალაქეებს შორის მოლაპარაკების შედეგი და მისი მიზანია ყველა სამართლებრივი საკითხის გადანყვება ყველას მიერ საერთო კონსენსუსით წინასწარ მიღებული წესების მიხედვით. რომაული სამართლის ეს პრინციპი საფუძვლად დაედო ხელისუფლების ისეთ ფორმას, როგორიცაა რესპუბლიკა, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოში ხელისუფლების ყველაზე გავრცელებული ფორმაა.

რომაულ თვითშეგნებას სამართლიანობა გამოჰყავს თანასწორობიდან, როგორც სამართლის რეალიზაციის ძირითადი პრინციპი. „*Ius est ars boni et aequi*“ — ამბობს ცელსუს (კელსუს) უმცროსის გამონათქვამი და იგი ითარგმნება, როგორც „სამართალი არის კეთილისა და თანასწორის ხელოვნება“. მნიშვნელოვანია, რომ აქ გამოყენებულია ტერმინი „თანასწორი“ (*aequus*) და არა „სამართლიანი“. რომაული სამართალი ეფუძნება სამართლო ხელისუფლების უზენაესი როლის გააზრებას; „მაქვს სარჩელი: ესე იგი, მაქვს უფლება“, — ასე ასახავს მდგომარეობას ერთ-ერთი ცნობილი რომაული იურიდიული გამონათქვამი. უტილიტარიზმს უწოდებენ სარგებლის (*utilitas*) განხილვას სამართლის აზრად, რომელიც ახასიათებს რომაულ დამოკიდებულებას სამართლის მიმართ: „სარგებელი — კეთილისა და სამართლიანის დედა“.

ერთმანეთისგან განსხვავდება კერძო (*ius privatum*) და საჯარო სამართალი (*ius publicum*). ამ განსხვავებას პირველად ხაზი გაუსვა იურისტმა ულპიანუსმა: „საჯარო სამართალი არის სამართალი, რომელიც მიეკუთვნება რომაული სახელმწიფოს სარგებელს, ხოლო კერძო სამართალი მიეკუთვნება ცალკეულ პირთა სარგებელს“.

## რომაული საჯარო სამართალი

*Ius publicum* – საჯარო სამართალი სამართლის ნორმებია, რომელიც იცავს მთელი საზოგადოების ინტერესებს, განსაზღვრავს სახელმწიფოსა და მისი ორგანოების სამართლებრივ მდგომარეობას. მას ახასიათებს პრინციპი, რომ რომაული საჯარო სამართლის ნორმები არ შეიძლება შეიცვალოს კერძო პირების შეთანხმებით, ამიტომ საჯარო სამართლის ნორმები იმპერატიულია (სავალდებულოა).

რომაულ საჯარო სამართალს სამი განყოფილება ჰქონდა: 1. მოხელეთა უფლებები და მოვალეობები, 2. ქურუმებისა და სხვა რელიგიური თანამდებობის პირების უფლება-მოვალეობები და 3. სისხლის სამართალი. კერძო სამართლისგან განსხვავებით, რომაულ საჯარო სამართალს დასავლეთ ევროპის სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. რომის იმპერიის დაცემის შემდეგ სწრაფად დაივიწყეს მისი საჯარო სამართალი, ხოლო კერძო სამართალი ისესხეს სხვა სახელმწიფოებმა. ამ სესხების პროცესს ტრადიციულად გადაღებას, ანუ „რეცეფციას“ უწოდებენ.



გაიუსის ინსტიტუციების  
ერთ-ერთი უძველესი  
ხელნაწერი პაპირუსი

## რომაული კერძო სამართალი

*Ius privatum* – კერძო სამართალი ეფუძნება კერძო საკუთრების ურთიერთობებს. ევროპელმა ლიბერტარისტებმა რომაული დამოკიდებულება საკუთრებისადმი აღიარეს, როგორც პიროვნების თავისუფლებისა და პატივისცემის მნიშვნელოვანი ნიშანი.

რომაულმა კერძო სამართალმა თავისი საბაზო ინსტიტუტები და პრინციპები ათასწლოვან ისტორიაში გამოატარა და საბოლოოდ გახდა თანამედროვე კერძო სამართლის საფუძველი. ეს დიდად განაპირობა იმანაც, რომ *Corpus Iuris Civilis* (კერძო სამართლის კორპუსი) ისწავლებოდა ევროპის უნივერსიტეტებში. რომის კერძო სამართალს დღესაც უდიდესი როლი აქვს სამართლის მეცნიერებაში და იგი წარმოადგენს თანამედროვე სახელმწიფოების სამოქალაქო-სამართლებრივი დარგების შესწავლის ჩონჩხს.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ძველი საბერძნეთისა და რომის იმპერიის ზეობიდან ძალიან დიდი დრო გავიდა, ანტიკური საჩუქარი თავის მნიშვნელობას არ კარგავს. ბევრი საჩუქრისგან განსხვავებით, იგი აღმოჩნდა უნივერსალური და კარგი სასმელივით, ღვინო იქნება ეს, კონიაკი თუ ვისკი, რაც უფრო ძველდება, მით უფრო ძვირფასი ხდება.



# დამწერლობის წარმოშობის ისტორია ნახატებიდან ნახატებამდე

მანია ლამაზაშვიძე

აზრის წერილობით გადმოცემის იდეა, რა თქმა უნდა, ერთ დღეს არ ჩამოყალიბებულა. დღეს ჩვენ გვაქვს ანბანური დამწერლობა და შეგვიძლია თითოეულ ფონემას თითო ნიშან-სიმბოლო შევუსაბამოთ, მაგრამ თავდაპირველად ეს ასე არ იყო. დამწერლობამ წარმოქმნის შემდგომ განვითარების რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა, რათა საბოლოოდ მიეღწია ანბანამდე.

რა და როგორ ჩაიწერა ადამიანმა პირველად? როგორ გამოიყურებოდა ყველაზე ძველი ნაწერები? რამ გამოიწვია წერის სისტემის გამარტივება? წინამდებარე სტატიაში შევეცდებით სწორედ ამ საკითხებს გავცეთ პასუხი.

## რა არის დამწერლობა

**ფონემა** არის ლინგვისტური ტერმინი და აღნიშნავს ამა თუ იმ ენის ფონეტიკური სისტემის შემადგენელ ბგერით ერთეულს, ბგერას.

დამწერლობა არის სიმბოლოების, ანუ გრაფიკული ნიშნების გამოყენების საშუალება, რათა ვიზუალურად, კითხვითი ფორმით გადმოიცეს აზრი, იდეა. მეცნიერები მისი განვითარების რამდენიმე ეტაპს გამოყოფენ, იმისდა მიხედვით, თუ მეტყველების როგორი გრძლივობა გადმოიცემა ნიშნებით – ფრაზა, სიტყვა, მარცვალი თუ ბგერა. აღსანიშნავია, რომ დამწერლობა წარმოადგენს კაცობრიობის უდიდეს კულტურულ მიღწევას, ვინაიდან მის გარეშე ადამიანი ვერც ერთ მნიშვნელოვან მოვლენას ვერ აღწუსხავდა.

**ანბანი** არის ასოთა ან სიმბოლოთა ერთობლიობა, სადაც ეს სიმბოლოები ცალკეულ ბგერით ერთეულს წარმოადგენს.

როგორ გაჩნდა დამწერლობის შექმნის იდეა? რატომ არ დაკმაყოფილდა ადამიანი სამეტყველო ენით?

მეტყველებისგან დამწერლობა სწორედ იმით განსხვავდება, რომ ერთი უხილავია, მეორე კი – ხილული. თუ დღეს არსებობს აუდიო-ვიდეო ჩამწერი, რომლითაც მსოფლიოს ნებისმიერ ადგილს ვუკავშირდებით, ძველ დროში უხილავი ენის მანძილსა და დროში გადაცემა შეუძლებელი იყო. ანუ უნდა ვივარაუდოთ,



რომ როდესაც გარკვეულ მოვლენათა ჩანიშვნა და მათი მანძილსა თუ დროში გადაცემა გახდა აუცილებელი, სწორედ მაშინ გაჩნდა დამწერლობაც.

მაგრამ ამასთანავე წარმოუდგენელია დამწერლობის სრული სახით ჩამოყალიბება განვითარების იმ ეტაპების გაუვლელად, რომლებიც აზრისა და იდეის გადმოცემას მარტივიდან რთულ ფორმამდე მიიყვანენ. ამის მაგალითი გვხვდება ძველ მესოპოტამიაში, სადაც ის ერთადერთი დამწერლობა აღმოჩნდა, რომელმაც განვითარების ყველა ეტაპი გვიჩვენა – დაწყებული მარტივი ნახატებიდან, დამთავრებული რთული შინაარსის მქონე თიხის ფირფიტებით, რომლებმაც, თავის მხრივ, საფუძველი ჩაუყარეს ანბანური დამწერლობის წარმოშობას. ამ დამწერლობის პირველობას ისიც ადასტურებს, რომ იგი არც ერთი ადრინდელი წერის სისტემის გავლენას არ ამჟღავნებს.

### პროტოდამწერლობა


ყველაზე ძველი ნახატები, რასაც ჩვენამდე მოუღწევია, არის გამოქვაბულებსა და მღვიმეებში, კედლებზე გამოსახული ცხოველები (მაგ., ბიზონი, ცხენი და სხვა). ცხადია, ასეთ ნახატებს დამწერლობას ვერ ვუწოდებთ, ვინაიდან წარმოადგენენ მხოლოდ გამოსახულებებს, რომლებსაც ვერასდროს წავიკითხავთ. მეცნიერთა აზრით, ეს არ იყო მხოლოდ სახვითი ხელოვნების ნიმუშები და მათი გამოსახვით ადამიანი გადმოსცემდა რაღაც შინაარსს,





მაგალითად, რომ მან მოკლა ეს ცხოველი, მოკლა ამდენი და ამდენი და ა.შ. გამოსახულ ცხოველთან ერთად უმეტესად ჩამოსმულია ხაზები, რაც სწორედ რიცხვების აღმნიშვნელ უპირველეს ნიშნებად მიიჩნევა.

გამოქვაბულებში შესრულებულ ნახატებთან ერთად არქეოლოგები წააწყდნენ სხვადასხვა სახისა და შინაარსის მქონე ჩხირებს, საჭდეებსა თუ იარაღებსაც. დასავლეთ საფრანგეთში აღმოჩნდა, მაგალითად, არწივის ძვალზე გამოსახული აღნიშვნები, რაც მთვარის ფაზების ჩანაწერებს გადმოგვცემს. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ეს ხაზები სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება.



არწივის ძვალზე ჩახატული მთვარის ფაზების კალენდარი

## საბეჭდავეები

დამწერლობის წარმოშობა უკავშირდება სულ უფრო და უფრო კომპლექსურად განვითარებულ სამეურნეო საქმიანობას. ამ დროს ჩნდება სხვადასხვანაირი ფორმისა და გამოსახულების მქონე მცირე ზომის თიხის ცილინდრული საბეჭდავები, რომლებიც სველ თიხაზე გადატარების შედეგად სხვადასხვა შინაარსის მქონე კომპოზიციურ ნახატებს ტოვებენ.



თიხის დასათვლელი ფიგურები



ცილინდრული საბეჭდავი და მისი ანაბეჭდი თიხაზე

თიხის „კონვერტი“ და მასში მოთავსებული ფიგურები



## თიხის სათვლელი ფიგურები და „კონვერტები“

მე-20 საუკუნის მიწურულს, შუამდინარეთში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მეცნიერებმა სრულიად უცნაური არქეოლოგიური ნივთმცოდნეობები აღმოაჩინეს – ეს იყო სხვადასხვა ფორმის თიხის პატარა ფიგურები, რომლებიც საკმაოდ დიდი პერიოდის მანძილზე გვხვდება და ძვ. წ. 8000-1500 წწ.-ით თარიღდება. თავდაპირველად ეს ფიგურები შეუმჩნეველი დარჩათ, მათთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ, ვინაიდან არ ეგონათ, რომ რაიმე იდეის მატარებელი იქნებოდნენ. მაგრამ არქეოლოგები თანდათან დარწმუნდნენ, რომ მათი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა, ვინაიდან ასეთი ფიგურები მთელ მახლობელ აღმოსავლეთში აღმოაჩინეს. საინტერესოა, რომ ეგვიპტეში არც ერთი ამგვარი ფიგურა არ არის ნაპოვნი.

ამ თიხის ფიგურათა განვითარება შეიძლება ორ ეტაპად დავყოთ: ადრეული ფიგურები სადაა და გეომეტრიული ფორმა აქვთ – სფერო, წრე, დისკი, კონუსი და ა.შ., მოგვიანო ხანისა კი არის დასერილი, ამოკვეთილი და ფორმამიცემული.



გამოითქვა ვარაუდი, რომ ეს ფიგურები გამოიყენებოდა ანგარიშსწორებისათვის ერთგვარ საზომ ერთეულად. სხვადასხვა ტიპის ფორმა სხვადასხვა სიმბოლოს განასახიერებდა – მაგ., რომელიმე ცხოველს, საკვებსა თუ ნივთს. ფიქრობენ ასევე, რომ არსებობდა ამ ფიგურების დათვლის სისტემა, რომელიც გამოიხატებოდა მათზე ჩამოსმული ხაზებითა და წრეებით, რაც საშუალებას იძლეოდა, რომ დიდი რაოდენობით დაეთვალიათ ესა თუ ის საქონელი.

ამ დასათვლელ ფიგურათა ძირითადი ფუნქციის შესახებ ვარაუდი კიდევ უფრო მას შემდეგ გამყარდა, რაც ძველი მესოპოტამიის ერთ-ერთ ყველაზე ძველ ქალაქ ურუქში თიხის



მრგვალი ფორმის საინტერესო ჭურჭლები აღმოაჩინეს, რომლებიც ზემოდან საბეჭდავებით იყო დაბეჭდილი. როგორი იყო მეცნიერთა გაოცება, როდესაც ამ ჭურჭლის გახსნის შედეგად შიგნით უკვე ნაცნობი ფორმის თიხის დასათვლელი ფიგურები იპოვეს!

აღმოჩნდა, რომ ეს იყო მრგვალი ფორმის თიხის „კონვერტები“, რომელთა ერთი ნაწილი გაუხსნელი, ზოგი კი უკვე დამტვრეული იყო. მათი შექმნის მიზანი უნდა ყოფილიყო თავდებობა, გარანტია სიზუსტისა და უტყუარობა ჩადებული ფიგურებისა, რომლებიც თავისთავად სხვადასხვა ნივთის სიმბოლოს წარმოადგენდნენ. თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, ეს იყო იმდროინდელი ე.წ. „ჩეკი“, რომელსაც ჩვენ ვიღებთ საქონლის შეძენის დროს. როგორც ჩანს, ადამიანი ფიქრობდა, რომ თუ ეს ნიშნები ჯიბეში ედებოდა ან ძაფზე ააცვამდა, შეიძლება დაკარგოდა ან ადვილი იქნებოდა მათი გაყალბება. ამ გზით კი პირი, რომელიც მეორეს ნივთებს უცვლიდა (იმ დროს გავრცელებული იყო აღებ-მიცემობა, საქონლის ე.წ. „ბარტერული“ გაცვლა), გამოძიერწავდა მისთვის საჭირო თიხის დასათვლელ ფიგურებს, გამოსახავდა მათზე საგანთა რაოდენობას, ჩააწყოდა თიხისავე „კონვერტში“, დაახატავდა ზემოდან ფიგურებს, რის გაცვლასაც აპირებდა, შეკრავდა „კონვერტს“ და გადასცემდა მეორე ადამიანს. ამით ანგარი-







შის უზუსტობისგან ორივე მხარე იყო დაზღვეული. თუ ეს სავაჭრო შეთანხმება საკამათო გახდებოდა, „გარიგების“ მონაწილეთ შეეძლოთ სხვათა თანდასწრებით გაეტეხათ „კონვერტი“ და დაეთვალათ საქონელი.

როგორც ჩანს, საქონლის გაცვლის დასადასტურებლად მოგონილი ასეთი ხერხი იმდენად მოსახერხებელი იყო მაშინდელი მოსახლეობისთვის, რომ ეს ფიგურები ლურსმული დამწერლობით შესრულებული მნიშვნელოვანი ტექსტების პარალელურადაც განაგრძობდნენ არსებობას მას შემდეგაც, რაც ძვ. წ. IV ათასწლეულის მიწურულს გაჩნდა დამწერლობა.

### პირველი თიხის ფირფიტები

ქალაქ ურუქში, თიხის მარტივი დასათვლელი ფიგურების გარდა, აღმოჩენილია ასევე თიხაზე შესრულებული პირველი ნახატები, ე.წ. „პიქტოგრამები“. ისინი გამოხატავდნენ მთელ თხრობით კომპოზიციას, სადაც ნახატები ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. შემდგომ პერიოდში ეს ნახატები გადაიქცნენ ლურსმული დამწერლობის შემადგენელ ნაწილად.

ძველ მესოპოტამიაში აღმოჩენილი ყველაზე ძველი თიხის ფირფიტები დაახლ. ძვ. წ. 3300-ით თარიღდება. ეს ფირფიტები შუმერებმა შექმნეს და მათზე ციფრებია გამოსახული, ვინაიდან ეს ფირფიტები მხოლოდ რიცხვებსა და პიქტოგრაფიულ ნიშნებს ასახავენ, მათ ჩამოყალიბებულ დამწერლობას ვერ ვუწოდებთ.

ძვ. წ. 3100 (ურუქი IV)	ძვ. წ. 3000 (ურუქი III)	ძვ. წ. 2500 (ფარა)	ძვ. წ. 2100 (ური III)	შუმერული წაკითხვა და მნიშვნელობა
				SAG თავი/აღმიაწი
				NINDA პური/ულუფა
				GU, სანოვავე
				AB2 ძროზა
				APIN გუთანა
				SUHUR გამოყვანილი თევზი
				ციფრები
				ციფრები


დაძველებული ფიგურები	განვითარების ლურსმულ	პატარავი ფიგურები	თიხის ფიგურები



თუკი ქვის ხანის ადამიანი მნიშვნელოვანი მოვლენის დასაფიქსირებლად გამოქვაბულის კედლებსა და ძვლებს იყენებდა, ძველი შუამდინარეთის ადამიანმა სანერად ის მასალა გამოიყენა, რითაც მდიდარი იყო მისი ქვეყნის ბუნება და რაც იქ ბევრად მეტი იყო, ვიდრე ხე და ქვა – მესოპოტამიაში უხვად მოიპოვებოდა თიხა, რომელსაც იქაური მაცხოვრებლები აქტიურად იყენებდნენ მშენებლობაში. თიხა სანერადაც კარგი მასალა აღმოჩნდა. წყალუხვ შუამდინარეთში ასევე დიდად გავრცელებული იყო ლერწამი, იგივე სელი, რომელიც, სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებთან ერთად (ზეთი, სამოსი და ა.შ.), საუცხოოდ გამოდგა თიხაზე სანერ საშუალებად. თიხას ზელდნენ და ლერწმისგან გამოთლილი გრძელი სამკუთხა კალმით მარტივად გამოსახავდნენ მასზე ნიშნებს.

**იდეოგრაფულია** დამწერლობა, როდესაც ერთი ნიშანი, სიმბოლო გამოხატავს მთლიან სიტყვას ან იდეას.

**მარცვლოვანია** დამწერლობა, როდესაც ერთი ნიშანი, სიმბოლო გადმოცემს ერთ მარცვალს (მაგ., ბა, აბ, ბაბ).



ამ დამწერლობის მაგალითად მოგვყავს ე.წ. „ლუდის ფირფიტა“ – ეს არის რებუსის მსგავსი გამოსახულება, რომელიც გვიყვება ქერის გაცვლის ამბავს: 135 000 ლიტრი (1) ქერის (2) გაცვლის პერიოდი: 37 თვე (3), ამ საქმის პასუხისმგებელი პირი: ქუშიმი (4), საბუთის მიზანი: საბოლოო ანგარიში (5), ქერის გაცვლა – ხელიდან ხელში (6).



გადამწერები თელ ბარსიფიდან, სირია

ნელ-ნელა ეს რთულად მისახვედრი რებუსული დამწერლობა გადაიქცა ნაწილობრივ იდეოგრაფულ, ნაწილობრივ კი – მარცვლოვან დამწერლობად. ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულიდან ვხვდებით უკვე ისეთ ნიშნებს, რომლებიც ერთ მარცვალს გამოხატავენ. შუმერებმა დაიწყეს ლურსმული/სოლისებრი ნიშნების კომბინაციების შედგენა. თავდაპირველად ეს სიმბოლოები თავის აღსანიშნ საგნებს გამოსახულებით ემსგავსებოდნენ, შემდგომ კი უკვე მარცვლის აღმნიშვნელი გახდნენ. ასეთი იდეოგრაფიულ-მარცვლოვანი, ლურსმული/სოლისებრი დამწერლობა

საინტერესოა, რომ შუმერებს წერასთან დაკავშირებით შემდეგი ტერმინები ჰქონდათ:

SAR/ŠAR – „წერა“;

DUB.ŠAR – „ფირფიტა“;

ŠID – „კითხვა, დათვლა, ხმამაღლა წარმოთქმა“;

DIŠ SANTAG – „სამკუთხედი“. ცნობილია ასევე გადამწერთა სკოლის ე.წ. „გამოცდის ტექსტი“, სადაც მოსწავლის შეგონებას ვხვდებით:

SAG.NAM.DUB.ŠAR SANTAG – „წერის ხელოვნების დასაწყისი არის სოლი“.



მთელ ძველ ახლო აღმოსავლეთში გავრცელდა (ელამური, აქადური, ხეთური, ხურიტული, უგარიტული, ურარტული, ძვ. სპარსული) და საბოლოოდ გადაიქცა ანბანურ დამწერლობად, რომლის პირველი მაგალითია ფინიკიური ანბანი.

დამთხვევად არ უნდა მივიჩნიოთ, რომ სწორედ ამ ეპოქიდან მოგვეპოვება დამწერლობის ნიმუშები ბაბილონის გარეთაც: აღმოსავლეთით – ხუზესტანში (ირანი) და დასავლეთით – ეგვიპტეში. ხუზესტანის ცენტრში, სუზაში ნაპოვნი თიხის ფირფიტები ასევე დაფარულია დამწერლობის ნიშნებით. ეს არ არის გასაკვირი. ადრეულ ეპოქებში ხუზესტანსა და ბაბილონში კულტურული განვითარება თავთავისი გზით მიდიოდა, მაგრამ იმ პერიოდში, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, ეს ორი რეგიონი კულტურულად და ეკონომიკურად ერთნაირად ვითარდებოდა და ერთნაირი ეკონომიკური მდგომარეობა ერთნაირ საჭიროებებს მოითხოვდა. აქ აღმოჩენილი თიხის ფირფიტები თანადროულია ბაბილონში აღმოჩენილი პირველი თიხის ფირფიტებისა, ანუ ვერ ვხვდებით დამწერლობის ჩასახვის ნიშნებს და ამიტომ არ გამოირიცხავენ, რომ ხუზესტანში დამწერლობის იდეა სწორედ ბაბილონიდან შესულიყო.

რაც შეეხება ეგვიპტეს, დამწერლობა აქაც და ბაბილონშიც ერთსა და იმავე ეპოქაში ჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ ლურსმული/სოლისებრი დამწერლობა და ეგვიპტური იეროგლიფები მეტად განსხვავებულად გამოიყურებიან, მაინც საუბარია მათ კავშირზე. არქეოლოგიური წყაროებით დასტურდება, რომ ეს ორი რეგიონი ერთმანეთს უცვლიდა ძვირფას ქვებს, ლითონსა და სხვა ძვირფასეულობას. მაგ., ცნობილია, რომ ლაჟვარდის ქვა, რომელსაც ეგვიპტეში უხვად იყენებდნენ, სწორედ ავღანეთიდან შეიტანეს.

ფინიკიური დამწერლობა – ჩვენთვის ცნობილი უძველესი ანბანური დამწერლობა, რომელიც შედგება 22 თანხმოვნისგან.




ლურსმული დამწერლობის ნიმუში – „შუმერის მეფეთა სია“



და მაინც, სად შეიქმნა თავდაპირველად დამწერლობა? მეცნიერები უპირატესობას მაინც შუამდინარეთს ანიჭებენ. საქმე ისაა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იქ დასტურდება დამწერლობის განვითარების ყველა ეტაპი, დან-ყებული ნახატებით, დამთავრებული მარცვლოვანი ლურსმული დამწერლობით. ეგვიპტეში ჩასახულ დამწერლობას კი წინაპირობა არ აქვს, იგი მესოპოტამიური დამწერლობის განვითარების მხოლოდ მეორე ფაზიდან დასტურდება.

რაც შეეხება სხვა ადრინდელ დამწერლობებს, როგორიცაა ინდური და ჩინური დამწერლობები, ისინი მოგვიანო პერიოდში ყალიბდება ისე, რომ მათ ძველადმოსავლურ დამწერლობასთან ვერ ვაკავშირებთ. ძველი მესოპოტამიური დამწერლობისგან მოგვიანებით წარმოიშვა ფინიკიური – პირველი ანბანური დამწერლობა, რომელსაც ბევრ სხვა ანბანთან ერთად ქართული ანბანის წარმოშობაც უკავშირდება.

წერის სისტემის გამარტივება გამოიწვია იმ საჭიროებამ, რომ ადამიანს საწერი და დასამახსოვრებელი ძალიან დიდი მასალა გაუჩნდა. დამწერლობის წარმოშობა კი უკავშირდება იმ დროს, როდესაც ადამიანმა შეძლო მეტყველების მანძილსა და დროში გაცოცხლება.







## უკან ნახატებისკენ? თანამედროვე პიქტოგრაფიები

დღეს ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც შეხება არ ჰქონდეს თანამედროვე „პიქტოგრაფებთან“. ესენია: საგზაო ნიშნები, აეროპორტში გამოსახული სიმბოლოები და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით აქტიურად ვიყენებთ კომპიუტერულ სიმბოლოებს. ტექნიკის განვითარებასთან ერთად დამწერლობის განვითარებაც სხვადასხვა ეტაპს გადის – თუ ერთ დროს წერილს ვწერდით, დღევანდელ დღეს „ჩათში“ დროის სიმნიშვნის გამო გამოვსახავთ ამა თუ იმ სიმბოლოს, რომელიც ემოციასა თუ გუნება-განწყობილებას, ასევე ჩვენ მიერ დაგეგმილ ქმედებებსაც კი გამოხატავს. ამისათვის შედგენილია სიმბოლოთა ლექსიკონები, რომლებიც ზუსტად იმავე მნიშვნელობას ატარებენ, რასაც ერთ დროს შექმნილი შუემრული ნიშნები. ცხადია, დღეს ბევრად მოსახერხებელია ვიდეოგამოსახულების მეშვეობით ურთიერთობა, ვიდრე საფოსტო წერილის გაგზავნა. და თუკი ქრისტეს შობამდე III ათასწლეულის დასაწყისში ადამიანმა მანძილსა და დროში მეტყველების გადაცემისთვის დამწერლობა შექმნა, ქრისტეს შობიდან III ათასწლეულის დასაწყისში, ტექნიკური პროგრესის წყალობით, იგი მანძილზე კომუნიკაციას დამწერლობის გარეშეც ახერხებს.





# ნიკო ფიროსმანაშვილი

გიორგი სოჭტარია

საოცარია, როგორ ახერხებს საქართველო მცირედი ამოსუნთქვის პირობებშიც კი ალლო აულოს მოწინავე ქვეყნებში მიმდინარე კრეატიულ პროცესებს. ამ თვალსაზრისით უაღრესად ნაყოფიერ, საინტერესო და გარკვეულწილად გასაოცარ პროცესებს ვხედავთ ჩვენთან XIX ს-ის II ნახევარსა და XX ს-ის პირველ ათწლეულებში. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული ავბედითობით საქართველო კარგავს თავის სახელმწიფოებრიობას და აღმოჩნდება ნახევრად აზიურ-მონღოლური იმპერიის განაპირა პროვინცია, ვხედავთ უაღრესად პროგრესული მსოფლხედვის მქონე საზოგადო მოღვაწეთა მთელ პლეადას, ძალზე საინტერესო მოვლენებს ლიტერატურისა თუ სახვითი ხელოვნების სფეროში. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ თუნდაც მხოლოდ ვაჟა-ფშაველა და ნიკო ფიროსმანაშვილი.

ერთი შეხედვით, ფიროსმანაშვილი თითქოს განცალკევებით მდგომი ფიგურაა. გარკვეულად ეს ასეც არის მისი შემოქმედებითი პოტენციის, მხატვრული მსოფლხედვის, უნიკალური მხატვრული სამყაროს შექმნის თვალსაზრისით. ამასთან, თუ დავუკვირდებით, საკმაოდ ნათლად ჩანს მისი წარმოჩენის სრული ლოგიკურობა.

ნიკო ფიროსმანაშვილი დაიბადა ქიზიყში (უბატონო მხარეში, როგორც ვაჟა), დიდი ალბათობით, 1862 წელს (ზოგიერთი მკვლევრის აზრით – 1864-ში). ადრე დაობლდა. ახალგაზრდო-



სახლი მირზაანში, სადაც დაიბადა ნიკო ფიროსმანაშვილი



ბიდან იმყოფება თბილისში, ვინმე ქალანთაროვების ოჯახში. მას ახასიათებდნენ, როგორც უაღრესად სუფთა, უანგარო და ცოტათი უცნაურ პიროვნებას. მისი უცნაურობა ლოგიკურად გამოიყურება რიგითი მოქალაქეების თვალთახედვიდან გამომდინარე. მისი პოტენციის პიროვნება უბრალოდ ვერ ჩაჯდებოდა რიგით მოქალაქეთა ლოგიკაში, თუმცა ამასთან იგი თავისიანი იყო, უყვარდათ კიდეც.

ხატვისადმი ინტერესი ახალგაზრდობაშივე გამოუვლენია. ყოველ შემთხვევაში, ვიცით, რომ მეორე თვითნასწავლ მხატვართან, გიგო ზაზიაშვილთან ერთად, XIX ს-ის 80-იან წლებში უცდია აბრების სახელოსნოს გახსნა. კომერციულად მათი წამოწყება ვერ გამართლდა, მაგრამ ჩვენთვის ეს ცნობა ძალზე საინტერესოა – დაახლოებით ამ დროს, XIX ს-ის მიწურულისთვის, უნდა მომხდარიყო მისი მხატვრული სამყაროს ჩამოყალიბება, რასაც შესაძლოა გარკვეულად ხელი შეუწყო რკინიგზაზე გამყოლად მუშაობამ – ამან საშუალება მისცა გაემდიდრებინა თავისი ვიზუალური შთაბეჭდილებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეზე. შემდეგ ერთხანს რძის ნაწარმით ვაჭრობს კომპანიონთან ერთად, ხატავს აბრას დუქნისთვის, მაგრამ, ცხადია, რომ კომერციულ საქმიანობას იგი დიდხანს ვერ გაჰყვებოდა. იგი თავს ანებებს ამ საქმიანობას და მთლიანად კავდება მხატვრობით. ხდება მოხეტიალე მხატვარი, რომელიც გადადიოდა დუქნიდან დუქანში და მათ შესამკობლად სურათებს ასრულებდა. გადმოცემით, კედლებზე და შუშაზეც კი ხატავდა. ნიკოს შემოქმედების ეს მხარე (კედელი, შუშა), სამწუხაროდ, არ შემოგვრჩა, დაიკარგა, მაგრამ ისიც, რაც შემოგვრჩა, მართლაც საოცარია თავისი გამორჩეულობით და, რაც მთავარია, უაღრესად მაღალი მხატვრული დონით, გააზრებითა თუ მხატვრული „ლოგიკის“ სიღრმით.







ქალი კათხა ლუდით

იმისთვის, რომ ნათლად დავინახოთ ნიკო ფიროს-მანაშვილის ლოგიკურობაცა და ალოგიკურობაც საჭიროა: 1. მკაფიოდ დავინახოთ იმ ეპოქის თავისებურება, რომელშიც იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და 2. შეძლებისდაგვარად გავანალიზოთ მისი კონკრეტული ნამუშევრები – მხოლოდ რამდენიმე ტიპური ნიმუშის მხატვრული წყობის განხილვის საფუძველზე.

ყოველგვარი მოვლენა, ფენომენი, მათ შორის, შემოქმედება, მხატვრობა ხდება დროსა და სივრცეში. ამ მხრივ ძალზე საინტერესო, კოლორიტულ სურათს ვხედავთ – ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრობის ჩამოყალიბება ხდება ორმაგი გარდამავალი ომის პირობებში. ისტორიულად საქართველო, მისი კულტურა, როგორც სულიერი, ისე სოციალური თუ ეკონომიკური, მისი მსოფლხედვა, მისი ფასეულობათა სისტემა, შემეცნებითი, ეთიკური თუ ესთეტიკური, ყალიბდება ორი დიდი მეგაკულტურული სამყაროს მიჯნაზე – ერთი მხრივ, ძველი აღმოსავლეთი (რომ-

ლის პირდაპირ კვალს ახლაც ვხედავთ: ერთ მაგალითად კმარა თუნდაც „იავ-ნანა“ – ია და ვარდი ტრადიციული კომპლიმენტი ქალისთვის, ნანა, იგივე იშთარი უძველესი ნაყოფიერების ქალღმერთი შუმერიდან და მთლიანად შუამდინარეთიდან და მეორე მხრივ – ანტიკური (ბერძნული, ელინისტური, რომაული). მათმა სინთეზმა (ალექსანდრე მაკედონელის შემდგომ) მოგვცა კაცობრიობის კულტურული ევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი – ელინიზმი. აღმოსავლური ელინისტური სამყარო, მთელი რეგიონები და ქვეყნები გაქრა ჯერ ისლამური და მერე სელჯუკური ექსპანსიის შედეგად, მაგრამ მისი ზოგადსაკაცობრიო მონაპოვრები დღესაც არსებობს. საკმარისია დავასახელოთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მსოფლიო რელიგია – ქრისტიანობა, ის აღმოსავლეთ თუ დასავლეთ ევროპული სამყაროები, რომელთაც ერთად საქრისტიანო ჰქვია. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საქართვე-

ორთაჭალის ტურფები







ნათურმოვანი დოქტორი და ბოთლები

ლოში დომინანტურ რელიგიად დამკვიდრდა (განსხვავებით მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისგან, მაგ., სომხეთისგან) ქრისტიანობის დიოფიზიტური ვარიანტი, რომელიც მაცხოვარში ადამიანურ საწყისს არსობრივად მიიჩნევს. ეს, ცხადია, აისახება ამ სამყაროში დამკვიდრებულ ზოგად ფასეულობათა სისტემაში და, კერძოდ, იმ ფაქტში, რომ სახვით ხელოვნებას, მათ შორის, კედლის მონუმენტურ მხატვრობას, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ერის სულიერ ცხოვრებაში, ისევე, როგორც ქვასა თუ მეტალში წარმოდგენილ რელიგიურ სკულპტურას. ეს უზარმაზარი კულტურული ტრადიცია, ცხადია, ძალიან თავისებურ ტრანსფორმირებას განიცდის XIX ს-დან. საქართველო კარგავს სახელმწიფოებრიობას (რაც დღესაც მტკივნეულად აისახება ერის სოციალურ-პოლიტიკურ კულტურაში), მაგრამ არ წყვეტს სულიერი კულტურის სფეროში მოღვაწეობას, რომლის პარადიგმაც ზოგადად განისაზღვრება შემოსული, ჩვენთვის უცხო ახალი ევროპული მხატვრული მსოფლხედვისა და უფრო ტრადიციული ტენდენციების სინთეზით, შეჯახებითა თუ შეხამებით. XIX ს-ში კიდევ იხატება ეკლესიები (ცხადია, რუსული საეკლესიო მხატვრობის ძლიერი გავლენით) – ბოდბე – 1827 წ., მუხრანი – 60-იან წლებში.







მუხრანბატონების ოჯახური პორტრეტი. უცნობი ავტორი. ინახება საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმში

ჩვენთვის საინტერესოა ის იშვიათი, მაგრამ მაინც არსებული ნიმუშები, სადაც ტრადიციული ნიადაგის სახით კარგად ჩანს მონუმენტური კედლის მხატვრობის კვალი. ამ მხრივ ისტორიული თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია „მუხრანბატონების ოჯახური პორტრეტი“, სადაც მკაფიოდ მოჩანს გვიანი შუასაუკუნეების კედლის მხატვრობისათვის დამახასიათებელი ქტიტორული (დამკვეთების) ჯგუფური პორტრეტების კვალი. აღ-

გიორგობა ბოლნისში





სანიშნავია ალბათ ისიც, რომ გარკვეულ ნიშას იკავებს აბრა – რეკლამა, ანუ მხატვრობის სწორედ ის ძალზე თავისებური მიმართულება, რომელშიც სცადა თავი ნიკო ფიროსმანაშვილმა. ჩვენ ვიცით, რომ ვინმე ქართველ მხატვარს XIX ს-ის 60-იან წლებში მოუხატავს ტაძარი მუხრანში და ამავე დროს მუხრანბატონების დაკვეთით დაუხატავს ზეთის საღებავებით ჯგუფური პორტრეტი – მუხრანბატონების ოჯახური პორტრეტი. ამ პორტრეტში ვხედავთ რიგს ნიშნებისა, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრებში, ეს არის: ე. წ. ნეგატიური მოდელირება, ანუ ფორმის „ამოყვანა“, მოდელირება „მუქზე ღიით“, გამოსახულების წარმოდგენა რეპრეზენტაციულ კომპოზიციაში – თავით ფეხებამდე, სტატუარული დაყენებით და სახის ნაკეთების უფრო ტიპოლოგიური, ვიდრე კონკრეტულ-ინდივიდუალური წარმოდგენით – ყველა ეს ნიშანი მნიშვნელოვნად წარმოჩნდება ნიკო ფიროსმანის მხატვრულ მეთოდში. მის ე. წ. პორტრეტები (მეთევზეების მთელი სერია, მეეზოვე, მზარეული შალვა და სხვა).

ზოგადად, ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრულ მეთოდში არსებითი არის ტრადიციული და ახალი ევროპული ზეთის დაზგური მხატვრობის სტრუქტურული ნიშნების სინთეზი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ დროს ენცობოდა ევროპელ მხატვართა გამოფენები. პირველი ქართველი მხატვრის გიგო გაბაშვილის გამოფენა უკვე 1891 წელს გაიმართა. საინტერესოა ერთი ფაქტიც – საეკლესიო-სახალხო დღესასწაულების წარმოჩენას ვხედავთ გიგო გაბაშვილთანაც – „ალავერდობა“, მოსე თოიძესთანაც – „მცხეთობა“ და ნ. ფიროსმანაშვილთანაც – რამდენიმე პანო: „ალაზნის ეპოსი“, „დღეობა ბოლნის-ხაჩინში“, „გიორგობა“ და სხვა. განსხვავება კი ისაა, რომ თავისი უნიკალური მხატვრული მეთოდით, მხატვრობის ონტოლოგიური გაგებით (მისი არსის წვდომით), ნიკო ფიროსმანაშვილი განუზომლად მაღლა დგას როგორც პროფესიული, ისე ხალხური მხატვრობის სხვა გამოვლინებებზე, იქნება ეს ე. წ. „თფილისური სკოლის“ ნიმუშები – აშკარა დეკორატიულ-მინიატურული გადახრით, ე. წ. „ეთნოგრაფიული ტიპაჟი“ – არცთუ ისე მაღალი ესთეტიკური ღირსებებით თუ საფლავის ქვების რელიეფები – მომხიბვლელი თავისი „უშუალობითა და თან თავისებური მონუმენტურობით.“







სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა (მოეზრებინა) ნიკო ფიროსმანაშვილს, შავი მუშამბის (დერმატინის?) შესაძლებლობების სასურათო ნცობაში ჩართვის გამო იგი უკვე დიდი მხატვრული ინტუიციის მქონე პიროვნებად უნდა ჩაგვეთვალა. კერძოდ, შავი მუშამბა პოტენციურად მატარებელია ე. წ. ბინარული ოპიზიციის ორმაგი კოდისა, ანუ ორმაგი აღნიშვნისა. ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია შეხება ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრობასთან, არ შეიძლება არ დამახსოვრებოდა მისი შავი (იშვიათად – მუქი მონაცრისფრო – თუნუქზე) ფონები. მაგალითად, იგივე „წითელპერანგა მეთევზე“, „ქალი კათხა ლუდით“, „დიდი ნატურმორტი დოქითა და ლოქოთი“, „დოქითა და ბოთლებით“, რომელიც თუნუქზე, მუქ მონაცრისფრო-მოშავო ფონზეა შესრულებული, და მრავალი სხვა ნიმუში (ხშირად მუყაოსაც კი შავად ღებავდა).

როგორ უნდა აღვიქვათ ნიკო ფიროსმანაშვილის სასურათო ნცობის ეს თავისებურება? როგორ უნდა შეფასდეს იგი? ერთი შეხედვით, მარტივია, პრიმიტიული, მაგრამ თუ დაფუკვირდებით, მხატვარი ფანტასტიკურად იყენებს მატერიალურ საფუძველს, მასალას – შავი მუშამბა ყოველგვარი დამუშავების გარეშე შემოდის სურათის სტრუქტურაში, როგორც სახვითი ნიშანი – სივრცე, ჩრდილი, მუქი ლაქა საგანზე და როგორც სასურათო სიბრტყეც. ეს კი უკვე იძლევა გარდასახვის განცდას – სად დგას ახალგაზრდა შავგვრემანი მეთევზე? თუ ღამეა, რა ანათებს მას? თუ დღეა, რატომ დგას იგი უკუნეთ სიბნელეში?



ამრიგად, უბრალო გადაწყვეტა იძლევა ჰარმონიულ დაპირისპირებას – ჰარმონია სხვა არაფერია, თუ არა დაპირისპირებულ ნაწილთა შორის წინააღმდეგობის მოხსნა მთელ-ში. გარდა ამისა, ფიროსმანი მუშამბას იყენებს საგნობრივი ფორმის მოდელირებისთვის, ანუ ფორმის გამოსაძერწად. მაგალითად, პერანგზე, სადღაც წითელი საღებავის ფენა ოდნავ უფრო სქელია, სადღაც – თხელი, ვიღებთ მსუბუქ, მაგრამ ზუსტ გრადაციას, რაც გვიქმნის მსუბუქი პერანგის ფაქტურის, მისი ზედაპირის განცდას. გარდა ამისა, შავი ფერი კარგად „იჭერს“ ნებისმიერი ინტენსივობის ქრომატულ ფერს, ანუ ძლიერ წითელ ლაქას თავისი ყლერადობით. ასეთი მოდელირება, სხვათა შორის, დიდ ოსტატობას მოითხოვს და სულაც არ არის მარტივი, როგორც ერთი შეხედვით მოჩანს. ამიტომ არის ნიკო ფიროსმანაშვილის კოპირება ძალიან ძნელი, შეუძლებელი თუ არა. ასეთი ოსტატური ლაკონური ძერწვა საბოლოო ჯამში გვაძლევს მხატვრული სახის მდიდარ დახასიათებას. მაყურებლის წინაშე დგას, ერთი მხრივ, ძალიან ზუსტად მოცემულ ხასიათში მეთევზე, მეეზოვე, ორთაჭალის ტურფა, ძიძა, ან დოში, ლოქო, ბოთლი, ტიკი და ა. შ., ანუ უბრალო, ადამიანური და სახასიათო პირი თუ საგანი და ამასთან ამ ლაკონიზმის შედეგად ვიღებთ დიდ, განზოგადებულ ფორმებს, განზოგადება კი მნიშვნელობას სძენს მხატვრულ სახეებს. საბოლოო ჯამში უბრალო ადამიანი, საგანი, გარემო-სივრცე, ინარჩუნებს რა თავის დამახასიათებლობას, ადამიანურობას თუ უბრალოებას, ამავე დროს წარმოგვიდგება მონუმენტურად, ანუ მნიშვნელოვნად, წარმოსადგეად. ვიღებთ ძალზე მეტყველ ჰარმონიულ მთლიანობას, სადაც აღნიშვნათა დაპირისპირება ძალზე მძაფრია, მეტყველი, ეფექტური.

ფიროსმანის მიდგომა ამდენად გამომდინარეობს თვით სურათის ბუნებიდან: ნებისმიერი სურათი არის სურათგარეშე რეალობიდან შერჩეული ასახვის საგნების ინტეგრი-



მეეზოვე



წითელპერანგა მეთევზე



რება მხატვრულ ენაში, ენას კი ქმნის მატერიალური საფუძველი და მისი ორგანიზაციის წესები. ანუ ენის საფუძველია სასურათო ორგანზომილებიანი სიბრტყე და ეს მოითხოვს გამოვლენა-გამოყენებას, მაგრამ ამ ორგანზომილებიან მასალაში უნდა აღინიშნოს სამგანზომილებიანი ასახვის საგნის მოცულობა, წონა, ფაქტურა, აგებულება, ინდივიდუალურობა და ა. შ. თან აღნიშვნა უნდა მოხდეს გარკვეულ ფორმატში, ანუ სასურათო ზედაპირს აქვს თავისი ცენტრი, ზედა და ქვედა, მარცხენა და მარჯვენა კიდეები, ათენსა და რადიკალური დემოკრატიის რამდენიმე სხვა ქალაქ-სახელმწიფოში

ცხადია, ეს დიდ ოსტატობას მოითხოვს, მით უმეტეს, როდესაც ასახვის საგანთა დიპაზონი დიდია, ანუ როდესაც სახეზეა ჟანრული მრავალფეროვნება. ნიკო ფიროსმანაშვილი ამ მხრივაც გამორჩეულია – იგი ხატავს ნატურმორტსაც და პორტრეტისა, ცხოვრებისეულ სცენას – მაგალითად, ქეიფის სცენებს, სოფლის ცხოვრების ამსახველ სცენებს, ცხოველებს, ისტორიულ პიროვნებებს და ყოველთვის მისი სახეები არიან დამაჯერებლად სახასიათო და თან გარდასახულნი, წარმოსადგენი, დიდებულნი, ე. ი. ფიროსმანი მშვენივრად გრძნობს იმასაც, რასაც ხატავს და იმასაც, რა ენაშიც მუშაობს, ანუ ფორმატს, ფუნჯს, მონასმს, ტონთა თუ ფერთა კონტრასტს თუ ერთიანობას – ე. ი. **სურათი თავისი არსით არის განსხვავებულ ნიშანთა ერთიანობის საფუძველზე მიღებული ერთი დიდი ნიშანი.** იგი აერთიანებს ასახვის საგნის, მასალის, მაორგანიზაციებელი პრინციპების (ტაქტი, რიტმი, სიმეტრიის და წონასწორობის მრავალი სახე, ჰარმონია) ნიშნებს – ერთადერთ და განუმეორებელ ნიშნებს და ამაში აღნიშნავს თავის თავსაც. მაგალითად,



აქტრისა მარგარიტა




კაცი კასრით



ჩვენ წინაშეა მოქეიფე კინტოების სცენაც, საოცრად ორგანიზებული სასურათო ზედაპირიც და თვით მხატვარიც, ამ შემთხვევაში – ფიროსმანაშვილი – მისი განზოგადება, მისი გამა, მისი მონასმი, მისი კომპოზიცია და ა. შ.

როგორც ყველა დიდი შემოქმედისა, ფიროსმანის პროდუქციაც, მისი მემკვიდრეობაც არაერთგვაროვანია – გვაქვს სრულყოფილი, გენიალური ქმნილებანიც, საშუალო (მისთვის) დონისაც და გარკვეული რაოდენობა ნაკლებ წარმატებული (ასევე მისთვის) სურათებიც. ასე, მაგალითად, პიროვნული გამოსახულებებიდან გამოირჩევა: „ნითელპერანგა მეთევზე“, „მეეზოვე“, „აქტრისა მარგარიტა“, „ქალი კათხა ლუდით“, „ქართველი ქალი“, ნატურმორტებში – „დიდი ნატურმორტი“ და „ნატურმორტი დოქითა და ბოთლებით“. ცხოვრებისეული სცენები სურათებიდან – „ქეიფი მეარღნე დათიკო ზემელთან“, „მაღაკნების ქეიფი“, „ხუთი თავადის ქეიფი“,



ქირაფი



ხუთი თავადის ქეიფი, 1906





გლეხის ქალი შვილებით წყაროზე მიდის

„გლეხის ქალი შვილებით წყაროზე მიდის“, ცალკე უნდა გამოირჩეს მრავალსცენიანი კომპოზიციები, როდესაც ერთ დიდ სურათში გაერთიანებულია რამდენიმე სცენა: „ღამის ქეიფი“, „ვირის ხილი“ და განსაკუთრებით მისი პანოები, სადაც, როგორც წესი, დიდ ფორმატში მოცემულია თავისებური სამყაროს მოდელი, მაგალითად, კახეთის ეპოსი, „გიორგობა“ და სხვა. ერთ სურათში თავს იყრიან სიკეთეც და ბოროტებაც, მაგალითად, ძარცვა და ღოცვა, ყაჩაღები და თავადები, კინტოები, ყარაჩოხელები და ა. შ.

ანიმალისტური სურათებიდან მე ცალკე ჟანრად გამოვყოფდი ნიმუშებს, სადაც ცხოველი, მთელი თავისი დამახასიათებლობით, წარმოდგენილია ადამიანთან, პატრონთან ერთად – მაგალითად, „სოფლის ექიმი“, სადაც ერთნაირად სიმპათიური და ადამიანური ექიმიცა და სახედარიც.

გამომდინარე სასურათო ჰარმონიის სპეციფიკიდან, ნიკო ფიროსმანს უფრო ეხერხება ასახვის იმ საგნის გადმოცემა, რომელსაც იცნობს – ადამიანის, საგნის,



ქეიფი დათიკო ზემელთან



ბუნების, ცხოველის. ამ თვალსაზრისით მისი კონკრეტული ტიპაჟი – უბრალო კინტოები, ყარაჩოხელები, „ორთაჭალის ტურფები“ – უფრო წარმატებულად არის შესრულებული, ვიდრე ისტორიული პერსონაჟები თუ წმინდანები, თუმცა მის შედარებით „სუსტ“ ნამუშევრებშიც არის დიდი ხიბლი.

ხშირად მომისმენია კითხვა: კი, ფიროსმანი უშუალოა, გულსაც აგიჩუყებს, მაგრამ იცის კი მან „სწორი“ ხატვა, უკეთესი იქნებოდა თუ არა ფიროსმანაშვილს აკადემიაში რომ ესწავლა?

ყველა ამ კითხვაზე შემოძლია კატეგორიულად განვაცხადო: ნიკო ფიროსმანმა იცის ყველაფერი ის, რაც სჭირდება, რომ მიაღწიოს უმაღლესი დონის მხატვრულ მთლიანობას. მრავალი შემთხვევის მოყვანა შეგვიძლია, როდესაც ფიროსმანაშვილი შეგნებით მიდის პირობით გადანწყვეტაზე. მაგალითად, ქეიფში დათიკო ზემელთან ორი ხელის მტევანი შავად არის წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, ფიროსმანმა იცის, რომ სხეული შავი არაა, მაგრამ საჭირო იყო ამ ორი აქცენტის „ჩაქრობა“ და ისიც ამისთვის შავ მუშამბას ტოვებს; ანდა „ვირის ხილში“ ვხედავთ აწეულ ხელებს, რომელთაც ხელის მტევნები არ აქვთ – აქაც, ცხადია, შეგნებულ ლაკონიზმთან გვაქვს საქმე. მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რაც მიგვითითებს ერთ რამეზე – ჩვენ გვყავს დიდი მხატვარი, რომელსაც, როგორც ყველა დიდ მხატვარს, ასახვის საგნებში აქვს თავისი დიაპაზონი (ე. ი. არ ხატავს ყველას და ყველაფერს) და აქვს თავისი მხატვრული მეთოდი, ანუ ხერხების ის ერთობლიობა, რომელიც აუცილებლობითი ხარისხით გულისხმობს ერთმანეთს.



სოფლის ექიმი







## თბილისელი გულშემატკივრის ჩანახატები

### ალექსანდრა რონდელი

საქართველო ფეხბურთის გარეშე ვერ წარმოგვედგინა, თუმცა დღეს ეს სამწუხარო სინამდვილეა, რომელიც, როგორც ჩანს, დიდხანს გაგრძელდება. 40-50-60-70- და 80-იან წლებში ფეხბურთს ჩვენს ცხოვრებაში ძალიან დიდი ადგილი ეკავა. როდესაც ვიგონებ გარდასულ წლებს, სინანულის გრძნობა მიპყრობს, რადგან დღევანდელი ახალგაზრდობა ვერ წარმოიდგენს იმ ვნებათაღელვას, რომელიც ქართულ ფეხბურთს ახლდა.



მე ცუდად მახსოვს 40-იანი წლების მიწურულის ფეხბურთი, რადგან ძალიან პატარა ვიყავი და მაშინდელი ამბები უმთავრესად უფროსებისგან ვიცი, განსაკუთრებით უფროსი მეგობრების, უმთავრესად კი, თბილისის „დინამოსა“ და ქართული ფეხბურთის დიდი გულშემატკივრების – ვლადიმერ (ვოვა) ივანოვისა და გოგი დემეტრძის მონათხრობიდან. არ დამავინწყდება, როგორ იგონებდა უნივერსიტეტის ბაღში ან „კიროვის ბაღში“ ეს ორი ბუმბერაზი გულშემატკივარი



ადრინდელ თამაშებს, ერთმანეთს გამოცდას როგორ უწყობდა და ყოვლად წარმოუდგენელ კითხვებს უსვამდა. ეს პაექრობა ჩემში და ჩემს მეგობრებში დიდ გაკვირვებასა და აღტაცებას იწვევდა. ერთხელ, მაგალითად, ვოვა ივანოვი ეკითხება გოგი დემეტრაძეს: „აბა, მითხარი, რა თამაში იყო 1947 წელს, „დინამოს“ სამხრეთ ტრიბუნასთან სტუმრების კარი იყო, მარცხენა ძელთან „პროფესორა“ (ასე ეძახდნენ იმ დროის ცნობილ სპორტულ ფოტოგრაფს!) იდგა და იმ მარცხენა ზედა კუთხეში გოლი ვინ გაიტანა?“. ყველამ გოგის შევხედეთ და ვიფიქრეთ, ახლა კი მოეღებოდა ბოლო გოგის ტრაბახს. დემეტრაძემ ვოვას დამცინავად შეხედა და უთხრა ვინ თამაშობდა, რომელ ტაიმში მოხდა ამ გოლის გატანა, ვინ გაიტანა, ვის კარში და როგორ ახტა „პროფესორა“! ამგვარი პაექრობის მომსწრე ხშირად ვყოფილვარ და არ მახსოვს, რომ ამ გოლიათთაგან (ორივე დაბალი იყო!) რომელიმეს დასმულ კითხვაზე პასუხი ვერ გაეცა. ზოგჯერ მცირე დეტალები არ ახსოვდათ, მაგრამ პასუხი ყოველთვის იყო. ჩვენ მათ უნიკალურ პიროვნებებად მივიჩნევდით და მათ ავტორიტეტს ვერაფერი შეარყევდა. ვოვაც და გოგიც პროფესიით ისტორიკოსები იყვნენ. ფეხბურთის უზომო სიყვარულთან ერთად მათ სპორტულ მეხსიერებას პროფესიაც ამაგრებდა. რადგანაც ამ ორ საოცრად კოლორიტულ ადამიანზე ჩამოვარდა საუბარი, ყველა, ვისაც ისინი ახსოვს, დამეთანხმებიან, რომ ამ საოცარ ცოდნასთან ერთად ორივე ძალიან კარგი და სასიამოვნო ადამიანი იყო.



40-50-იანი წლების პირველ ნახევარში ფეხბურთის მოედნებზე ბრწყინავდნენ ბორის პაიჭაძე, გოგი ანთაძე, ვიქტორ პანიუკოვი, სპარტაკ და გაიოზ ჯეჯელავები, მიხეილ პი-



თბილისის დინამო 1951 წელს, ა. ლოღობერიძე, ბ. პაიჭაძე, ვლ. მარლანია, დ. რუსაძე, ვ. პანიუკოვი, ა. ჭკუასელი, გ. ანთაძე, ვ. ელოშვილი, ა. კილაძე





შოთა იამანიძე  
(1937-1971)

რაევი. რომელი ერთი გავიხსენო! იმდენი კარგი და ბრწყინვალე ფეხბურთელი გვყავდა, რომ ყველას ჩამოთვლა გამიჭირდება.

ჩვენს ფეხბურთში ერთი თაობა მეორეს ცვლიდა და ბრწყინავდნენ ვოვა მარლანია, ანდო ზაზროვეი, ნიაზბეი ძიაფშიპა, შოთა იამანიძე, ავთანდილ ლოლობერიძე (ზედმეტსახელად „ბასა“)...

თბილისის „დინამოს“ კაპიტნის, შოთა იამანიძის (იგი ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკატასტროფაში!) მამა, დავითი, ბუღალტრად მუშაობდა თბილისის კინოსტუდიაში. მას ხშირად უწევდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩასვლა და ფილმების გადამღები ჯგუფებისთვის ხელფასის ჩატანა. მაშინ ხალხი ხელმოკლედ ცხოვრობდა, ხელფასიდან ხელფასამდე. ამიტომ დათიკო (ასე უწოდებდა ყველა) იამანიძის ჩამოსვლას ყოველთვის მოუთმენლად ელოდებოდნენ. თუ „დინამო“ თბილისში თამაშობდა, დათიკო, რა თქმა უნდა, არსად მიდიოდა და სტადიონზე იყო. ამის გამო ხელფასი იგვიანებდა, ზოგი ბუზღუნებდა, მაგრამ დათიკო რომ ჩამოვიდოდა, ხელფასის დარიგებამდე პრეს-კონფერენციას აწყობდა ბოლო თამაშის შესახებ. რა თქმა უნდა, დათიკო თავისი დაგვიანების საკომპენსაციოდ ბევრ „კულუარულ“ და „ექსკლუზიურ“ ამბავსაც ყვებოდა და ხელფასის დაგვიანებას ყველას ავინწყებოდა.

1964 წელი დიდი მოვლენა იყო ქართული ფეხბურთის ისტორიაში. თბილისის „დინამო“ პირველად გახდა სსრკ-ის ჩემპიონი. ჩვენი გუნდი 30-იან, 40-იან და 50-იან წლებში რამდენჯერმე იყო ახლოს ჩემპიონის ტიტულთან, მაგრამ მაშინ იყო დაუწერელი კანონი – საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მოსკოვის გუნდი უნდა





გამხდარიყო. რა თქმა უნდა, ეს ხერხდებოდა მსაჯების თაღლითობის გამოყენებით. 1964 წელს ჩემპიონობისთვის დამატებით მატჩში თბილისის „დინამომ“ ტაშკენტში ანგარიშით 4:1 მოუგო მოსკოვის „ტორპედოს“. მატჩის მსაჯი იყო არა რუსი, არამედ ლატვიელი არ-



გიორგი სიჭინავა, სლავა მესხი, პელე, ანზორ კავაზაშვილი, მიხეილ მესხი — 1965 წლის ამხანაგური შეხვედრა ბრაზილია-სსრკ.

ბიტრი რუბენისი, რომელსაც შემდგომში ბევრი პრობლემა შეექმნა. თბილისის „დინამოში“ მაშინ ბრწყინავდნენ მეკარე სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ჯემალ ზეინკლიშვილი, ილია დათუნაშვილი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, სიომა ბარქაია, ზაურ კალოევი. შემდეგ გამოჩნდნენ განუმეორებელი მცველები – მურთაზ ხურცილავა და შოთა ხინჩაგაშვილი.

მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი მსოფლიო კლასის გარემარბები იყვნენ. მათ მსოფლიოს ნებისმიერი გუნდი ინატრებდა. ჩვენს მაყურებელს ძალიან მოსწონდა მიხეილ მესხის თამაში. „მესხის ფინტი“ ისტორიაში შევიდა. „დინამო“ თბილისში „ქარიშხალას“ სტადიონზე (მაშინ „დინამოს“ სტადიონზე რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა) ბრაზილიურ კლუბს „ბაიას“ ხვდებოდა და მესხმა ძალიან დაჯაბნა მის წინააღმდეგ მოთამაშე მცველი დოს სანტოსი. მესხმა მას რამდენჯერმე ოსტატურად აუარა გვერდი თავისი საფირმო ფინტის გამოყენებით და ბრაზილიელი შავკანიანი გოლიათი მომცრო მესხს მოეხვია და აღტაცებულმა ჰაერში აიტაცა. ამგვარი რამ არასოდეს მენახა. როცა მესხი თამაშობდა, მაყურებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ იმ ტრიბუნაზე გადადიოდა, რომლის გასწვრივაც მესხი იყო. სლავა მეტრეველი უფრო კლასიკური სტილით გამოირჩეოდა. მისი შეჩერება ყველას უჭირდა. ცენტრალური თავდამსხმელი ზაურ კალოევი შესანიშნავად თამაშობდა თავით და ბევრ გოლს სწორედ თავით აგდებდა. ხუმრობაც კი იყო გავრცელებული – „საქართველოს ორი თავი ჰყავს – მუსხელიშვილი და კალოევი!“. ნიკო მუსხელიშვილი, მსოფლიოში განთქმული მათემატიკოსი, მაშინ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი იყო.





ეროსი მანჯგალაძე  
(1925-1988)

თბილისის „დინამოს“ ყოველი თამაში დიდი მოვლენა იყო. თუ თამაში თბილისში იყო, ციებ-ცხელება რამდენიმე დღით ადრე იწყებოდა: ბილეთი იყო საშოვნელი, გარდა ამისა, მთელი საქართველოდან ჩამოდიოდნენ გულშემატკივრები – ქუთაისიდან, სოხუმიდან, გაგრიდან, თელავიდან... ჩამოდიოდნენ ჩრდილოკავკასიელებიც. ყველანი თბილისელებს სთხოვდნენ ბილეთის შოვნას. ეს კი ნამდვილად ძნელი იყო. ზოგჯერ თამაშზე იმდენად ბევრ ხალხს უნდოდა დასწრება, რომ უამრავი მილიციელის, მათ შორის ცხენებზე ამხედრებულის მიუხედავად, ისინი სტადიონის რკინის წვეტებიან ღობეზე ძვრებოდნენ, რომ უბილეთოდ შეეღწიათ სტადიონზე. ამ წვეტებზე ბევრი შარვალი გახე-





ულა, ხოლო ღობეზე მძრომელებს უმეტესწილად იჭერდნენ და „ჩორნი ვარონით“ (მანქანა ტუსაღებისთვის) მცხეთის მიმართულებით მიჰყავდათ, სადმე შუაგზაზე ტოვებდნენ და სანამ თბილისში ფეხით დაბრუნდებოდნენ, თამაშიც დიდი ხნის დამთავრებული იყო. მეც მომიწია ერთხელ ამგვარი გასეირნება

მაშინ ტელევიზია არ იყო და ვინც სტადიონზე ვერ მოხვდებოდა ან ჩვენი გუნდი თუ სხვა ქალაქში თამაშობდა, რადიოს უნდა დასჯერებოდა. როგორ შეიძლება ფეხბურთის რადიორეპორტაჟების დავიწყება?! ქალაქში რამდენიმე ადგილას იყო ჩამოკიდებული დიდი რეპროდუქტორები და იქიდან ისმოდა ყველასათვის საყვარელი მსახიობისა და სპორტული კომენტატორის ეროსი მანჯგალაძის ხმა. უამრავი ხალხი ვიდექით ხოლმე ამ რეპროდუქტორების ქვეშ და გულის ფანცქალით ველოდით ამ ხმას. ხშირად მხოლოდ მეორე ტაიმის გადმოცემა იყო და მაშინ ვცდილობდით ეროსი მანჯგალაძის ლაპარაკის ტონით გამოგვეცნო პირველი ტაიმის შედეგი – ჩვენები იგებდნენ თუ აგებდნენ. თუ ბატონი ეროსი აყოვნებდა პირველი ნახევრის ანგარიშის თქმას, ვხვდებოდით, რომ ჩვენს „დინამოს“ საქმე კარგად არ ჰქონდა. დაუვინყარი ეს რადიორეპორტაჟები, ეროსის გამონათქვამები და ის ნიუანსები, რაზეც იგი ყურადღებას



მარცხნიდან პირველი – ქართლოს სვანიძე







ამახვილებდა და რაც მისდამი უზომო სიყვარულს აღვივებდა. ჩვენი ძველი ფეხბურთი ეროსი მანჯგალაძის ხმის გარეშე ვერ წარმომიდგენია. იგი თავის ეროვნულ საქმეს უმკაცრესი საბჭოთა ცენზურის პირობებშიც კი ძალიან კარგად უძღვებოდა. მასზე პოპულარული კაცი ჩვენში არავინ იყო!

არ შეიძლება იმის დავინყება, თუ რა ხდებოდა თბილისში ფეხბურთის დღეს, „დინამოს“ სტადიონისკენ მიმავალ ქუჩებზე. უამრავი ხალხი ერთი მიმართულებით მიედინებოდა. ტრამვაიზე იმდენი ხალხი იყო ჩამოკიდებული, რომ თვითონ ტრამვაი აღარ მოჩანდა.

როდესაც თბილისს და ქართულ ფეხბურთს იხსენებ, თვალწინ დგება გულშემატკივართა ლეგენდარული „ბელადი“ – ქართლოს სვანიძე. გადმოცემით, ბელადობას მან „ბუნებრივად“ მიაღწია – ლიდერის თვისებები გამოამჟღავნა და „ბაღელების“ (კიროვის სახელობის პარკში დამკვიდრებული გულშემატკივართა „კლუბი“) ბელადად იქცა. მას ზოგიერთი მეტოქე უზურპატორად მიიჩნევდა – ბელადობა მიითვისაო. „ბელადი“, როცა 50-იანი წლების მიწურულს „ბაღელების“ ბელადის ტახტზე ასკუბდა, იყო შესანიშნავი ქართული გარეგნობის ახალგაზრდა კაცი, ლამაზად შეჭრილი ულვაშებით, სასიამოვნო პიროვნება, კარგი იუმორით. ბოლო სიტყვა ყოველთვის მისი იყო და მის „დიქტატურას“ ყველა აღიარებდა. ეს შესანიშნავი კლუბი „მუშაობას“ საღამოს იწყებდა და „სხდომა“ ყოველთვის ღამის 2-3 საათამდე, ხშირად კი გათენებამდეც გრძელდებოდა. კიროვის პარკის მიმდებარე ნიკოლაძის ქუჩის ბინადარნი ზოგჯერ ვედარ უძლებდნენ „ბაღელების“ ღამის ხმაურს და პროტესტს გამოთქვამდნენ, მაგრამ ზოგიერთი მათგანი თავად იყო ღამის ამ თავყრილობის მონაწილე.







ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გუცავეი და დავით ყიფიანი

ლე (მაგალითად, კოტე გაბაშვილი, კოტე ებანოიძე და პეტრე მღებროვი) და პროტესტიც საკმაოდ მოკრძალებული იყო.

„ბაღელების“ „სხდომათა“ მთავარი თემა ყოველთვის თბილისის „დინამო“ იყო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, ბუნებრივია, მეტად კრიტიკულად ირჩეოდა. ფეხბურთში ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატების დროს „ბალის“ აქტუალურობა უმაღლეს მწვერვალს აღწევდა. „ბელადის“ და, მამასადამე, დანარჩენების კერპი ბრაზილიური ფეხბურთი იყო. შესაძლოა, ამ შეხედულებას ყველა არ იზიარებდა, მაგრამ „ბელადს“ და მის „პოლიტიბუროს“ ურჩობას როგორ გაუბედავდნენ?! „ბელადთან“ პაექრობას ცოტა ვინმე თუ შეძლებდა, მათ შორის გამოირჩეოდნენ გოგი დემეტრაძე და კოტე გაბაშვილი. ბალში საოცარი სცენები იმართებოდა. ხშირად ძალიან ბევრი ხალხი გროვდებოდა – ასზე მეტიც ყოფილა. ზოგი მიდიოდა ამ საოცრების სანახავად და შემდეგ თბილისში „ბალის“ შესახებ ლეგენდები ვრცელდებოდა.







„მესხის ფინტი“

რა თქმა უნდა, „ბალი“ ქართული ფეხბურთის ერთადერთი და უმაღლესი გამგებლის როლს იჩემებდა. აქ აფასებდნენ არა მხოლოდ „დინამოს“ ძირითადი და „დუბლის“ ყოველ მოთამაშეს და, განსაკუთრებით, „დინამოს“ მწვრთნელს, ვინც არ უნდა ყოფილიყო, არამედ მის მიერ დაყენებული გუნდის შემადგენლობას, ტაქტიკას და შეცვლებს. ყველაფერს კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდნენ. „ბალის“ აზრები და შეხედულებები, რა თქმა უნდა, იცოდა „დინამოსა“ და რესპუბლიკის სპორტის ხელმძღვანელობამ. აქ ყველაზე შედეგიანი მწვრთნელებიც კი ფეხბურთის არმცოდნეებად ცხადდებოდნენ და ამ შეხედულებებს ქალაქის საზოგადოებაში დიდი რეზონანსი ჰქონდა. ბელადისა და „ბაღელების“ აზრი კრიტიკას ვერ იტანდა. ურჩები ჭეშმარიტი ფეხბურთის უვიცეებად ცხადდებოდნენ. ეს ხდებოდა მაშინაც, როცა ვინმე ბრიტანული, ბრაზილიური, არგენტინული თუ ზოგჯერ ესპანური

ან იტალიური ფეხბურთის გარდა სხვა ფეხბურთს შეაქებდა. 70-იანი წლების ბრწყინვალე გერმანული ნაკრებიც კი ვერ აკმაყოფილებდა „ბალის“ ნატიფ საფეხბურთო გემოვნებას და სტანდარტებს. უცხოურ გუნდს მხოლოდ მაშინ იწონებდნენ, როცა მასთან საბჭოთა ნაკრები მარცხდებოდა!

იყო ერთი ქუთაისელი, გვარად ხაჭალია, რომელიც საქართველოს დედაქალაქს უმაღლესეში გამოცდების წინ და გამოცდების დროს აკითხავდა. მთელი დღის ჯაფის შემდეგ,







ლამისკენ, ეს გადაღლილი, მსუქანი კაცი ბაღში მიდიოდა, რათა ბოლო ინტელექტუალური მიღწევები გაეზიარებინა და შემდეგ ქუთაისის გულშემატკივრები „გაემდიდრებინა“. ერთხელ, 1981 წლის მაისი-ივნისი იქნებოდა, „ხაჟო“, როგორც მას ეძახდნენ, ქოშინით შეუერთდა ბაღის მორიგ თავყრილობას და დიდ სკამზე წამოწვა დასასვენებლად და მოსასმენად. დაღლილმა მალე ხვრინვა ამოუშვა. ამ დროს „ბელადი“ მგზნებარე სიტყვას ამბობდა ლათინოამერიკული ფეხბურთის ნიუანსების შესახებ და ხაჟოს ამგვარი საქციელი საკუთარი ავტორიტეტის შელახვად მიიჩნია. იმ დროს არგენტინასა და დიდ ბრიტანეთს შორის ომი მიმდინარეობდა ფოლკლენდის კუნძულებისთვის და ბელადმა ხაჟოს დასასჯელად ხმამაღლა დაიძახა: „ხაჟო, აბა ვინ არის მართალი, არგენტინა თუ ინგლისი?“. ხაჟომ თვალები გაახილა, წამოჯდა და დაიწყო ფიქრი, შუბლზე ოფლმაც კი დაასხა. აქეთ-იქით იყურებოდა დახმარების იმედით, მაგრამ შველა არსაიდან ჩანდა. ყველა მიხვდა, რომ „ბელადის“ ჩამჭრელ კითხვას ხაჟოსთვის უნდა შეეხსენებინა, ვინ იყო ბაღში მთავარი. ხაჟოს სახეზე ასახული ტანჯვა სიბნელეშიც (მხოლოდ ერთი ნათურა ეკიდა ხეზე) კი კარგად ჩანდა. მას ამ ომის შესახებ ეტყობა არაფერი გაეგონა, მაგრამ ქუთაისურმა ნიჭმა და ქართულმა ხალხურმა სიბრძნემ არ უმტყუნა, თითი ცისკენ გაიშვირა და მზაკვრულად იკითხა: „ესენი ვის მხარზე არიან, კრემლი?“. „არგენტინის, არგენტინის!“ – უპასუხეს. ხაჟომ გამარჯვებული სახით შეხედა „ბელადს“ და უთხრა: „ესე იგი, ინგლისი მართალია!“ „ბელადს“ ეს არ მოეწონა, არაფერი თქვა. ხაჟო კი ისევ სკამზე გაგორდა და დაიძინა. პოლიტიკურმა სიბრძნემ და სიმართლემ აქაც იჩინა თავი – მოსკოვი და კრემლი ყოველთვის მტყუანია. ეს საკითხი საბოლოოდ გადაიჭრა.

გულშემატკივართა კიდევ ერთი ცნობილი თავყრილობა „დინამოს“ სტადიონის გვერდით, მუშტაიდის ბაღში იმართებოდა. იქაც დიდი ვნებათაღელვა იყო ხოლმე, მაგრამ იქ



ბელადი არ ჰყავდათ. „ბაღელები“ მუშტაიდელებს თავის კონკურენტებად არ ცნობდნენ და მუშტაიდში მისვლას „ბაღელს“ „ბელადი“ არ აპატიებდა.

უნივერსიტეტში სწავლის დროს და შემდეგაც, როცა იქ ვმუშაობდი, ჩვენი ფეხბურთის ჰაიდპარკი უმეტესწილად თსუ ბიბლიოთეკის დირექტორის, შოთა აფაქიძის კაბინეტი იყო. იქ რომ არ შეგვევლო, არ იქნებოდა. ზოგჯერ მასთან იმდენი ხალხი იკრიბებოდა, რომ ტევა არ იყო. ფეხბურთის ცხელ-ცხელი ამბები, ჭორები იქ იყრიდა თავს. იქაურობის ყველაზე დამსახურებული წევრები უკვე ნახსენები ვოვა ივანოვი და გოგი დემეტრაძე იყვნენ, იქვე იყო დურმიშხან ცინცაძეც. შოთა აფაქიძის ოთახი უფრო ჰგავდა ჰაიდპარკს, ვიდრე კიროვის ბაღი, სადაც ქართლოს სვანიძე ბატონობდა. აქ, როგორც უნივერსიტეტს შეეფერებოდა, უფრო დემოკრატიული ატმოსფერო იყო. ამ „კლუბის“ შესახებ მთელმა უნივერსიტეტმა იცოდა. ჩვენი „დინამოს“ ყველაზე მნიშვნელოვანი თამაშების წინ ზოგჯერ უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, იურისტი, პროფესორი სერგო ჯორბენაძე შემოგვირბენდა ხუთი წუთით და იკითხავდა: „დღეს რას ვიზამთ? მოვიგებთ?“ მეორე პრორექტორი, სასწავლო დარგში, ფიზიკოსი, პროფესორი გურამ ჭილაშვილი იყო. სწორედ თამაშის დღეს მოუხდებოდა ხოლმე საღამოს ლექციების შემონმება და ვაი მას, ვინც ლექციას გააცდენდა!

ერთხელაც ლონდონის „ტოტენჰემთან“ გვაქვს თამაში, მე კი საღამოს მაღლივ კორპუსში მაქვს ლექცია ეკონომიკის ფაკულტეტზე 125 სტუდენტთან. მე რომ იმ თამაშს არ გავაცდენდი, დღესავით ნათელი იყო, მაგრამ ჭილაშვილისთვის რა მექნა?! რომ ჩამოიაროს სართულები და არ ვიყო ლექციაზე?! ძალიან მძიმე ვითარება შეიქმნა, მაგრამ ჩემს ერთ მეგობარს, რომელიც პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ტექნოლოგიას ასწავლიდა, ვთხოვე ჩემ

მაგივრად შესულიყო და რამე საინტერესო მოეყოლა. ვზივარ „ტოტენჰემის“ და „დინამოს“ თამაშზე და მაინც მახსოვს ჭილაშვილი – არ შევმცდარვარ. შუა ლექციაზე თურმე კარი გაიღო და შემოვიდა გურამ ჭილაშვილი.

უნივერსიტეტის მასწავლებლებს კი იცნობდა, მაგრამ ეკონომიკურზე მონვეული ლექტორებიც

„კიროვის ბაღი“,  
ჭადრაკის სასახლე





იყვნენ ხოლმე და ამიტომ ჰკითხა ჩემს „შემცვლელს“, რა გვარი ბრძანდებოდა. იმანაც აიღო და უთხრა: ალექსანდრე ვარ რონდელიო. „მართლა?“ – უკითხავს ჭილაშვილს დამცინავად და გასულა. მეორე დღეს დილიდან მეძახიან ჭილაშვილთან. შავი დღე დამადგა. ოთახიდან გამოსვლისას ჭილაშვილმა სარკასტულად მკითხა: „ვინმე რატომ ვერ მონახეთ ცოტათი რომ გგვანებოდათ?“ – ყოველთვის თქვენობით მოგვმართავდა და ეს ძალიან დამორცხველად მოქმედებდა „დამნაშავეებზე“. რადგანაც ბატონ გურამზე ჩამოვარდა საუბარი, ისიც უნდა ითქვას, რომ ის იყო ძალიან კარგი პრორექტორი, მან დაამყარა დისციპლინა უნივერსიტეტში და უსამართლო არასდროს ყოფილა.

მინდა აღვნიშნო, რომ სოფელი პანტიანი საერთაშორისო ფეხბურთსა და თბილისურ საფეხბურთო ცხოვრებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. როგორც მახსოვს, 70-იანი წლების დასაწყისში ზოგიერთმა გულშემატკივარმა შეიტყო, რომ თბილისის შემოგარენში არის ადგილები, სადაც თურქეთის სატელევიზიო გადაცემების დაჭერა შეიძლებოდა. ბევრი იჩემებდა ამ აღმოჩენის ავტორობას. ჩემი მეგობრები, ძმები ნუგზარ და გოდერძი პერონიძეები ამბობენ, რომ საუკეთესო ადგილი პანტიანთან ერთ-ერთ ფერდობზე სწორედ მათ იპოვეს. პანტიანში სიარული და იქ საერთაშორისო მატჩების (პირველ ყოვლისა, ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების) ყურება თავიდან მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო, მაგრამ ძალიან მალე პანტიანში გვიან საღამოს ფეხბურთის საყურებლად მასობრივი სვლა დაიწყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ასობით ავტომანქანა გვიან საღამოს თბილისიდან წყნეთის გავლით პანტიანისკენ







მარჯვნიდან პირველი – ბორის პაიჭაძე, მეორე – ნოდარ ახალკაცი

მიდიოდა და იქ ჩასულებს შორის საუკეთესო ადგილებისთვის შეჯიბრი იწყებოდა. უბედურება ის იყო, რომ უმეტესწილად ჩანდა გამოსახულება, მაგრამ ხმა არ მოდიოდა. ზოგჯერ კარგად დაცდილი ადგილი არ ამართლებდა და იწყებოდა ახალი ადგილების ძებნა, სადაც თურქეთის ტელევიზიის სიგნალი წვდებოდა. მანქანებიდან გადმოღებული დიდი და პატარა ტელევიზორები, ძლიერი აკუმულატორი, თავზე დასაფარებელი ბრეზენტის თუ ცელოფნის ნაჭრები (წვიმა პანტიანში იშვიათობა არ იყო!), გაუთავებელი კომენტარები და შეძახილები, სასიამოვნო სასმელ-საჭმელი... არანაკლებ შთამბეჭდავი სანახაობა იყო, როცა მთელი ამ ხალხით გაჭედილი მანქანები გზაზე თავს იყრიდა და ნაშუალამევს თბილისში ბრუნდებოდა. ეს ძალიან ჰგავდა ღამით სამხედრო კოლონების გადაადგილებას. როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ნატოს ოფიცრები ჩვენი მეგობრები გახდნენ, მაშინ გავიგეთ, რომ თანამგზავრებიდან გადაღებული ეს მსვლელობა დასავლეთისათვის სამხედრო კოლონების თურქეთის საზღვრისკენ გადაადგილებას ჰგავდა და გარკვეული შემოფოტებაც გამოუწვევია, მხოლოდ მოგვიანებით დაუდგენიათ პანტიანისკენ მასობრივი ავტოგადაადგილების ქეშ-მარიტი მიზეზები და ნატოსთან მოახლოებული საფრთხის შეგრძნებაც გამქრალა.

ჩვენი საფეხბურთო ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი მომენტი დგებოდა მსოფლიო ჩემპიონატების წინ. გოგი დემეტრაძე ყოველთვის ახერხებდა საგზურის შოვნას, რადგან კომპარტიის ცეკაში ბევრი მეგობარი ჰყავდა. „ბელადი“ და რჩეულთა შორის რჩეულებიც ირაზმებოდნენ და რამდენიმე მანქანისგან შემდგარი ავტოკოლონა, რომელსაც დიდი ფერადი ტელევიზორით მანქანაში სახეზე მხედართმთავრის გამომეტყველებით „ბელადი“ მიუძღოდა, ჩვენ, თბილისში დარჩენილებს, ხელს დაგვიქნევდნენ და ბედნიერი სახე-



გბით დასავლეთ უკრაინას, უფგოროდს, მიაშურებდნენ, სადაც უნგრეთის ტელევიზიას იჭერდნენ.

ჭაბუკთა ფეხბურთი იყენი ინტერესთა სფერო იყო. ხშირად დავდიოდით „ნორჩი დინამოელის“, „ფშმ“-ის (ახალგაზრდა საფეხბურთო სკოლა), 35-ე სკოლის და ბევრი სხვა გუნდის მატჩებზე, რომლებიც სკას, კამვოლ-მაუდის კომბინატის და სხვა ნაკლებად ცნობილ მოედნებზე იმართებოდა. ამ გუნდებში იჩეკებოდნენ და ფეხბურთელებად ყალიბდებოდნენ ქართული ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავები. რა თქმა უნდა, იქ იყვნენ ვოვა ივანოვი, ლევან ჭაჭიაშვილი, გოგი დემეტრაძე, ქართლოს სვანიძე, კოტე გაბაშვილი, ბახვა ჯაყელი, გურამ ქავთარაძე და სხვა „ბაღელები“ და თავიანთ აზრს ხმამაღლა გამოთქვამდნენ. ბევრი ამგვარი თამაში მართლაც ძალიან კარგი საყურებელი იყო და გვიან ღამით კიროვის პარკში დიდი დებატებიც იმართებოდა ჭაბუკთა ფეხბურთის პრობლემებზე. ჭაბუკთა გუნდების ზოგი მწვრთნელი ბაღში შემოივლიდა და მას, რა თქმა უნდა, „ბელადი“ და მისი „ამფსონები“ ჭკუასაც არიგებდნენ.



ალექსანდრე ჩივაძე „თასის მფლობელთა თასით“ ხელში თბილისის სტადიონზე

თბილისური ფეხბურთის სამყაროს შესახებ ბევრი რამ მახსოვს. ბევრი რამ არის დასანერი! ჯერ მხოლოდ გადაჭედილი სტადიონის ატმოსფეროს გადმოცემა რად ღირს! სწორედ ამაზე იტყვიან – რაც გინახავს ველარ ნახავო, მაგრამ არ მინდა ეს დავიჯერო...

ისედაც ბევრი მომივიდა, მკითხველი უნდა დავინდო და აქ უნდა გავჩერდე.

